ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №6 (42), 2014, ივნისი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

ჯოლუმბის „სანტა მარიას" მიასვლიეს?!

„დანალმული უღაბნოს" ბუჩჯები

ქართულ-სასანური მონეტები

მაცი ხვიტია

ანტონ ფურცელაძის ისტორიული რომანი

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან" ერთად – 6 ლარი

ჯიდევ ჩას „მაღავს" ბოლნისის სიონი

ვინ მართავდა ებვიჰტეს ფარაონებამდე

საარაევოს მეკვლეობა

უდიდესი დინოზავრი ჯვლავს „არგენტინოზაურს"

ჰიტლერის ჰიადი ასტროლობი

დუჩეს მსოფლიო თასი



სარჩევი

ახალი ამბები
დაბრუნება ციფრული სახით 6

მოკლე ამბები
ნარკოტიკი და ალკოჰოლი
პირველყოფილი ადამიანისთვის 7

ხიდი
„დედა ენის“ დღე ინეგოლში 8

ახალი ამბები
კოლუმბის „სანტა მარიას“ მიაკვლიეს?!..... 10

ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორიიდან
ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა
თვალით 12

ძველი თბილისის სურათებიდან
ნიკოლოზ ბარათაშვილი: „სათარასთვის
ღმერთს ხმა მიუცია“ 20

შეხვედრა ბრიგოლ ჩობანიძესთან
საქართველოში ლევილის არქივს
„ჩამოყოლილი“ გრიგოლ რობაქიძის
ინტერვიუ 24

ქართული მონეტები
პირველი ქართული ფული ჯვრის
გამოსახულებითა და ქართული
წარწერებით 32

ახალი ამბები
კიდევ რას „მალავს“ ბოლნისის სიონი..... 40
მუცოს რეაბილიტაცია იწყება 41

სკოლათველო და მსოფლიო
საქართველო უცხოელთა ფერებში 42

მობზაური ეთნოლოგების ჩანანერები
ქართულ-ნორვეგიულად გაცოცხლებული
ისტორია 50

სარჩევი

მოსაღე ამბები
ვინ მართავდა ეგვიპტეს ფარაონებამდე 58

ბავშვისის ხალხები
ადიღელები — თარეშის „დიდოსტატები“ 60

ექსკლუზივი
„დანაღმული უდაბნოს“ გურჯები 68

ახალი ამბები
უდიდესი დინოზავრი კვლავაც „არგენტინელია“ 72

საბედისწერო მიჯნასთან
სარაევოს მკვლელობა 74

ახალი ამბები
ფრანგი ჯვაროსნები იერუსალიმის საალაყმოდან 82

მესამე რაიხის გაღეხა
ერიკ იან ჰანუსენი — ჰიტლერის პირადი ასტროლოგი 84

საქართველოს ძეგლები
ლურჯი მონასტერი 92

სპორტის ისტორია
დუელს მსოფლიო თასი 98

სხოვრება
„შატალოზე წასულმა ფილმი ვნახე და გადავწყვიტე რეჟისორობა“ 104

ფუსლები ნაისულიდან
ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან 111

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
ცოდნის სამყარო 114
სკანვორდი 122

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ᲰᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ქართულ-იაპონურ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. შესაძლოა მკითხველს ვერც კი წარმოედგინა, „ამომავალი მზის სამეფო“ (ასე მოიხსენია ქართველთაგან პირველმა ვახტანგ VI-მ იაპონია) ასე რომ დააინტერესებდა ჩვენს წინაპრებს. ეს ურთიერთობა შუა საუკუნეებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ჟურნალმა „ისტორიანმა“ გადაწყვიტა, მკითხველს პერიოდულად მიაწოდოს სტატიები, სადაც განხილული იქნება საქართველოს ურთიერთობათა ისტორია მსოფლიოს ქვეყნებთან. ამჯერად გთავაზობთ საინტერესო მასალებს ქართულ-იაპონურ ურთიერთობებზე თვალის ერთი გადავლებით.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს ქართველი საზოგადოების ნაწილი თანაუგრძნობდა იაპონელთა ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, როცა აკაკის ლექსს კითხულობდა, თუ რა შინაარსს დებდა დიდი მგოსანი მასში. მეტიც, რუსულმა ცენზურამ ვერ შეამჩნია აკაკის ფანდი. და ლექსი, რომელიც აშკარა მოწოდება იყო იაპონელი მარშლის, ივაო ოიამას შექებისკენ, სასტიკ ცენზორს უბრალოდ, „გამოეპარა“. აი, ერთი სტროფი ამ ლექსიდან:

მე, მონობის დროს ნაშობი,
მონობაში დავიღალე;
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,
ოი, ამას ვენაცვალე!..

მკითხველისთვის ერთგვარი სიახლე იქნება ინტერვიუ წარმომავლობით ქართველ ავღანელთან. დამეთანხმებით, ძალიან ბევრი ლეგენდა არსებობს ავღანეთში დარჩენილი „გურჯების“ შესახებ. როცა საბჭოთა ოკუპანტთა სამხედრო ნაწილები იდგა ავღანეთში, პერიოდულად ჩამოდიოდა ცნობები ქართულ ხელნაწერთა აღმოჩენის შესახებ. კულუარულად ხშირად გამოითქმებოდა მოსაზრება, რომ ეს ხელნაწერები იმ ბიბლიოთეკის ნაწილია, თავის დროზე რომ გაიტანა თემურ-ლენგმა საქართველოდან. ცნობილია ისიც, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ავღანეთის მმართველებად ირანის შაჰი ქართველებს ნიშნავდა. შესაძლოა, სწორედ მათი ამალის წევრები იყვნენ წინაპრები დღევანდელი ავღანეთში მცხოვრები „გურჯებისა“.

ასე რომ, ავღანეთი შეიძლება ითქვას, მეცნიერთათვის ერთგვარი ყამირია. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ დიდ აღმოჩენებს ჰპირდება საქართველოს ისტორიის მკვლევართ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲛᲐ“ ᲑᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი

„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ᲓᲐᲑᲘᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲤᲩᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ

XI-XIX საუკუნეების ხელნაწერების: ქართულ-ებრაული პალიმფსესტის, ჰაგიოგრაფიული კრებულის, საგალობელთა კრებულის, ლოცვანისა და ხელნაწერი ჟურნალის ციფრული ვერსიის გაცნობა ქართველ მეცნიერებსა და დაინტერესებულ პირებს უკვე შეუძლიათ. მათი ასლები საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ. ხელნაწერთა დედნები ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲐ

ᲑᲣᲑᲐ ᲙᲣᲓᲐᲕᲐ (*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი*): „ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ექვსი ქართული ხელნაწერი. მათგან ერთ-ერთი არის იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის, იოანე-პროხორეს დაკვეთით გადაწერილი ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული. ამ ხელნაწერის გარდა, დანარჩენი ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო და არც მათი ასლები გვქონდა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოლაპარაკება ამ საკითხზე ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმთან რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ (*ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი*): „ციფრული ვერსიები არის მეტად კარგი საშუალება ხელნაწერების გასაცნობად. მეორე მხრივ, მოლაპარაკებები არ იძაბება და იმ მხარეს, სადაც ეს უნიკალური ხელნაწერები ინახება, არ ექმნება განცდა, რომ რაღაცის წართმევას ვცდილობთ“.

მაღალ დონეზე შესრულებული ციფრული ასლები ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს, შეისწავლონ და დამატებით იმსჯელონ მათზე მომუშავე გადამწერებსა თუ XI-XIX საუკუნეების წიგნის ხელოვნებაზე.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება იმ პალიმფსესტების შესახებ, რომლებიც ინახება ან შესაძლოა ინახებოდეს ბრიტანეთში, მათ შორის ოქსფორდსა და კემბრიჯში.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ (*სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში*): „ხელნაწერთა ციფრული ასლები საინტერესოა როგორც მეცნიერებისთვის, ასევე საპატრიარქოსთვისაც, მრევლისთვისაც, ვისაც ამ ტიპის მასალა აინტერესებს. XI საუკუნის ხელნაწერები მიჩნეულია სწორედ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებად“.

თებერვალში ცნობილი გახდა, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტში 11 ქართული ხელნაწერის ფრაგმენტია დაცული, რომლებიც X-XIII საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერები უნივერსიტეტმა გერმანელ კოლექციონერ ტიშდორფისგან 1876 წელს შეიძინა. ამ ნუსხების შესახებ ქართველმა მეცნიერებმა არაფერი იცოდნენ. მათი ფოტოასლები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს თებერვალშივე გადაეცა.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

კონსტანტინე სურგულაძე და ბუბა კუდავა კათოლიკოს-პატრიარქთან

ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მეცნიერთა მოსაზრებით, პრეისტორიულ ევროპაში ფსიქოტროპულ საშუალებებს მხოლოდ სიამოვნებისთვის არ იყენებდნენ. ალკოჰოლის, სამკურნალო მცენარეებისა და მცენარეული ნარკოტიკების, მაგალითად: ოპიუმის შემცველი ყაყაჩოსა და ჰალუცინაციის გამომწვევი სოკოების გამოყენება მკაცრად იყო განსაზღვრული მხოლოდ რელიგიური რიტუალებისთვის.

ესპანელი მეცნიერი ელიზა გუერა-დოსე ამტკიცებს, რომ ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენება პრეისტორიული რწმენა-წარმოდგენების განუყოფელი ნაწილი იყო. ერთ-ერთ ფუნქციას სულების სამყაროსთან დაკავშირება წარმოადგენდა. იმის მიუხედავად, რომ ამ ნივთიერებების გამოყენების ისტორია ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანთა საზოგადოება, მეცნიერებმა სულ ახლახან დაიწყეს კულტურული და ისტორიული ხასიათის კვლევები, როდის და როგორ იყენებდნენ ევროპელები ფსიქოტროპულ საშუალებებს.

ამისთვის შეისწავლეს ოთხი ტიპის მასალა: აღმოჩენილი ფსიქოაქტიური მცენარეების, ფოთლების, ხილის, ასევე ალკოჰოლური სასმელების ნარჩენები; არტეფაქტებსა და ჩონჩხებთან ერთად ნაპოვნი ფსიქოაქტიური ალკალოიდები და მხატვრული ნაწარმოებები, სადაც გამოსახულია ამ ტიპის მცენარეთა სხვადასხვა სახეობები და მათი სმის სცენები.

მათ შორის მოხვდა ესპანეთში ნეოლითის ხანის მამაკაცის სამარხში ნაპოვნი ოპიუმის შემცველი ყაყაჩოს კვალი, დანახშირებული კანაფი, რომელსაც რუმინეთში მიაკვლიეს და სხვ.

გუერა დოსეს კვლევა ამ თემაზე სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა. ესპანელი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის მცენარეებს ძირითადად რელიგიური რიტუალებისას იყენებდნენ და ეს ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობის შეცვლას ან ტრანსში გადასვლას ემსახურებოდა.

თავად რიტუალების დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა არსებობს ჰიპოთეზა, რომ ერთ-ერთი ასეთი რიტუალის დანიშნულება იყო, დახმარებოდა გარდაცვლილთა სულებს

პრეისტორიული ადამიანები ჰალუცინოგენებს დაკრძალვის რიტუალებისთვის იყენებდნენ

მიწისქვეშეთის ღმერთის სამყაროში მოხვედრისას.

ელიზა გუერა დოსე ფიქრობს, რომ ამ ტიპის მცენარეების გამოყენების წესი მკაცრად იყო განსაზღვრული.

მომზადებულია Sciencedaily-ის მიხედვით

ესპანელი მეცნიერი ელიზა გუერა-დოსე

„დედა ენის“ დღე ინეგოლში

ახლახან თურქეთში, ბურსის რეგიონში მდებარე ქალაქ ინეგოლში ქართული ენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას მასპინძლობდა დიდი ტრადიციების მქონე ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება, რომელიც 1977 წლიდან მოქმედებს, მისი თავმჯდომარეა ბატონი ომერ ფარუკ დემირთაში. საზოგადოების საქმიანობაში ჩართულია ინეგოლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გაგზავნილი „დედა ენის“ წიგნები, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გაგზავნილი ქართული გამოცემები, ბარათები და პლაკატები კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ. სიტყვით გამოვიდა საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ბ-ნი ირაკლი კოპლატაძე. თურქეთში უკვე ქართული კულტურის არაერთი ცენტრია, სადაც ქართული წარმომავლობის მოსახლეობა სწავლობს თავიანთ მამა-პაპათა ენას, ასევე ქართულ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს.

როზეტა გუჯეჯიანი (*ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი*): — ინეგოლის რაიონის ოცამდე სოფლის მოსახლეობა ქართული წარმომავლობისაა, თავად ქალაქის მცხოვრებთა დაახლოებით 40%-საც თურქეთელი ქართველები შეადგენენ. რთული ისტორია უძღოდა წინ მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველთა დასახლებების გაჩენას. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, რუსეთის იმპერიის სასტიკი მეთოდებით დაშინებული აჭარის, ნიგალის ხეობის, მაჭახლის, შავშეთ-იმერხევის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დატოვა სამშობლო და თურქეთის შავი ზღვისპირეთსა თუ მარმარილოს ზღვის სანაპიროზე დასახლდა. ინეგოლის სოფლებში ქართველები 1881 წლიდან დასახლდნენ. დღეს იქ მუჰაჯირთა მეოთხე-მეხუთე თაობის ქართველები ცხოვრობენ და ეროვნულ იდენტობასა და კულტურას დღემდე ინარჩუნებენ.

ინეგოლი, შეიძლება ითქვას, ქართული ტრადიციების მხარეა. სწორედ ინეგოლს დაუკავშირა თავისი ცხოვრება ცნობილმა მოღვაწემ და თავისი ხალხისთვის თავდადებულმა აჰმედ მელაშვილმა. ინეგოლის რაიონის ერთ-ერთი ქართული სოფელია ჰაირიე (ქართულად, ხეირიე), საიდანაც გახლდათ აჰმედის მეუღლე, ქალბატონი იუქსელი. აჰმედმა, სხვა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეებთან ერთად, დიდი ამაგი დასდო ინეგოლს: ჰაირიეში სწორედ მან ააშენა ქართული კულტურის სახლი, შექმნა ფოლკლორული ანსამბლი, დავიწყებას გადაარჩინა უმდიდრესი ეთნომუსიკალური ნიმუშები, შემოგვინახა უმშვენიერესი მაჭახლური ფოლკლორი. დღეს ამ საქმეს მისი ვაჟიშვილი, იბერია ოზკან მელაშვილი აგრძელებს. სოფელ ჰაირიედან გახლდათ ბატონი ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ისტორიკოსი, მთარგმნელი, პოეტი, აჰმედის უახლოესი

„დედა ენის“ დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ინეგოლში: მურათ ქასაბი, ფეზი ჩელები, მაკა სალია და ორჰან ბერიძე

საქართველოს ელჩი თურქეთში ირაკლი კოპლატაძე, დუზჯეს უნივერსიტეტის სტუდენტები და საქართველოდან მიწვეული ლექტორი მაკა სალია

თანამებრძოლი. სწორედ ბატონი ვახტანგის ვაჟიშვილი ვაჟა მალაყმაძე (გურჯან ჰაირიოღლუ) იყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენციის იდეის ავტორი.

„დედა ენის“ დღეს ბურსელი, საქარიელი, სტამბოლელი ქართველებიც შეუერთდნენ.

მაკა სალია (დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი): — აქ ჩემს სტუდენტებთან ერთად მოვედი და დარწმუნებული ვარ, ეს დღე მათთვის მართლაც დაუვიწყარი იქნება. აქაური სტუდენტები ცდილობენ, საფუძვლიანად დაეუფლონ თავიანთ ფუძე ენას (როგორც აქ ეძახიან ქართულს). თუ მათი მშობლები არცთუ გამართული ქართულით მეტყველებენ, ახალგაზრდა თაობა ცდილობს, ლიტერატურული ქართული შეისწავლოს და თავიანთი წინაპრების სამშობლოს ყოფასა და კულტურას უფრო ახლოს გაეცნოს. ამაში ჩვენ ვეხმარებით, საქართველოდან მიწვეული სპეციალისტები. თუმცა აქაურებიც არანაკლებ ზრუნავენ, რომ თურქეთელ ქართველებს თავიანთი ფესვები არ დაავიწყონ. ხელოვნების მაგისტრი, ისტორიკოსი ფევზი ჩელები თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს იკვლევს, ფილოლოგი ორჰან ბერიძე ქართული ენის სასწავლო კურსს უძღვება სტამბოლში“.

აღსანიშნავია, რომ აპრილის ბოლოს სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლს ცნობილი მოცეკვავეები ფრიდონ სულაბერიძე და შოთა კობერიძე ესტუმრნენ. როგორც ამ სახლის დამფუძნებელმა გიორგი ირემაძემ გვამცნო, აქ არსებულ ქართული სიმღერის ანსამბლს (ხელმძღვანელი იბერია მელაშვილი), რომელსაც პოპულარობა არ აკლია არც თურქეთსა და არც საქართველოში, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლიც მიემატა...

თეა ცაგურიშვილი

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკეთ: 219 60 13

მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲡ „ᲡᲐᲜᲢᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲡ“ ᲛᲘᲐᲙᲕᲚᲘᲔᲡ?!

პირველი წყალქვეშა არქეოლოგი ბარი კლიფორდი

ჰაიტის სანაპიროსთან კვლევითი სადაზვერვო სამუშაოებისას მსოფლიოს ნომერ პირველი წყალქვეშა არქეოლოგის, ბარი კლიფორდის აღმოჩენა ისტორიკოსებისთვის შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი გამოდგეს. წინასწარი ინფორმაციით, ნაპოვნია ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის საფლაგმანო ხომალდი „სანტა მარია“. ისტორიული წყაროების თანახმად, სწორედ ამ ხომალდით მიადგა კოლუმბი ახალ მიწას 1492 წელს.

ბარი კლიფორდმა 500 წლის წინ ჩაძირულ „სანტა მარიას“ ჰაიტის ჩრდილოეთ სანაპიროზე, წყალქვეშ 5 მეტრის სიღრმეში იმ ადგილას მიაგნო, სადაც მოგზაურის დღიურის თანახმად, ხომალდი წყლის ზედაპირიდან 10-15 ფუტის (3-4,5 მეტრის) სიღრმეზე რიფზე შეჯდა. ამ აღმოჩენას წინ რამდენიმე

ქრისტეფორე კოლუმბის პორტრეტი. სებასტიანო დელ პიომბო (1519 წ.)

კოლუმბის „სანტა მარიას“ ერთ-ერთი ზუსტი ასლი კუნძულ მადეირას სანაპიროსთან

„სანტა მარიას“ ღუზა ჰაიტის ნაციონალურ მუზეუმში ინახება

ექსპედიცია უძღოდა, რომელშიც თავად კლიფორდიც მონაწილეობდა. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციისას, 2003 წელს ამ ადგილის ფოტოებიც გადაიღეს, თუმცა მაშინ „სანტა მარიას“ იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

კლიფორდის განცხადებით, ვერსიას, რომ ეს კოლუმბის „სანტა მარიაა“, განამტკიცებს ბოლო პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელიც ფორტ „ლა ნავიდადს“ უკავშირდება. მოგზაურის განკარგულებით, ფორტი სწორედ ხომალდის ჩაძირვის შემდეგ ააგეს და მშენებლობისას „სანტა მარიას“ ხის დეტალებიც გამოიყენეს.

„ლა ნავიდადი“ იქცა კოლუმბის ეკიპაჟის 39 წევრის თავშესაფრად, როდესაც იგი იძულებული გახდა, საფლაგმანო ხომალდის ჩაძირვის შემდეგ ხალხი და ტვირთი ექსპედიციის დარჩენილ ორ ხომალდზე „ლა ნინასა“ და „ლა პინტაზე“ გადაენაწილებინა.

თავისი ვერსიის დასამტკიცებლად კლიფორდს ის არგუმენტიც მოჰყავს, რომ ჩაძირულ ხომალდზე XV საუკუნის ზარბაზანი ნახა.

ექსპერტიზის მოსაწყობად და კლიფორდის ვერსიის დასადასტურებლად საჭიროა ხომალდის ხმელეთზე ამოტანა. როგორც მეცნიერი აცხადებს, შემონახულია მისი დიდი ნაწილი. მკვლევარი ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს ჰაიტის ხელისუფლებასთან.

ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის საფლაგმანო ხომალდმა, „სანტა მარიამ“ ესპანეთის სანაპირო 1492 წლის აგვისტოში ხომალდებთან, „ლა ნინა“ და „ლა პინტასთან“ ერთად დატოვა. „სანტა მარია“ მათ შორის უდიდესი იყო. მისი სიგრძე 36 მეტრს აღწევდა. 1492 წლის შობას ხომალდი ჰაიტის სანაპიროებთან რიფზე შეჯდა და ჩაიძირა.

მომზადებულია
History.com-ის მიხედვით

ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალით

ედოს ციხე-დარბაზი (XV საუკუნე)

ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორია ხანგრძლივი არ არის, თუმცა ამომავალი მზის ქვეყანა სულიერად ყოველთვის ახლოს იყო ქართველ ერთან. იაპონელებისა და იაპონიისადმი კეთილგანწყობა მრავალგზის გამოიხატა ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში.
წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ თუ როგორ აისახა იაპონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან — XX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით.

იაპონია ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის პირველ მესამედში გვხვდება. ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის, სჯულმდებელი მეფის, ვახტანგ VI-ის (1675-1737) ნაშრომში იაპონია **ჯაფანად** იხსენიება.

თხზულებაში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელსაც მეფე-მეცნიერი სპარსეთში ყოფნისას, კერძოდ, 1712-1719 წლებში ქმნიდა, ვკითხულობთ: „ოქროს მომატებისათვის. მოიტანე 2 ფლური და ფლურის 1/2 კაი სპილენძი (თუ ჯაფანის სპილენძია, ისი სჯობს), ამ სპილენძის წონა კაი ვერცხლი“.

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ვახტანგ VI ხაზგასმით მიუთითებს იაპონური სპილენძის უმაღლეს ხარისხზე. აქვე უნდა ითქვას, რომ იაპონური სპილენძი პოპულარული იყო იმდროინდელ ევროპაში, რის გამოც დასაშვებია, რომ ამ რეცეპტს სპარსეთში შვიდ წელიწადს მყოფი ქართველი ხელმწიფე იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა მეშვეობით გაეცნო.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „ქართულ ლექსიკონს“ (იმავე „სიტყვის კონას“) დართულ სიაში „ქვეყნის ზომათა რიცხვი“ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის იხსენიება „იაპონიაც“ (ასეთი ფორმით).

ამ ქვეყნის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიერ თარგმნილ თხზულებაში „მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფია“, რომელსაც სახელოვანმა მეცნიერმა კომენტარები დაურთო.

იოანე ბაგრატიონის (1768-1830) თხზულებაში „კალმასობა“ წარმოდგენილია ქვეთავი „იაპონიისა, ანუ ხეთაისა, ანუ მაჩინისათვის“. მასში აღწერილია იაპონიის მდებარეობა, კლიმატი, მოსახლეობა და დახასიათებულია ქვეყანაში იმხანად არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება.

იოანე ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ იაპონელები არიან „მოშაონი, წვრილთვალნი, წვერგრძელნი, ცხვირმოკლენი და თმაშავნი. ტანთსაცმელი აქუთ გრძელნი და განიერნი მჰსგავსად ხალათისა. დიდებულთ გუამთა აცვიათ აბრეშუმთაგან ნაქსოვნი, ხოლო მდაბალთა — ბანბისაგან ნაქსოვნი. აგრეთვე არიან მორჩილნი თვისთა მშობელთა და უფროსებთა და ერთი მეორის მოთავაზენი, სარწმუნონი და მარჯვენი. ჰყუარობენ სწავლასა და ხელოვნებასა“.

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველურად წერდა: „დღეს, იაპონიას ბევრი ევროპულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოწადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული და ვინ იცის, — იქნებ იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას, ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა“.

1898 წელს ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ ფურცლებზევე გაგრძელებებით მიმოიხილა აზიის ქვეყნებისა და მათ შორის, იაპონიის იმჟამინდელი მდგომარეობა.

„ამომავალი მზის სამეფოს“ შესახებ ვრცელი პუბლიცისტური ნარკვევი გამოაქვეყნა ნიკო ნიკოლაძემ. 1894 წელს, ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ მის სტატიაში „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“ გაანალიზებულია მაშინდელი იაპონიის საგარეო და საშინაო ვითარება, ასევე განვითარების პერსპექტივები.

ნიკო ნიკოლაძის დასკვნით, XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, იაპონია თანდათანობით იმდენად დაწინაურდა, რომ გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც „ადვილად ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო ვეღარ შეეტაკება და ძალით ვეღარაფერს წაართმევს. ეს სახელმწიფო ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლითა და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერთა და სამეფოებს შუა“.

ნიკო ნიკოლაძემ იაპონელებს მაღალი შეფასება მისცა, როცა ისინი „მეტად მეცადინე, მარჯვე, გამბედავ და თავმოყვარე“ ერად გამოაცხადა. მან ქრონოლოგიურად აღნუსხა და ვრცლად მიმოიხილა იაპონელთა თითოეული გამარჯვება საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიის სახელმწიფოს დაწინაურება და მომძლავრება „დიდი მაგალითია მთელი კაცობრიობისთვის, ყველა სახელმწიფოსთვის. ამას შემდეგ ნურა-

„ამომავალი მზის სამეფო“ ქართველთაგან პირველმა მეფე ვახტანგ VI-მ მოიხსენია თავის ნაშრომში

იაპონიის საიმპერატორო ოჯახი. იაპონელი მხატვრის — ტორაძირო კასაის ნახატი. ცენტრში დგას იაპონიის რიგით 122-ე იმპერატორი მეიძი (იგივე მუცუხიტო), რომელიც 1867-1912 წლებში მეფობდა

ვინ ამაყობს ნურც სივრცით, ნურც რიცხვით. ამას შემდეგ ყველასათვის, ვინც კი ერთიანად არ დაბრმავებულა, ცხადია, რომ ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას და ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას“.

ნარკვევის დასასრულს, ნიკო ნიკოლაძე წერდა: „იაპონიას ჩინურად ჯი-პენ ჰქვია, ესე იგი „ამომავალი მზის სამეფო“. უწინ რა იყო, ვინ იცის და ეხლა კი მართლა ამომავალ მზესავით ჰფენს იაპონია ცოდნის და წესის სინათლეს, როგორც განდეგილის სენაკში, ისე გარშემოც, მეზობლებში. თვალყურის გდების ღირსია, სწორედ, მისი აწინდელი ბედი და თავგადასავალი. მართლაც, ამ შედარებით მცირე და განათლებაში ახლად შემოსულის, ჯერ დაუმთავრებელი ხალხის, თითქო მოუფიქრებელი დუელი მასზე ათჯერ უფრო ძლიერ ჩინეთთან და ამასთან, იქნება ბევრად უფრო დაწინაურებელ და შემძლე რუსეთთან, სხვა რომ არა იყოს რა, დრამატული, თითქმის ტრაგიკული ინტერესით არის სავსე. თუ ომი გაგრძელდა და გაზვიადდა, ჩვენ არაერთხელ გვექნება შემთხვევა ამ მხარეს კიდევ დავუბრუნდეთ, მის უფრო დაწვრილებულად გამოსახვისათვის“.

რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომისას ქართველ მამულიშვილთა საუკეთესო ნაწილი უყოყმანოდ მიემხრო იაპონიას, რომელიც გმირულად შეერკინა რუსეთს — საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის დამასამარებელ იმპერიას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სახელოვანი ქართველი პოეტები, რომელთაც იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინების იმედი ჩაესახათ.

სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა აკაკი წერეთლის მშვენიერი ლექსი „გურული ნანინა“, რომელიც 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. საგულისხმოა, რომ ამ ლექსის თითოეული სტროფის მეოთხე სტრიქონში პოეტი იმეორებდა ფრაზას — „ოი, ამას ვენაცვალე“, რომელიც სახელგანთქმული მარშლის, ივაო ოიამას (1842-1916) შეფარულ ხოტბას წარმოადგენდა. აქვე დავძენთ, რომ სხვადასხვა დროს იოამა მსახურობდა იაპონიის არმიების სარდლად, სამხედრო

მინისტრად და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. რუსეთ-იაპონიის ომისას იგი სათავეში ედგა მანჯურიაში მებრძოლ სახმელეთო ჯარს, რომელმაც რუსეთის არმია გაანადგურა. ამ ლექსში ვკითხულობთ:

ჯერ აკვანში ჩაკრული ხარ,
გასალტული... და იწვალე!
გაიზრდები, სხვა იქნები, —
ოი, ამას ვენაცვალე!..
მე, მონობის დროს ნაშობი,
მონობაში დავიღალე;
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,
ოი, ამას ვენაცვალე!..
ის, რაც იყო, აღარ არის,
შეიცვლება დღეს თუ ხვალე;
გზატკეცილი დაგიხვდება, —
ოი, ამას ვენაცვალე!..
„ნანას“ გეტყვი სხვანაირსა,
მარცვალ-მარცვალ დაისწავლე;
მხსნელს დახსნილი მიეგებე!..
ოი, ამას ვენაცვალე!..
რაც მე მტანჯავს, ნუღარ მკითხავ,
ის ოდესმე შენ დასთვალე,
და პასუხიც აგებინე!..
ოი, ამას ვენაცვალე!..
მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ,
გაიზარდე მალე, მალე!
რომ შენს შვილებს შენც მოუთხრა:
ოი, ამას ვენაცვალე!

იმ დროს დაწერილ კიდევ ერთ ლექსში „ჩინეთი და იაპონია“ პოეტი ჩინეთში გულისხმობდა რუსეთს. როდესაც ამ ლექსის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნება გადაწყდა, ცარისტულმა ცენზურამ უკვე აწყობილი ნომრის დასტამბვა აკრძალა. ლექსში პოეტი რუსეთს წარმოაჩენდა „ხალხმრავალ ბრიყვ ქვეყნად“. მიიჩნევდა, რომ „სულ სხვა გზით მიდის იაპონია“. ის არის „შევარდნის მართვე“, რომელიც შეერკინა „არწივს“, ანუ რუსეთს. იაპონელთა სამხედრო წარმატებებით ფრთაშესხმული პოეტი სიხარულით აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერიას „გარშემო ზღუდე აღარ აკლიაო“.

იმავე პერიოდს განეკუთვნება აკაკის ერთი ლექსი-გამოცანაც, რომელიც იაპონელებთან საბრძოლველად წასვლის მსურველ ერთ მოხუცებულ ქართველ თავადს მიეძღვნა. მხცოვანი არისტოკრატის სახით მგოსანმა საქართველოს მიმართა:

რუსეთ-იაპონიის საზღვაო ბრძოლა პორტ-არტურის ყურეში. ტორაძირო კასაის ნახატი

რუსეთ-იაპონიის ომის ორი გამორჩეული გმირი — ადმირალი ჰეიჰაჩირო ტოგო (ზემოთ) და მარშალი ოიამა (ქვემოთ)

საქართველო მოგწყენია,
გენატრება მანჯურია,
დროა ძვლები მოასვენო,
რა დროს შენი ჯმაჯურია?

„ამომავალი მზის სამეფოს“ შერკინებას რუსეთთან გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველაც. მის მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არის დაუთარიღებელი ლექსი „არჩილური“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა პოეტის თხზულებათა ხუთტომეულში. ამ ლექსის ავტოგრაფი დაცულია ავტორის არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ქაღალდის პატარა ნაგლეჯის ერთ მხარეს ვკითხულობთ ლექსის შემდეგ სტრიქონებს:

იმდენი ოფლი, იმდენი სისხლი,
არც ერთსა ერსა არ დაუღვრია,
პატარას, დიდსა სამშობლოსათვის
ომშია თავი არ დაუდვია.
ნათლის გონებით, მგზნებარე გულით
ერს სხვას მამული არ ჰყვარებია,
ლამაზის ერის ლამაზმა ქცევამ
ერებს ჩვენფერებს მადლი მოჰფინა,
ბინა-დაკარგულთ, დაწიოკებულთ
იმათგან ლამის იპოვნონ ბინა.

ფურცლის მეორე გვერდზე ვკითხულობთ:

ადინეს სისხლი თვისი და სხვისი,
რუად შეღებეს წითლად მთა-ველი,
იმას ჰყვირიან: „სამშობლო მიწის
არ მივცეთ მტერსა ერთი მტკაველი!“
ნუ მოხვალ გულზე მათი მნახველი?!

ზემოთ მოყვანილი ლექსის ბოლო ნაწილი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მრავალტომეულის გამომცემლებმა მიიჩნიეს „ნაწყვეტად რაღაც ლექსისა“, ხოლო შემდეგ ის შეიტანეს შენიშვნებსა და ვარიანტებში, რაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, არასწორი იყო.

ფილოლოგმა პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ზემოხსენებული ფურცლის ორივე მხარეს დაწერილი ლექსი წარმოადგენს ტექსტს ერთი მთლიანი აკროსტიქული ლექსისა (ისეთი ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისგან გამოდის სიტყვა ან ფრაზა), რომლის წაკითხვა გვაძლევს ფრაზას „იაპონელები არიან“. ამდენად, ამ ლექსის შინაარსი ეხება იაპონელებს, მათ თავდადებულ ბრძოლას ცარისტულ რუსეთთან. პოეტი სამართლიანად არის აღფრთოვანებული იაპონელებით, რომელთა „ლამაზმა

ქცევამ“ სხვადასხვა იმპერიების მიერ დაპყრობილ და დაჩაგრულ ერებს და მათ შორის ქართველებსაც „მადლი მოჰფინა“.

იაპონელებისადმი დაუფარავი სიმპათია გამოსჭვივის ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილებიდანაც.

წერილში „ვინ არის მართალი?“ ვაჟა-ფშაველა შეედავა მათ, ვინც მოითხოვდა რუსეთ-იაპონიის ომის გაგრძელებას იაპონიის სრულ განადგურებამდე. პოეტმა დაიმოწმა ხევსური თოთიას აზრიც.

ვაჟა-ფშაველა ასე გადმოგვცემს თოთიას გაოცებას მოულოდნელად გამოჩენილი იაპონიით: „ძალიან საკვირველია, დიდის ღმერთის მადლმა, სად რას გამაჩნდა ერთიან ეგ რაღაც იაპონიაა. სად იყავ აქამდინ, რომ მაგის არც ავ გაიგონებოდა, არც კაი?! აბაბაბაი, საკვირველ საქმეს შვრების, ვოჟებო! მე რუსის მამრევ, ნიად, არავინ მეგონ“.

განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟასა და თოთიას შორის გამართული დიალოგი, რომელშიც ვკითხულობთ:

„— პორტარტურიც აიღესავ იქავ?

— აიღეს და ჩადგნენ კიდეც შიგ.

— აუღეე!... ცოტან სამ კი არიან ესენი?! ნასწაულობთ, მახერხებით თუ კვლავ სჭარბობს!

— ღრუბლით ომობს, თოთიავ, ღრუბლით, — ვუპასუხე მე, რადგანაც ვიცი, რომ ეს ხმა გავრცელებულია ხალხში და არ მინდა შეურაცხვყო მისი წარმოდგენა, მისი რწმენა“.

ამის შემდეგ, თოთია გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, როგორ იყენებდნენ იაპონელები ბრძოლის დროს ღრუბელს: „მოალის შავი ღრუბელი, კუპრივით შავი; გაიძაბების, გაიძაბების, გაიძაბების, ხალხ არ ჩანს; ჩამაიწყებს, ჩამაიწყებს ტყვია მადენას ხორხოშასავითავ“.

თოთია ცდილობს გადაამოწმოს ინფორმაცია, რომელიც მას შეუტყვია: „ნეტარ ის მართალ იქნებისა, გამაგონებენ: იაპონიავ გუდან-ხახმატს, ლაშარ-ღელეს, ხარ-ცხვრით აპირობს მოსვლასა სალოცავადაო“.

ზემოთ მოყვანილ დიალოგში აშკარად ჩანს ვაჟა-ფშაველას სიმპათია იაპონიისადმი, ხოლო პოეტის წერილის კითხვა-სათაურის „ვინ არის მართალი?“ პასუხად შეგვიძლია მივიჩნიოთ „არჩილური“, სადაც აკროსტიქადაა გაცხადებული: „იაპონელები არიან“.

იაპონიის თაობაზე ვაჟა-ფშაველა საყურადღებო ცნობას გვაწვდის სტატიაში — „სადღეისო წერილი მეგობართან“, რომელ-

შტაბსკაპიტანი სტეფანე ახმეტელი რუსეთ-იაპონიის ომის დროს. მას მკერდს უმშვენებს წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი ხმლებითა და ბაფთით

შიც ვკითხულობთ: „ყველა დააფიქრა იაპონიის გაძლიერებამ. ყველა ჰგრძნობდა, რომ თუ ხარბინთანაც გაიმარჯვებდა იაპონია, რაიც მოსალოდნელი იყო, მაშინ ყველას, თვით ამერიკასაც, თითი უნდა მოეკაკვა იაპონიის წინაშე“. იმავე წერილში პოეტი ასე მიმართავდა „ამომავალი მზის“ ძლევამოსილ სამეფოს: „შენც, პატარა იაპონიავ, ძლიერ წინ ნუ გაიწევ, ნუ გაჰღონიერდები, რათა ჩვენც არ მოგვახვედრო ლახტი“.

აღსანიშნავია, რომ რუსეთზე გამარჯვების შემდეგ იაპონელთა ავტორიტეტი საქართველოში არნახულად გაიზარდა. კერძოდ, სიტყვა „იაპონელი“ ქართულ ენაში — კარგის, ლამაზის სინონიმად იქცა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ვაჟა-ფშაველას მიერ თავისი ძმის — სანდრო რაზიკაშვილისადმი მიწერილი წერილი, სადაც პოეტმა ახალშერთული მეუღლე, თამარ დიდებაშვილი ასე დააახასიათა: „უნდა ჰნახო, რა დედაკაცია! ნამდვილი ანტიკაა! რძალი გყავ იმისთანა, ნამდვილი იაპონცკი ვინმეა“.

იაპონელთა საბრძოლო მიღწევებით

ადმირალ ჰეიჰაჩირო ტოგოს მიერ სტეფანე ახმეტელისთვის საჩუქრად გაგზავნილი სამურაის ხმალი

ფრთაშესხმული ვაჟა-ფშაველა სიხარულით წერდა: „სწორედ ის დრო დადგა, დილიდან საღამომდე „მახლას“ რომ ვიძახო, მეტი რადი მოვა... თქვენი არ ვიცი და მე კი წამდაუწუმ ეს სიტყვა მეკერა ენაზე“.

რუსეთ-იაპონიის ომს გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველას ძმა თედო რაზიკაშვილიც. მის ლექსში, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში და რომელშიც მისი ავტორის განცდები შეფარვით არის გადმოცემული, ვკითხულობთ:

ზოგჯერ წვიმს, მზე კი ღრუბლიდან
მაინც ანათებს არესა:
ხან კიდევ შავი ღრუბელი,
როგორც სამარის კარებსა,
თავს დასწოლია ქვეყანას,
არც წვიმს, არც გაიდარებსა.
აბა, რომელი სჯობია:
თავსხმა და ნიაღვარია,
რომლის შემდგომად მოიწმენდს
ცა, უკეთესი დარია;
თუ ცა სულ ნისლით მოცული
და გული სევდით მკვდარია?

ლექსიდან ჩანს, რომ პოეტი იმედოვნებდა იაპონიის მიერ „შავი ღრუბლის“, ანუ რუსეთის დამარცხების შემდეგ გამოდარებას, ანუ საქართველოს გათავისუფლებას, რომლის აწმყოთი „გული სევდით მკვდარი“ იყო.

რუსეთ-იაპონიის ომი ვრცლად აისახა როგორც იმდროინდელ ქართულ პრესაში, ასევე ფოლკლორშიც, რაც ამ მოვლენის დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ამ თემაზე შექმნილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა შორის არის ლექსები: „ათას ცხრაას ოთხი წელი“, „სალდათი იაპონიის ომში“, „პორტ-არტურში“ და „სალდათის დანაბარევი“, რომლებიც შეტანილია „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეულის XI ტომში. ლექსში „სალდათი იაპონიის ომში“ ვკითხულობთ:

იაპონიის ჯარები
ფარას შაჰგვანდა ცხვრისასა,
პირდაპირ ჩამაგვიყენეს,
ბედს ახსენებენ ხვთისასა,
მათ ზარბაზანის ტყვიაი
ცოცხალ კაცს აყრის მიწასა,
გამაშლის ცისფერს პალტოსა
ლამაზის აფიცრისასა.
დაიძახებენ რუსები:
სული ღმერთს, ლეში — მიწასა!

ლექსში „პორტ-არტური“ კი ასეთი სტრიქონებიცაა:

პორტ-არტურში ვართაო,
ცხენის ხორცსა ვჭამთაო,
ნუღარც მოგველითა და,
ვეღარც მოვდივართაო.

ამავე ომს უკავშირდება ქართულ-იაპონური ურთიერთობის ისტორიის ერთი ამაღელვებელი ფაქტი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იაპონელთა ღირსებას, მათ გასაოცარ სულიერ სიმაღლეს.

იაპონიასთან ომში ჩაბმული რუსეთის საიმპერიო არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი მხედარი ირიცხებოდა. მათ შორის იყო სტეფანე გიორგის ძე ახმეტელიც (1877-1922), რომელიც შემდეგ გენერლად მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ იაპონელებთან მამაცურად მებრძოლი შტაბს-კაპიტანი სტეფანე ახმეტელი — წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ბრძოლაში შეუპოვარი ქართველი ოფიცერი იმავდროულად დიდ შემწყნარებლობას იჩენდა იაპონელი სამხედრო ტყვეების, განსაკუთრებით კი ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ. ყოველივე ეს შეიტყო და სათანადოდ შეაფასა იაპონური არმიის სარდლობამ.

სახელგანთქმულმა იაპონელმა ადმირალმა, პორტ-არტურსა და ცუშიმასთან მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლების გმირმა ჰეიჰაჩირო ტოგომ (1847-1934) რუსეთის არ-

იაპონელი ქართველოლოგი ჰიროტაკე მაედა და ნიკო ჯავახიშვილი სტეფანე ახმეტელისეული სამურაის ხმლით. სტუმრად მზია ახმეტელის ვაჟის, ჯუანშერ ლაღიძის ოჯახში. კედელზე, ზედა რიგში (მარცხნიდან) — რამაზ ლაღიძის, სტეფანე და მზია ახმეტელების პორტრეტები (მიტროფანე ლაღიძისეული სახლი, 2001 წელი)

მიის ოფიცერ სტეფანე ახმეტელს, როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეს, თავისი რჩეული სამურაის ხელით, საჩუქრად იაპონური მახვილი გაუგზავნა! ეს საპატიო ჯილდო დაცულია მისი ქართველი კავალრის ძმისწულის, დამსახურებული ექიმის, მზია ახმეტელის (აკად. რამაზ მიტროფანეს ძე ლაღიძის მეუღლე) ვაჟის — ჯუანშერ ლაღიძის ოჯახში.

XX საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პირველობისთვის მიმდინარე მეტოქეობაში თანდათან გამოიკვეთა იაპონიის უპირატესობა. ამას იმდროინდელი ქართველი პოეტებიდან გალაკტიონ ტაბიძე გამოეხმაურა. 1935 წელს პარიზში მყოფმა გალაკტიონმა ასეთი ლექსი დაწერა:

ატმოსფეროა მღელვარე,
იაპონელს კი ჰგონია:
თუ ხმალს მოიქნევს მღელვარეს —
ისევე იაპონია.
აგრესორობა ღონეა,
და თუ ვინმეა მპოვნელი —
ისევე იაპონია,
ისევე იაპონელი.
ისევ ჩვენს საზღვრებს ედება,
სიმშვიდე ვერ უპოვია...
მუდამ ქვას წამოედება
იმ ადგილს იაპონია.
გაჰქრა ის ხანა ლამაზი,
წინათ რომ გაუგონიათ,
ეპოქა ოიამასი —
იმ ხანის იაპონია.

ლექსიდან აშკარაა, რომ XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთაგან განსხვავებით, რომლებიც რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში ამ უკანასკნელს თანაუგრძნობდნენ, გალაკტიონმა დაგმო ოცდაათიანი წლების იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა.

თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირში შექმნილ ოფიციალურ ანტიიაპონურ განწყობას, გასაგები გახდება მდგომარეობა გალაკტიონისა, რომელიც იძულებული იყო, ანგარიში გაეწია არსებული ვითარებისთვის და იქნებ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდაც, თავის ლექსში დაეგმო იაპონიის სწრაფვა პირველობის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ იმავე ლექსში, ავტორმა მაინც დადებით კონტექსტში მოიხსენია XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიასთან მებრძოლი იაპონია, ხოლო იმ ეპოქას უწოდა — „ხანა ლამაზი“ და „ეპოქა ოიამასი“.

ამრიგად, XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან მოყოლებული, „ამომავალი მზის სამეფო“ და მასთან დაკავშირებული მოვლენები ყოველთვის განსაკუთრებით აინტერესებდა ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესულ ნაწილს, რომელიც ამ ქვეყნის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„სათარასთვის ღმერთს ხმა მიუცია“

ტატოს მეგობარი, სახალხო მომღერალი ირანის აზერბაიჯანიდან

იმათ შორის, ვისაც ნიკოლოზ ბარათაშვილის მცირე მოცულობის (სულ 18 წერილი), მაგრამ მრავალმნიშვნელოვან ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით და რომელთა შესახებ პოეტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის, არის სახალხო მომღერალი სათარა. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი პოეტის ახლო მეგობარი ყოფილა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი
ლადო გუდიაშვილის ნახატი

1844 წლის 19 ივლისს ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი და ეკატერინე ცოლად გაჰყვა პრაპორშჩიკს, თავად რევაზ ერისთავს. ბიძის, ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში პოეტი ახალგორში კატოს ქორწილის ამბებს ხატოვნად აღწერს და მაყრიონში სათარასაც იხსენიებს:

„დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა“. დიმიტრი ვეზირიშვილის ცნობით, ნიკოლოზ ბარათაშვილს სწორედ ამ დროს, დის ქორწილში ყოფნისას „სადღაც ეკლესიის კარზე დაუწერია მომღერალ სათარას ქება“.

სახელგანთქმული მომღერალი სათარა წარმოშობით ირანის აზერბაიჯანიდან იყო. დაიბადა არდაბილში XIX საუკუნის 20-იან წლებში. ბავშვობიდანვე ჰქონდა მისწრაფება სიმღერისკენ. თავდაპირველად სასულიერო საქმიანობას გაჰყვა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ თავი მიანება და სიმღერების შესრულებამ გაიტაცა. ზეიმებსა და ქორწილებში ასრულებდა საადის, ჰაფიზის, ფიზულისა და სხვათა მუღამებს, თასნიფებსა და ყაზალებს. რამდენიმე წელიწადს შაჰ მუჰამედ მირზას სასახლეში დაყო, სადაც მისი ნიჭით მოხიბლულ შაჰს მიუწვევია.

19-20 წლის სათარა თბილისშიც ჩამოსულა. ნიკოლოზ ბარათაშვილი დამეგობრებია მას და შეხვედრებსა და ზეიმებზე დაჰყავდა. „ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა“, — იხსენებს პოეტის და ბარბარე ვეზირიშვილი.

სიმღერის დროს დაირას ან დოლს არ ხმარობდა, ჩაუჯდებოდა თავის დასტას და ჯოხით ხელში ტკბილი ხმით აჯადოებდა მსმენელს. მის გამოსვლებს ესწრებოდნენ თბილისში მცხოვრები რუსი და იტალიელი მუსიკის მოყვარულები და თავიანთ კონცერტებზე იწვევდნენ. ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა საქველმოქმედო კონცერტებშიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სათარას 40-იანი წლების თბილისში მყოფ ირანელ მომღერალ ჯაფარას ადარებს კიდევ ერთ პირად წერილში, რომელიც მას 1845 წლის 9 თებერვალს ნახჭევანიდან გამოუგზავნია მაიკო ორბელიანისთვის:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით. ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიჟდებით? მაგის ამბავი ჩვენა გვკითხონ: ეგ შულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ, ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა. ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო?

ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგის თანახმა აღარავის ექნებაო. ერთი, ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე — ჯოჯოხეთის მაშხალა“.

ქალაქის ერთ-ერთ ქარვასლაში სათარას სიმღერაზე ცნობას ვხვდებით თბილისში 1837-1855 წლებში გამომავალ საგუბერნიო გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ 1845 წლის მე-10 ნომრის ერთ-ერთ წერილში. აქ აღწერილია ცერემონიალი თბილისში 1845 წლის 18 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხაილ ვორონცოვისა და მისი მეუღლის საზეიმო დახვედრისა, რომელიც მათთვის ქალაქის ვაჭართა წრეს გაუმართავს: „შადრევნის მარჯვენა მხარეს ისხდნენ სპარს მუსიკოსები და ტამბურინების რიტმული ცემისა და ჩანგურის ხმის ფონზე ცნობილი სპარსი მომღერალი, შაპის კარზე სახელგანთქმული სათარა ასრულებდა სიმღერას აღმოსავლელი პოეტის საადის ლექსზე, რომლის დასაწყისი დაახლოებით ასე ითარგმნება: „მართლა შენა ხარ ჩემ წინაშე, თუ ის, ოცნება? არა, არ მჯერა იმისა, რომ ბედმა ასე გამანებივროს“...

ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი ფირუდინ შუშინსკი ერთ-ერთ თავის წერილში სათარას შესახებ წერს: „აზიურ სიმღერებში და კერძოდ სათარას სიმღერაში იმალება რაღაც პირველყოფილი სილამაზე ხმის ჭრელებით, რომელთაც ვერ მიუდგება ვერავითარი

მაიკო ორბელიანი. გრიგორი გაგარინის ნახატი

მუსიკალური გასაღები. ამ ჭრელებში, გოდებაში, ქვითინსა და სიხარულში არის რაღაც დამატყვევებელი, სულში ჩამწვდომი, რაც აღაგზნებს ადგილობრივ მკვიდრთ“.

სათარა დაუხატავს ცნობილ რუს მხატვარს, გრიგორი გაგარინს, რომელმაც თვალ-

თბილისის ბანიანი სახლები. გრიგორი გაგარინი, 1849 წ.

გრიგორი გაგარინი. ავტოპორტრეტი, 1840-იანი წლები



родиновыхъ, была убрана Азіатскими бархатами, шалями и парчами, а полъ устланъ дорогими Персидскими коврами. По сторонамъ были сдѣланы возвышенія съ ступенями и на нихъ разставлены разныя вещи и картины. Изъ средины свода, надъ площадкою спускалась люстра съ шестью хрустальными карафинами, изъ которыхъ вода била фонтанами. По правой сторонѣ фонтана, сидѣли Персидскіе музыканты и подъ мѣрный бой ихъ тамбуриновъ и бряцаніе чангуръ, извѣстный Персидскій пѣвецъ Сатаръ, прославленный при Дворѣ Шаха, пѣлъ стихи восточнаго поэта Саади, которые въ приблизительномъ переводѣ, начинаются слѣдующими словами: »Ты ли это предо мною, или то мечта? Нѣтъ, не вѣрю я своей судьбѣ, чтобъ она такъ была счастлива!

სათარას სიმღერაზე ცნობა გამოქვეყნდა თბილისში გამომავალ საგუბერნიო გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“

საჩინო როლი შეასრულა XIX საუკუნის შუა ხანების საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში. მისი სურათი „სახალხო მომღერალი სათარა ტფილისში“ ამჟამად სანქტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში ინახება.

რუსმა მწერალმა, გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორის მოადგილემ იაკობ პოლონსკიმ, რომელიც 1846-1851 წლებში თბილისში ცხოვრობდა და რომელმაც თავის შემოქმედებაში ქართული თემატიკა ასახა, 1851 წელს სათარას უძღვნა ლექსი „სათარ! სათარ! გოდებამ შენმა“. გთავაზობთ ამ ლექსის ჩემეულ თარგმანს:

სათარ! სათარ! გოდებამ შენმა,
ღრმა კაეშანმა,
კვნესა-მუდარამ, ყრუ,
ველურმა ამოძახილმა,
ხმაშეწყობილმა ჭიანურის
და დოლის ჰანგთან,
გული გამიპო, გამიგლიჯა,
სული შემიძრა.
ვინ იცის, რას მღერ —
ეგ სიტყვები შენი არ მესმის,
სხვაგვარ მუსიკას სიყმაწვილით
მე ვარ ჩვეული,
მწუხრით ცისკრამდე წამომჯდარი
ბაზზე იმღერი
და მეც ყურს გიგდებ,
გაყუჩულა მთელი თბილისი.
თითქოს შორეულ მაშრიყიდან
მე ძმა სნეული
შენით მაგონებს გულისწუხილს,
საყვედურს მითვლის.
ვინ იცის, რას მღერ —
იქნებ ამბავს შენ კი არა მის,
მეხოტბის იმავ სიყვარულის,
რამაც დანაცრა,
იქნებ შესხმასა შურისგების —
კბილი კბილის წილ,
იქნებ დიდებას სისხლიანის
ხმლისა ისლამის,
დროების, ოდეს მის წინაშე
ძრწოდნენ ყოველნი.
ვინ იცის! მესმის ეგ ვაება
უსიტყვოდ ლამის.
სათარ! სათარ! გოდებამ შენმა,
ღრმა კაეშანმა,
კვნესა-მუდარამ, ყრუ,
ველურმა ამოძახილმა,
ხმაშეწყობილმა ჭიანურის
და დოლის ჰანგთან,
გული გამიპო, გამიგლიჯა,
სული შემიძრა.

მაია ცერცვაძე

TIME

მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად, თვეში ორჯერ

მსოფლიო ბესტსელერი!

შეაგროვე 16 წიგნად

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე" მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

და შეეხე ეპოქას!

2-დან 9 ივნისამდე

წიგნის ფასი: **7 ლ**

გაზეთთან ერთად: **8 ლ**

წიგნი მეექვსე
ცივი ომი

შემდეგი წიგნი
ისრაელი და
ახლო აღმოსავლეთი

ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

„რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლეს შორსჭვრეტა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს — ამ ღალატით თავის თავს უფრო უღალატეს...“

გრიგოლ რობაქიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ლევილის არქივი გადაეცა... ამ არქივში არის კრებული „გრიგოლ რობაქიძე“ (მიუნხენი, 1984 წელი. კარლო ინასარიძის გამოცემა), რომელშიც გამოქვეყნებულია კონსტანტინე სალიას ვრცელი ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან.

საქართველოში ლევილის არქივს „ჩამოყოლილი“ გრიგოლ რობაქიძის ინტერვიუ

გიორგი კეკელიძე (*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი*): — ლევილის არქივის ჩამოტანა ჩვენი ინიციატივა გახლდათ. დაგვეხმარა კულტურის სამინისტრო და საფრანგეთის საქართველოს საელჩო. ლევილში გაემგზავრნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ლევან თაქთაქიშვილი და ნათია კობახიძე. მათ უმოკლეს დროში შეძლეს ლევილის არქივის აღწერის ორგანიზება. მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა ლევილის ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების მითითებულ ეგზემპლართა უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოძიებული და საქართველოში ჩამოტანილი ლიტერატურა უმნიშვნელოვანესი შენაძენია ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზისთვის. ეს დარბაზი შეივსო მასალებით, რომლებიც საფრანგეთში ქართულ ემიგრაციას ეკუთვნის. ჩვენ არა მხოლოდ ლევილში დაცული მასალები ჩამოვიტანეთ, არამედ სხვადასხვა ოჯახში შემონახული ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებიც ბიბლიოთეკაში არ გვქონდა და შესაძლოა, ქართული ემიგრაციის შესახებ არაერთი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა გამომზეურდეს.



კრებული „გრიგოლ რობაქიძე“ (მიუნხენი, 1984 წელი. კარლო ინასარიძის გამოცემა)

შარშან მსგავსი არქივი ჩამოვიტანეთ აშშ-

დან, საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონიდან, გერმანიიდან, არგენტინიდან... იგეგმება კიდევ არაერთი არქივის ჩამოტანა.

— გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ მწერალი არ ყოფილა...

— დიახ, შეიძლება ითქვას, გრიგოლ რობაქიძე უჩვეულო, საეტაპო ადამიანი გახლდათ. სწორედ მისი „მასტერკლასების“ შემდეგ ისეთი მოძრაობა ჩამოყალიბდა საქართველოში, რომლის წარმომადგენლებსაც სიმბოლისტებად და ცისფერყანწელებად ვიცნობთ... მისი როლი ევროპისკენ დაძვრის თვალსაზრისით განუზომელია. ძალიან მნიშვნელოვანი ავტორი იყო და ამას ადასტურებს რეცენზიები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბის მწერლებმა მიუძღვნეს... კვლავაც რჩება პასუხგაუცემელი კითხვები გრიგოლ რობაქიძესთან დაკავშირებით, მის დამოკიდებულებასთან მსოფლიოს ზესახელმწიფოთა ლიდერებისადმი, საქართველოსადმი. მაგრამ ამჯერად ალბათ მწერალი გრიგოლ რობაქიძე უფრო გვაინტერესებს...

— და მაინც, რა ვიცით გრიგოლ რობაქიძეზე, როგორც ავტორზე?

— გრიგოლ რობაქიძე, როგორც ავტორი, სხვა რესპრესირებული ავტორებისგან განსხვავებით, ყველაზე გვიან გათავისუფლდა ცენზურისგან. სხვებს ადრე შეეხო ერთგვარი ამნისტია და „შეწყალებულთა“ რიგებშიც აღმოჩნდნენ, გრიგოლ რობაქიძე კი გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მკვეთრად გასაიდუმლოებულ ავტორად მიიჩნეოდა. მხოლოდ ხელნაწერები თუ გადადიოდა ხელიდან ხელში — ქართულად დაწერილი რომანებისა და წერილებისა, ასევე გერმანულიდან თარგმნილი მისეული ესეებისა და მხატვრული ნაწარმოებებისა. ვერც 90-იანი წლების შემდგომ მოვიწონებთ თავს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების საფუძვლიანი კვლევით. ამიტომ მის შესახებ ნებისმიერი მასალა (მით უფრო ისეთი საინტერესო, როგორიც წარმოდგენილი ინტერვიუა), ბუნებრივია, მეტ ახალ, საყურადღებო შტრიხს შესძენს მის ფიგურას. და საერთოდაც, გრიგოლ რობაქიძის პირად წერილებს არც ჰქონია ე.წ. პირადის სახე. იგი, სავარაუდოდ, გამოსაქვეყნებლად იყო განკუთვნილი. ძალიან ბევრ ნიუანსს ამოვიკითხავთ არა მხოლოდ ამ ინტერვიუში, არამედ არქივში წარმოდგენილ უამრავ ისტორიული მნიშვნელობის წერილში. აქ ვიპოვით

ფარდული ლევილში, რომელსაც წიგნთსაცავად იყენებდნენ

გიორგი კეკელიძე: ჩვენ არა მხოლოდ ლევილში დაცული მასალები ჩამოვიტანეთ, არამედ სხვადასხვა ოჯახში შემონახული ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებიც ბიბლიოთეკაში არ გვქონდა

პასუხს, როგორ მსჯელობდნენ საქართველოს წარსულზე, რა შესძინათ ევროპულმა გამოცდილებამ...

ჟურნალ „ისტორიანის“ მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს ამ ინტერვიუში წარმოდგენილ უნიკალურ ინფორმაციას.

გთავაზობთ **კონსტანტინე სალიას** აღნიშნულ ინტერვიუს (სტილი დაცულია).

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან

საშინელ ხანაში ვცხოვრობთ. მსოფლიო მოსალოდნელ და მოულოდნელ მოვლენათა სათამაშო ასპარეზს წარმოადგენს. განჭვრეტა ჟამთა ცვლილებათა არავის ძალუძს. კაცობრიობას დღეს არ ამოძრავებენ დიდი, სასწაული მომქმედი იდეები. ღვთაებრივი ცეცხლი ყველგან კლებულობს. დაუცხრომელი დემონი მთელ სამყაროს დაუფლებით ემუქრება.

მსოფლიო ჭიდილის განუზომელ არეზე ჩვენც გვაქვს მოკუთვნილი ერთი ადგილი და სწორედ აქ გვმართებს გამოჩენა გონიერებისა, ქართული საუკუნოვანი გამოცდილებისა და სიბრძნისა, რომ ნიაღვარმა არ გადაგვქელოს და აღეგავოს პირითგან მიწისა. გული გიკვდება და სასოწარკვეთილება გიპყრობს, როდესაც წარმოიდგენ ნამდვილ სურათს ჩვენი მდგომარეობისა. „ზვირთებში დავცურავთ ტლუ ნავით უგზოდ და უკვალოდ“. მართლაც რომ გზა-კვალი დაგვებნა და ჩვენი ისტორიული მოვალეობანი დაგვავიწყდა. დღემდე ხომ ვისრულებდით მას ერთად, შეთანხმებულად, დინჯად და მოფიქრებულად! დღეს კი, ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, ისეთ მიუტევებელ შეცდომებს ჩავდივართ ჩვენი ერის მიმართ, რომ თუ დროზე გონს არ მოვედით, ჩვენ ვერ ჩავწერთ სასახელო ფურცლებს ემიგრაციის მიერ წარმოებულ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში. ვერავითარი მჭევრმეტყველებით ვერ დავმალავთ შეცდომათ, ჩვენ მიერ დაშვებულთ, და ვერც ლამაზი ჩადრით დავფარავთ ცუდ საქმეთ, ჩვენ მიერ გაკეთებულთ.

ჩვენთვის ასე მწვავე და საბედისწერო დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ განძრახვა მომივიდა ვესაუბრო ჩვენ წარჩინებულ, გამოცდილ უფროსთ და მათ ნაფიქრალი და აზრი გადავცე „ბედი ქართლისას“ მკითხველთ. ამ მიზნით ვესტუმრე პირველად დიდ მწერალს, გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც სიამოვნებით დასთანხმდა მივწოდო ჩვენი ჟურნალის საშუალებით ქართველ საზოგადოებას მისი შეხედულებანი, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუცხადებ.

კ.ს. — ბატონო გრიგოლ, თქვენ თვითონ იცით, თუ რა დიდი დანაკლისია ჩვენთვის გარდაცვალება საქართველოს პრეზიდენტისა — ნოე ჟორდანიასი. საინტერესოა თქვენი აზრი განსვენებულის შესახებ.

გ.რ. — ნოე ჟორდანია საქართველოს თავგადასავალში ფრიად მნიშვნელოვანი და ამდენადვე რთული მოვლენაა. ჩემი აზრი ამ მოვლენის შესახებ გამოვთქვი მოკლედ ჯერ კიდევ 1920 წელს, როცა გაზეთში „ბარიკადა“ ნოე ჟორდანიას ლიტერატურული პორტრეტი გამოვაქვეყნე. იქ გამოთქმული აზრი ჩემში შემდგომ კიდევ უფრო განმტკიცდა. უკვე დავამზადე ვრცელი წერილი — „ნოე ჟორდანია, როგორც მამულიშვილი“, რომელიც თავის დროზე „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდება. ვამბობ „თავის დროს“, — რათგან თქმაც შესაფერ დროს მოითხოვს.

კ.ს. — რას ფიქრობთ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში?

გ.რ. — ქართული საქმის გაგება მოითხოვს საქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მოითხოვს თავის მხრივ გაგებას ცნებისა „ხალხი“.

კ.ს. — საინტერესოა მოსმენა თქვენი განმარტებისა ცნება „ხალხი“.

გ.რ. — ხალხი — ეს ევროპაშიდაც არაა. უკანასკნელი სიღრმით გარკვეული ხალხი არაა ამა თუ იმ დროს სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა — იგი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. არსად არ ცხადდება ეს ისე მკაფიოთ, როგორც ენაში. იტყვის რომელიმე ქართველი მწიგნობარი, მაგალითად „დავით აღმაშენებელმა განამტკიცა ხელმწიფება ქართველთა“. ამავე დროს ქართველი დიასახლისი ამბობს: „შვილო, ფქვილი გამტკიცე“. აქაც და იქაც ერთი და იგივე სიტყვაა „მტკიცება“, პირველ შემთხვევაში ხმარებული „გამაგრებისა“, მეორეში კი მნიშვნელობით „განწმენდისა“. გამოდის: რაც განწმენდილია, „მაგარია“ და რაც მაგარია, — „განწმენდილი“. აზრი უღრმესი: თუ ნივთიერი ელემენტი შეზავებისას დაწმენდილი არაა, მისგან გამოყვანილი ფოლადი უღრუო არ იქნება, ე.ი. „მაგარი“ (როცა ვამბობ ხოლმე, ქართული ენა უგენიალურესი ქმნილებაა ენათა შორის-მეთქი, ვგულისხმობ ამ შინაარსს). ვინ იაზრა ეს აზრი? რომელიმე გიორგიმ, რომელიმე დავითმა? ყოველ გიორგის და ყოველ დავითს წინ ხვდება იგი უკვე გააზრებული. ავტორი ამ აზრისა — ხალხია, ამ შემთხვევაში ქართველი ხალხი. ხალხი ადამია-

ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან — კრებულის გვერდები



ემიგრაციის დარბაზი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ნის სახეობაა. ეს დებულება მომდინარეობს ძველთა-ძველი ცნებისგან „მარადი ადამიანი“. ეს სწავლა ამოიჩქმალა საუკუნეთა სვლაში. სამწუხაროთ, აქა თუ იქ იცვლება ხოლმე იგი დროდადრო. Antione fabre d'Olivei-ემ გენიალურად განმარტა ადამი, წიგნში „ებრაული ენა“, 1815, როგორც უნივერსალური კაცი. „გენიალურად“ ნიშნავს აქ: პლატონურად, ადამი პლატონური ცნებაა. ჩვენი დროის სახელგანთქმული ფსიხოლოგი G.G. Jung, თუმცა იგი გაურბის ყოველგვარ მეტაფიზიკას, იძულებულია გამოიყენოს კვლევისას ეს ცნება. იგი ამბობს: რომ შეიძლებოდეს განპირობება შეუცნეველისა, ეს იქნებოდა კოლექტიური კაციო, რომელშიდაც ვიხილავდით მილლიონ წელთა მანძილზე ვირტუალური სახით ყოველ რასას, ყოველ ხალხს, ყოველ ტომს, ყოველ გვარს, ყოველ ინდივიდსა-ო. ეს „კოლექტიური კაცი“ სხვა არა არის რა, რაიც იგივე „ადამი“. ვიტყვით ხომ: „კუდი“-ანი, „ბარდი“-ანი, „მუნიანი“ და სხვა. „ადამიანი“ ადამისგან წარმოშობილს კი არ ნიშნავს — არამედ ცალკეულს, რომელშიც „ადამია“. სხვათა შორის, მხოლოდ ამ განმარტების გასწვრივაა შესაძლებელი ნამდვილი გაგება ბაგრატიონთა თქმისა: „ჩვენ, დავითიანნი“. განა ეს იმას ნიშნავს როგორც ჰგონიათ, თითქო ბაგრატიონთ ებრაელი მეფის დავითისგან გამოჰყავდათ მათ წარმოშობა? არა, ისინი აქ სულ სხვა რამეს იგულვებდნენ.

კ.ს. — შეიძლება განმარტოთ, რას?

გ.რ. — სახარებაში ქრისტე იწოდების როგორც „ძე ღვთისა“ და როგორც „ძე კაცისა“. როგორც „ძე კაცისა“ იგი მოევლინა ქვეყანას მეფე დავითის მეფის ხაზით. ბაგრატიონთ ისე მძაფრად სწამდათ ქრისტე, როგორც „ძე ღვთისა“, რომ მას, „ძეს კაცისა“, ამ ხაზით იგულვებდენ აქეთგან ჩვენ დავითიანნი.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ: არ განეცადა პლატონს უღრმესად „ადამიანი“, როგორც ეს გაუგია ქართველთა გენიას, იგი ვერა რომელიმე სხვა გზით „მიაგონებდა“, ე.ი. მიაგნებდა იდეას.

ამრიგად, „ხალხი“ როგორც ცოცხალი არსი, კრებითი პიროვნებაა. „მთლად“ არ ვლინდება იგი არც ერთს ხანაში — ხოლო ყოველ ხანაში იგი „იგივეა“. სხვანი იყვნენ ქართველნი მაგალითად, მეთხუთმეტე საუკუნეში, სხვანი ვართ დღეს ქართველნი — გარნა ისინიც და ჩვენც ერთნი ვართ და იგივენი; ქართველნი, არსიც ერთია და იგივე ქართველებში.

ეს ქართველი ხალხია ვითარ ცოცხალი არსი. იგი მითიურ პიროვნებად გვევლინება, რომლის სახელია ქართუ ანუ კარდუ. აქეთგან ქართუელო, ქართველი — ანუ კარდუელი, კარდველი. აქ ნათქვამი ჩემს ახალ წიგნშიც საქართველოზე, ფრანგული თარგმანი მზადაა — არის მოქცეული. ვისაც ჰსურს კონკრეტულად წვდეს ჩემს შეხედულებას, მან უნდა მიმართოს გოეტჰეს სწავლას თაურმცენარეზე. გოეტჰური სწავლა საგნისა ინდოეთშიც იყო ცნობილი სახელით „ლინგა — შარირა". წარმოიდგინეთ: რომელიმე ხალხში გაწყდა ძაფი ხალხის ამგვარი შეგნების: რიცხვით ასი მილლიონიც რომ იყოს, იგი გადაშენებისკენ მიდის.

კ.ს. — მე თქვენ შეგეკითხეთ, რას ფიქრობთ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში. რაც თქვენ ბრძანეთ, უაღრესად მნიშვნელოვანია და საინტერესო, მაგრამ ის არ უპასუხებს კონკრეტულად ჩემს შეკითხვას.

გ.რ. — თუ ამრიგად არ იქნა „ხალხი" შეგონებული და „შეგრძნებული", მაშინ ყოველი ცდა ხალხის საქმის მოგვარების ყოველ პირობებში მრუდეთ წავა. როცა დღეს, ჩვენ ქართველნი, რომელიმე კონკრეტული საქმის გასაყვანად ვიბრძვით, ზემოთქმული არ უნდა გამოგვეპაროს თვალთა ხედვიდან. თუ ასე იქნება შეგონებული და შეგრძნებული „ხალხი", მაშინ აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიკურ დარაზმულობათა არ იქცევა გამთიშავ უთანხმოებად.

1917 წ. „ეროვნულ ყრილობაზე", საცა საძირკველი ჩაეყარა მაისის 26-ს, ასეთი მთლიანი გზნება ხალხისა სუფევდა. ეს ემიგრაციაში დღეს დარღვეულია.

თუ ქართველთა პოლიტიკურ დარაზმულობათა ურთიერთშორის არ განიფინა ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც სუფევდა იმ ისტორიულ ყრილობაზე, ქართული საქმე უკუღმართად წავა.

კ.ს. — თქვენ ალბათ წაკითხული გექნებათ წიგნაკი „საქართველო ევროპა". გამოცემული ქართული ევროპული მოძრაობის თაოსანთა მიერ. თქვენ როგორც მწერალი შესული ხართ ევროპაში და ღრმად გაგეგებათ იგი. დიდად საინტერესოა გაგვაცნოთ თქვენი აზრი ამ წიგნაკში გამოთქმულ დებულებების შესახებ...

გ.რ. — დიახ, ეს წიგნაკი წავიკითხე. წავიკითხე დიდი ინტერესით და დავუმატებ დიდი სიხარულით. პოლიტიკური კონცეპტი ამ წიგნაკში შეყვანილი, უკანასკნელი ხვედრია დღევანდელ ისტორიულ პირობებში. ამ კონცეპტით თქვენ შეგიძლიათ დაელაპარაკოთ როგორც რუსეთს, აგრეთვე ოსმალეთს, ისევე ყველა სხვა ხალხთ — ყოველგვარი „ფსიხოლოგიზმის" აცილებით. საქართველოს დღევანდელი საქმისთვის ეს კონცეპტი პირდაპირ ზედგამოჭრილია. ამავე დროს ეს კონცეპტი დღევანდელ ისტორიულ ძალებს გაუადვილებს ამ დარგში საქმიანობას.

კ.ს. — დღეს ჩვენი ემიგრაციის წინაშე დგას მეტად მწვავე საკითხი რუსებთან ურთიერთობის ირგვლივ, რას გვეტყვით ამის შესახებ?

ლეგილის ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

გ.რ. — აქაც საერთოდ უნდა გიპასუხოთ, თუ რას ვფიქრობ რუსეთზე. ჩემთვის ყოველი ხალხი სახეობაა ღვთიური მრავალსახიერებისა. ასეთია რუსი ხალხიც. რუსთა გენიის ძლიერება ცხადდება რწმენაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, სიმღერაში, გალობაში, თეატრში, ბალეტში, ხელმწიფებაში? გარუსებული ბალტიელი ვლადიმირ ვეიდლე ალბათ, ამბობს რუსებზე:

„Cette resignation a de rien faire, lorsqu'on ne peut pas faire tout, ce mepris de n'importe quel bien qui n'est pas le bien Supreme, ils sont pour La russie une Sourse de Grandeur, et aussi une cause de ruine („La Russie absente et presente").

[„...ეს გადადგომა არ წარმოადგენს რამე არსებითს, როცა არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება. როგორი სიკეთეც უნდა იყოს, რუსეთისთვის ეს დიდების წყაროა და ამავე დროს კრახის მიზეზი („რუსეთი, რომელიც არ არსებობს და რუსეთი, რომელიც სახეზეა") (*ციტატის თარგმანი ჩვენია. — მ.გ.*).]

ფორმულა ზეგამოჭრილია. რუსეთის მმართველთ რომ შეეგნოთ ეს ხაზი რუსული ბუნებისა, მაშინ მათი ხელმწიფება სულ სხვა გეზით გაიმართებოდა: ფსევდოიმპერიის მაგივრად „საკრალურ მეფობას" განამტკიცებდნენ (ხალხი, როგორც ზეპიროვნული არსი, ვერ ნახულობს ხშირად ცალკეულში თავის ნამდვილ მსახველს. მეთაურის დანიშნულება სწორედ ისაა: მიაგნოს ხალხის შუაგულს და შეიგნოს იგი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველ ხალხს, როგორც ყოველ არსს, თავის საკუთარი საფრთხე აქვს. მეთაურის საქმეა: განსჭვრიტოს ეს საფრთხე, რათა დაიურვოს იგი. აი, ნამდვილი ფორმულა მეთაურის დაფასებისთვის). ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ მათ წინ არ იდგა გარდაულახავი სიბნელე, რომელიც აღიმართა გერმანელ კაიზერთა წინ ამგვარივე მეფობის გამართვის ცდაში. კათოლიკური ეკლესიის კონცეპტით პაპი „ნაცვალია ქრისტესი" ამქვეყნად და როგორც ასეთი სპირიტუალურ უფლებას ვერ დაუთმობდა მფლობელს ამქვეყნიური ძალისა — რუსეთის ეკლესია მართლმადიდებელი, კი ასეთს „ნაცვალს ქრისტეს" არა ცნობს. დავუმატოთ ამას ისიც, რომ რუსი ხალხის წიაღში მეფე წარმოსახული იყო მუდამ ვითარ „კურთხეული". შეიგნეს ეს რუსეთის მეფეებმა? „საკრალური მეფობის" განვრცობის მაგიერ მათ იწყეს იმპერიალისტური ექსპანსია, რისთვისაც არ გააჩნდათ ნიჭი არც რომაელთა და არცა ბრიტანელთა. აბა, მითხარით, რომელ ბრიტანელს მოუვიდოდა აზრად ეს უაზრობა: ეთნიკური გადაგვარება იმპერიაში მოქცეულ ხალხთა? რუსეთის იმპერატორების პოლიტიკა კი რუსსიფიკაციის ხაზით იყო მიმართული. შექმნა ამ პოლიტიკამ იმპერია? უთუოდ — გარნა ერთი განსაზღვრით: იმპერიული განვრცობა აქ სიმსივნედ იქცა, ვთქვათ ევროპული სიტყვით „ელეფანტიაზისად". ეს აშკარა გახდა ყველასთვის რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

დავანებოთ თავი ყველაფერს — განვიხილოთ არსებითად საქართველოს დაკავშირება რუსეთთან. დავუშვათ ერთი წუთით: რუსეთის მეფეებს არ გაეუქმებინათ საქართველოს სამეფო, რა იქნებოდა? რუსეთის იმპერატორი იქნებოდა — გამოვთქვათ ფეოდის ცნებით „Lehnsherr", ქართველი მეფე „Lehnsmann". პირველი — მფლობელი მოტივე, მეორე მფლობელი მომხრე. ორივე ერთი-მეორის მიმართ. რაინდი რაინდის მიმართ. როგორ იქნებოდა გამაგრებული რუსეთი აღმოსავლეთის ბჭესთან! რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლეს შორსჭვრეტა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს — ამ ღალატით თავის თავს უფრო უღალატეს.

მოამზადა მანანა გაბრიჩიძემ

(დასასრული მომდევნო ნომერში)

week

ჟურნალთან ერთად
შეაგროვე 2014 წლის
მსოფლიო ჩემპიონატის
ფავორიტების
პოსტერები!

მაღალპოლიგრაფიული, სპორტული ჟურნალი, ყოველ შაბათს
შექმნილია გაზეთ „ლელოს“ ბაზაზე

სასანიანთა ირანის მეფე ნადირობისას. ვერცხლის თასი (V-VI საუკუნეები)

ქართულ-სასანური მონეტები

პირველი ქართული ფული ჯვრის გამოსახულებით და ქართული წარწერებით

სასანური სამონეტო ტიპის მიხედვით მოჭრილი დრაქმები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან არის ცნობილი. მონეტებს ქართული წარწერები და ჯვრის გამოსახულება ამშვენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში კი მათ აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: „ქართულ-სასანური მონეტები“ ან „ქართლის ერისმთავართა დრაქმები“. ეს არის ძალიან საინტერესო და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური ჯგუფი.

წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე III საუკუნეში გამოჩნდა ახალი, მძლავრი სახელმწიფო, რომლის სათავეშიც სასანიანთა დინასტია იდგა, ამიტომ ამ სახელმწიფოს სასანიანთა ირანს ეძახიან. მან მალე მოიპოვა გავლენა კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილზეც, და აქაური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაც შეცვალა. სასანიანთა

ვერცხლის მაღალხარისხოვანმა მონეტებმა აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზარი თანდათან მთლიანად დაიპყრო, მოგვიანებით კი მასზე გაჩნდა ქართული ნიშნებიც. ამჯერად სწორედ ამ ჯგუფის მონეტებზე მოგითხრობთ.

სასანიანთა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის, კავკასიის ტერიტორიის დასაუფლებლად, მუდმივი დაპირისპირება მიმდინარეობდა. 532 წელს მათ დადეს „საუკუნო ზავი“, რომლის ძალითაც ბიზანტია აღმოსავლეთ საქართველოზე ირანელთა ბატონობას ცნობდა. ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა. ქართველებს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა მთელი VI საუკუნის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ. ეს მოვლენები ქართულ-სასანურ მონეტებზეც აისახა.

როგორც ვთქვით, ამ დროს ჩვენში ფული სასანური ირანის ტიპის მონეტების მიხედვით იჭრებოდა. მონეტის შუბლზე ყოველთვის გამოსახავდნენ ირანის შაჰის ბიუსტს, ხოლო ზურგზე — ცეცხლთაყვანისმცემელთა სიმბოლოს საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლით, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. მეამბოხე ქართველებმა ამ შაბლონურ ტიპს შაჰის მხარს ზემოთ ქრისტიანობის სიმბოლო, ჯვარი მიუმატეს, რომელიც ეროვნულ სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ეს გახლდათ დიდი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი. ზოგჯერ მონეტების კიდეზე, მმართველის გამოსახულების ზემოთ, ქართულ ასოებს ან მონოგრამებს ვხვდებით, რომლებიც ქართველ ერისმთავართა სახელებს გვაუწყებს. მეტიც: ქართველებმა აგიზგიზებული ცეცხლის ნაცვლად, ჯვარი მოათავსეს საკურთხეველზე და ამით ქართული მონეტიდან ირანელთა ემბლემა დემონსტრატიულად განდევნეს. ერისმთავარმა სტეფანოსმა კი მმართველის გამოსახულების გვერდით თავისი სახელი სრულად განათავსა. აქ იშვიათი სიზუსტით არის ასახული ქართველებისა და ირანელების ბრძოლების პერიპეტიები, მისი დასაწყისი და დასასრული.

გურგენ ერისმთავრის დრაქმები

ქართულ-სასანურ დრაქმებს შორის ალბათ პირველია გურგენის მონეტები. სამეცნიერო ლიტერატურაში გურგენის სახელით მოჭრილი სულ ექვსი მონეტაა ცნობილი. ეს დრაქმები სასანიანთა ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) მონეტების სრული მიბაძვაა. ერთადერთი განმასხვავებელი დეტალია მონეტის შუბლზე, შაჰის გამოსახულების ზემოთ დატანილი ორი ქართული ასომთავრული გრაფემა ᲒᲠ (ან მათი ლიგატურა), ე.ი. — გურგენ. მონეტის ზურგზე ამოკვეთილია დამახინჯებული თარიღი, რომელიც ჰგავს 7-ს (ე.ი. ჰორმიზდ IV-ის მეფობის მეშვიდე წელი, 579+7=586 წ.). ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გურგენის მონეტა მაინცდამაინც ჰორმიზდ IV-ის მეფობის მეშვიდე წელს მოიჭრა, თარიღი შესაძლოა იმაზე უფრო მიუთითებდეს, რომ ქართლის ერისმთავრის დრაქმა მოჭრილია ჰორმიზდ IV-ის მეფობის მე-7 წლით დათარიღებული მონეტის მიხედვით. მაგრამ აშკარაა, რომ მისი ემისია არ შეიძლებოდა მომხდარიყო 586 წელზე ადრე.

ვინ იყო გურგენი?

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გურგენი გაიგივებულია ჩვენს წერილობით წყაროებში მოხსენიებულ გუარამთან. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ის ქვეყანას 575-600 წლებში მართავდა. მაგრამ ქართული წერილობითი წყაროები შედარებით გვიანდელია. თანადროულ უცხოურ წერილობით წყაროებში კი იხსენიება არა გუარამი, არამედ — გურგენი.

ესე იგი, რეალური პიროვნება აშკარად გურგენია და არა გუარამი.

პროფესორ გიორგი დუნდუას აზრით, გურგენს აღნიშნული მონეტა 589 წლის ბოლოს და 590 წლის გაზაფხულზე უნდა მოეჭრა, როცა ირანში არეულობა იყო.

მონეტები ცეცხლის გამოსახულებით საკურთხეველზე

გურგენის დრაქმები

ᲐᲚᲬᲔᲠᲐ: ვერცხლი
რემედიუმი: 2,70-2,98 გრამი
დიამეტრი: 26/28-28/31 მილიმეტრი
შუბლი: მარჯვნივ მიმართული ირანის შა-

სასანიანი მეფე გვირგვინით (V-VII საუკუნეები). სწორედ ამგვარი გვირგვინებია გამოსახული იმ ეპოქის შაჰების მონეტებზე

ჰის ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა — ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი). ირგვლივ შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ერთმაგი რკალი, რომელიც გამოსახულების თავთან გახსნილია, სადაც ორი მთავრული ასო ᒪᖺ (ზოგჯერ ლიგატურით) არის მოთავსებული, რაც იშიფრება, როგორც გურგენ.

ზურგი: საკურთხეველი სადა სვეტის სახით, რომელზედაც მაზდეანობის სიმბოლო — წმინდა ცეცხლი ანთია. საკურთხეველს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღისა და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები თითქმის მთლიანად დამახინჯებულია. ერთერთ მონეტაზე თითქოს იკითხება თარიღი — 7 (ე.ი. ჰორმიზდ IV-ის მეფობის მე-7 წელი).

ზარაფხანა: უცნობია

ნომინალი: დრაქმა (2,70-2,98 გრამი)

თარიღი: 589-590 წწ., ან 588-589 წწ. (?)

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 3 ცალი, ბერლინის მუზეუმი — 4 ცალი, ერმიტაჟი (სანქტ-პეტერბურგი) — 1 ცალი (ყველა უპასპორტო)

ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის დრაქმა

დაახლოებით იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს აგრეთვე, სხვა წყაროებით უცნობი ქართლის ერისმთავრის, ჯონბერის ან ჯუანშერის სახელით მოჭრილი უნიკალური მონეტა. ის ისეთივეა, როგორიც გურგენის მონეტები, ოღონდ შაჰის გამოსახულების თავზე გურგენის აღმნიშვნელი ასოები შეცვლილია ორი ასომთავრული ნიშნით: ᒍᑫ.

არსებობს ᒍᑫ-ს გაშიფვრის სხვადასხვა ვერსია („ჯავახეთი“, „ჯვარო“), თუმცა, ყველაზე რეალურია მისი გაიგივება ჯონბერ-ჯუანშერთან.

ჯონბერ//ჯუანშერი წერილობითი წყაროებით უცნობი ერისმთავარია, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გურგენის შემდეგ ჩანს, მაგრამ მეტად ხანმოკლე დროით, შესაძლოა ერთი წლით, ან რამდენიმე თვითაც კი (მონეტის უნიკალურობაც ამის დადასტურებაა).

ჯონბერ//ჯუანშერის მონეტაზე მოთავსებული დამახინჯებული თარიღი (და სხვა დეტალებიც) ადასტურებს, რომ ის უკვე გურგენის დრაქმის მინაბაძია და არა ორიგინალური სასანური მონეტისა. ჯონბერ//ჯუანშერის ფულის მოჭრის დრო 590-591 წლებით უნდა დათარიღდეს.

მონეტები ცეცხლის გამოსახულებით საკურთხეველზე

ჯონბერ//ჯუანშერის დრაქმა

ᲐᲚᲬᲔᲠᲐ: ვერცხლი

წონა: 2,73 გრამი

დიამეტრი: 24/25 მილიმეტრი

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა — ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი). გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ერთმაგი რკალი, რომელიც გამოსახულების თავთან შეუკრავია — აქ მოთავსებულია ორი მთავრული ასო ᒍᑫ, რაც იშიფრება, როგორც ჯონბერ//ჯუანშერ.

ზურგი: საკურთხეველი სადა სვეტის სახით, რომელზედაც მაზდეანობის სიმბოლო — წმინდა ცეცხლი ანთია. საკურთხეველს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღისა და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები დამახინჯებულია.

ზარაფხანა: უცნობია
ნომინალი: დრაქმა (2,73 გრამი)
თარიღი: 590-591 წწ.
კოლექცია: ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი (უპასპორტო)

ანონიმური მონეტები ჯვრის გამოსახულებით

სასანიანთა ირანში VI საუკუნის ბოლოს შიდა დაპირისპირება მოხდა. აჯანყებულმა ბაჰრამ ჩუბინმა მოახერხა ხოსრო II-ის (590, 591-628 წწ.) დამარცხება და შაჰის ტახტი დროებით მიიტაცა. ხოსრო II-მ დაკარგული ტახტის დაბრუნება ბიზანტიის კეისარ მავრიკეს (582-602 წწ.) ჯარის დახმარებით 591 წელს მოახერხა.

ამის შემდეგ, იმავე 591 წლის გაზაფხულზე ბიზანტიასა და ირანს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ხოსრო II-ს ბიზანტიის დახმარების სანაცვლოდ დიდი კომპენსაციის გაღებამ მოუწია. მან ბიზანტიის სასარგებლოდ ირანის ჰეგემონობა დათმო არმენიის დიდ ნაწილსა და ქართლზე თბილისამდე. ამის გარდა, ხოსრო II-მ ირანის ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა დაუშვა. მეტიც: ქრისტიანობამ ხოსრო II-ის მმართველობისას ისეთი პრივილეგიები მოიპოვა, რომ თვით ირანის იმპერიაში იქცა მაზდეანობის მეტოქედ.

ათი წელიწადს ბიზანტიისა და ირანის ზავი არ დარღვეულა.

სწორედ ამ დროს, 591-593 წლებში უნდა იყოს მოჭრილი ქართულ-სასანური მონეტების ანონიმური სერიის ორი ტიპი: პირველი — ანონიმური მონეტები შუბლზე ჯვრის გამოსახულებით; მეორე — ანონიმური მონეტები კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრით.

ჩვენამდე მოღწეულია ორივე ტიპი მონეტების ხუთ-ხუთი ეგზემპლარი. კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრისგამოსახულებიანი მეექვსე მონეტა აღმოჩენილია 1900 წელს ძველი ბაბილონის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული უზარმაზარი განძის შემადგენლობაში.

სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქტია და ის, ალბათ, გაცილებით გაბედული ნაბიჯია, ვიდრე შაჰის გამოსახულებასთან ქართული ასოების ამოკვეთა. ჯვრის გამოსახვით ქართლმა ფაქტობრივად, საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. მეტიც: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანობის ემბლემა — წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილას (კვარცხლბეკზე) დემონსტრატიულად აღმართა ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო — ჯვარი. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართლი ბიზანტიის ეგიდის ქვეშ მოექცა, ე.ი. 591 წელს და მის შემდგომ ხანებში.

ანონიმური მონეტები ჯვრის გამოსახულებით შუბლზე

აღწერა: ვერცხლი
რემედიუმი: 2,92-3,83 გრამი
დიამეტრი: 30-31/34 მილიმეტრი

ხოსრო II მის საყვარელ ცხენზე, შაბდიზეა ამხედრებული. რელიეფი თაღე ბოსთანის ქვაში ნაკვეთი კომპლექსიდან

სასანიანთა ეპოქის ვერცხლის ვაზა, შემკულია ყურძნის მოსავლის აღების სცენებით. დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (VI საუკუნე)

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა — ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უაგგუსტესი), უკან — ტოლფერდა ჯვარი, რომლის ბოლოებზე ბურთულებია მოთავსებული. გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ერთმაგი რკალი.

ზურგი: საკურთხეველი სადა სვეტის სახით, რომელზედაც მაზდეანობის სიმბოლო — წმინდა ცეცხლი ანთია. საკურთხეველს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღისა და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები დამახინჯებულია.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: დრაქმა (2,92-3,83 გრამი)

თარიღი: 591-593 წწ., ან 586-587 წწ. (?)

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 4 ცალი, ერმიტაჟი (სანქტ-პეტერბურგი) — 1 ცალი (ყველა უპასპორტო)

ანონიმური მონეტები კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრით

აღწერა: ვერცხლი

რემედიუმი: 2,44-3,23 გრამი

დიამეტრი: 26/27-29/30 მილიმეტრი

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება. გამოსახულების წინ ფალაური ლეგენდა — ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უაგგუსტესი). გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ერთმაგი რკალი

ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღისა და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები დამახინჯებულია.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: დრაქმა (2,44-3,23 გრამი)

თარიღი: 591-593 წწ., ან 586-587 წწ. (?)

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 3 ცალი, ერმიტაჟი (სანქტ-პეტერბურგი) — 2 ცალი (ყველა უპასპორტო)

ქართლის ერისმთავარ სტეფანოსის მონეტები

პირველი ემისია

ქართულ-სასანურ დრაქმებს შორის ყველაზე გვიანდელი ალბათ სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტებია. ისინი ორ ემისიად იყოფა. პირველ ემისიას ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტა განეკუთვნება. მონეტა უპასპორტოა.

აღნიშნული მონეტის ატრიბუციას არავითარი დავა არ გამოუწვევია: ის მეცნიერებმა ერთხმად მიაკუთვნეს ქართლის ერისმთავარ სტეფანოს I-ს (600-619 წწ.).

ფორმალური ნიშნების გამოყოფის შემდეგ, ნუმიზმატმა ევგენი პახომოვმა ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტა შეუდარა ირანის შაჰების ჰორმიზდ IV-ისა და ხოსრო II-ის (590/591-628 წწ.) ორიგინალურ დრაქმებს და ამ გზით სტეფანოსის მონეტის ქრონოლოგიური ჩარჩო დაადგინა.

ევგენი პახომოვის ვარაუდით, ქართველმა ოსტატმა მონეტის პროტოტიპად ჰორმიზდ IV-ის დრაქმა აიღო, რაზეც მიუთითებს წარწერა, მეფის ბიუსტი და მონეტის შუბლზე გამოსახული ერთმაგი რკალი. მაგრამ მონეტის ზურგზე გამოსახული ორმაგი რკალი უდავოდ აღებულია ხოსრო II-ის საფასეებიდან (ვინაიდან ჰორმიზდ IV მხოლოდ ერთრკალიან მონეტას ჭრიდა). ამგვარად, ბერლინის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური ცალის ემისია სავარაუდოდ, მაშინ მოხდა, როდესაც ქართლი დამოკიდებული იყო ირანზე და აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში ძირითადად ჰორმიზდ IV-ის მონეტები იყო, ხოლო ხოსრო II-ის დრაქმები ახალი შემოსული იყო ან იმ დროს იწყებდა შემოსვლას. ამიტომ ამ მონეტის ემისიის დროდ მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება მივიჩნიოთ 593 წელი ან შემდგომი ხანა, მაგრამ არაუგვიანეს 595 წლისა.

მეორე ემისია

სტეფანოსის მეორე ემისიის მონეტები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში მხოლოდ

სასანიანთა ირანის მეომრები: მძიმედ შეჯურვილი ცხენოსანი (მარცხნივ) და მედროშე (მარჯვნივ)

11 ეგზემპლარია დაცული. გარდა ამისა, 10 ცალი მოხსენიებულია ლიტერატურაში, მათი ნაწილი შედის მუზეუმების კოლექციებში. ყველა მათგანი უპასპორტოა და ამ მონეტებზე ასომთავრული ასოებით სრულად აწერია ერისმთავარ სტეფანოსის სახელი.

მონეტები ჯვრის გამოსახულებით საკურთხეველზე

სტეფანოს I. პირველი ემისია

აღწერა: ვერცხლი
წონა: 2,9 გრამი
დიამეტრი: 28 მილიმეტრი

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება. ფალაური ლეგენდა — ჰრმ-აფზუ (ჰორმიზდ უავგუსტესი). ყველაფერი ეს ჩასმულია შეერთებული წერტილებისგან შემდგარ ერთმაგ მსხვილ რკალში. მონეტის კიდეზე ოთხი ქართული მთავრული ასო — სΦᏒᏂ (სფნს — სტეფანოს), შემორკალური ოთხი ნახევარმთვარით.

ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღი და ზარაფხანის სახელი იმდენადაა დამახინჯებული, რომ წაკითხვა შეუძლებელია. გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ორმაგი რკალი.

ზარაფხანა: უცნობია
ნომინალი: დრაქმა (2,9 გრამი)
თარიღი: 593-595 წწ., ან 591 წ. (?)
კოლექცია: ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი (უპასპორტო)

მონეტები ჯვრის გამოსახულებით საკურთხეველზე

სტეფანოს I. მეორე ემისია

აღწერა: ვერცხლი
რემედიუმი: 2,03-3,02 გრამი
დიამეტრი: 25/26-28 მილიმეტრი

შუბლი: მარჯვნივ მიმართული შაჰის/მმართველის გამოსახულება. ფალაური წარწერის ნაცვლად გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასომთავრული ლეგენდა — ᏕᎾΦᏥᏂᏍᏕ (სტეფანოს). გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი ორმაგი რკალი.

ზურგი: კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. კვარცხლბეკს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. ფალაური წარწერა აღარ თავსდება. გარშემო შეერთებული წერტილებისგან შემდგარი სამმაგი რკალი.

ზარაფხანა: უცნობია
ნომინალი: დრაქმა. 2,03-3,02 გრამი
თარიღი: 595-600/602 წწ., ან 592 წ. (?)

სტეფანოსის მონეტის ზურგზე გამოსახული კომპოზიცია, კვარცხლბეკზე ამაყად აღმართული ჯვარი ისეთივეა, როგორიც ქართულ-სასანური ანონიმური დრაქმების ერთ-ერთ ტიპზე. აქ თავისთავად დგება საკითხი ამ ანონიმური მონეტების სტეფანოსისადმი მიკუთვნების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრისგამოსახულებიანი ანონიმური მონეტები არ შეიძლებოდა სხვა ვინმეს მოეჭრა, თუ არა სტეფანოსს(?). ამის სასარგებლოდ მიუთითებს მონეტათა ზურგის საერთო ტიპი (კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი).

შესაძლოა, ყველაფერი ასე ყოფილიყო: პირველად სტეფანოსმა, პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლის საწყის ხანაში, თავის მონეტაზე, შაჰის გამოსახულებასთან, მინიატურული ჯვარი მოათავსა. ეს, ალბათ, უფრო ირან-ბიზანტიის ზავის დადების პირველ ხანებში უნდა მომხდარიყო. იმ დროს ზავის პირობები, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი. ამის შემდეგ კი მას უნდა მოეჭრა ანონიმური მონეტები ჯვრის გამოსახულებით კვარცხლბეკზე და წარწერიანი დრაქმები.

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს გამორკვეული აქვს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა VI საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ყველა ნიშნის მიხედვით, ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია და ტაძრის მშენებლობის დაწყება-დამთავრება თანადროულია. თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით ეს ორი მომენტი (მონეტის მოჭრა და ტაძრის მშენებლობა) ტოლფასოვანი ღონისძიებებია. ორივე მათგანს, მინიატურულ მონეტასა და გრანდიოზულ ტაძარს, ერთი და იგივე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფუნქცია აქვს: ის არის განაცხადი ქართლში მაზდეანობის აღსასრულისა და ქრისტიანული რელიგიის, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის გამარჯვების შესახებ.

„ქართული ნუმიზმატიკის“
(ნაწ. I. ავტორები: გიორგი დუნდუა,
თედო დუნდუა. თბ., 2006) და
„ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-
ქართული ონლაინ-კატალოგის“
მიხედვით მოამზადა
ალექსანდრე ბოჟიშვილმა

მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, აღმოსავლეთის ფასადი

აღმოსავლეთი ფასადის რელიეფი. ერისმთავარი სტეფანოს I ქრისტეს წინაშე, წარწერილი მოსახსენებლით: „ჯუარო მცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა, პატრიკიოსი შეიწყალე“

კიდევ რას „მალავს“ ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონი ახალ აღმოჩენებს ელოდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, უძველესი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გეოფიზიკური კვლევები მოეწყობა. უახლესი მეთოდი საშუალებას იძლევა, წინასწარ დადგინდეს, რა ადგილზე შეიძლება აღმოჩნდეს არტეფაქტები და რომელ მონაკვეთზე უნდა დაიგეგმოს შემდგომი არქეოლოგიური გათხრები.

ბოლნისში ნაპოვნი მონეტა

ინყება ეხთ-ეხთი უძველესი ძეგლის გეოფიზიკური კვლევები

V საუკუნის ტაძარი ჯერ კიდევ 1916 წელს შეისწავლა გიორგი ჩუბინაშვილმა. ბოლნისის სიონის ფართომასშტაბიანი კვლევა XX საუკუნის 30-იან წლებშიც მოეწყო, თუმცა ტაძრის ტერიტორიაზე ახალ არტეფაქტებს ბერ-მონაზვნები ამ დრომდე პოულობენ. ასე აღმოაჩინეს ეზოს დასუფთავების დროს წარწერიანი ქვის ნატეხი და სპილენძის მონეტა, რომელიც საავარაუდოდ, თეიმურაზ II-ის ხანას ეკუთვნის.

ნიკოლოზ ანთიძე (*კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი*): „მსგავსი ქვები თუ მონეტები აქ მრავლად გვხვდება. ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევა. მისი საშუალებით უნდა დადგინდეს როგორც არქეოლოგიური არტეფაქტები, ასევე მთლიანად აქ არსებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის ნიმუშები“.

პროექტის პრეზენტაცია

გეოფიზიკური კვლევის მეშვეობით, გათხრების გარეშე დაადგენენ ნიადაგის ქვეშ ლითონის, ქვის ფილებისა თუ სიცარიელის არსებობას, რომელიც შეიძლება სამარხი აღმოჩნდეს. გეოფიზიკოსების განცხადებით, ისინი ამ მეთოდის გამოყენებით არქეოლოგებს საქმეს გაუმარტივებენ და ძეგლის შესწავლა საგრძნობლად დაჩქარდება.

დავით ოდილავაძე (*გეოფიზიკოსი*): „სხვადასხვა სიხშირის ანტენის გამოყენებით ჩავდივართ სხვადასხვა სიღრმეზე. ამრეკლავი ობიექტების არსებობისას სიგნალი ბრუნდება და ეს ფიქსირდება რადაროგრამაზე, რომელიც მოცემულია კომპიუტერის ეკრანზე, ოღონდ გამოსახულებას შესწავლა სჭირდება. ჩვენ აღვნუსხავთ, სად არის ანომალიები“.

ბოლნისის სიონის კედლები ქართული ასომთავრული დამწერლობის უძველეს ნიმუშებს ინახავს. ბოლნისშივეა პირველი ქართული ბარელიეფიც. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევის შემდეგ კი სპეციალისტები ახალი არქეოლოგიური შრეებისა და მნიშვნელოვანი ისტორიული არტეფაქტების აღმოჩენას ელოდებიან.

„ისტორიანი“

მუცოს რეაბილიტაცია ინყება

მუცო, მოსახლეობისგან მიტოვებული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი, წლებია ინგრევა. აქ არსებული ნაგებობები სამ კატეგორიად იყოფა — კატასტროფული, ავარიული და სტაბილური. მუცოს რეაბილიტაციის აუცილებლობაზე ექსპერტები თორმეტ წელიწადზე მეტია, მსჯელობენ.

იმის მიუხედავად, რომ 2008 წელს სახელმწიფოს დაკვეთით კომპანია „არსის“ საექსპედიციო ჯგუფმა საპროექტო დოკუმენტაცია შეიმუშავა, მუცოს ცალკეული კოშკის ფიზიკური მდგომარეობა 6 წლის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. თუმცა მთავრობის გადაწყვეტილებით, უნიკალური არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადარჩენისთვის მუშაობა წლეულს დაიწყება. ამის შესახებ სპეციალური განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც გააკეთა.

„მიუხედავად იმისა, რომ მუცო საქართველოს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ისტორიულ ძეგლთა სიაშია, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა შესაბამისი თანხების გამოყოფა და ასეთი მნიშვნელობის ძეგლის დაცვა. ჩვენ სასწრაფოდ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს და არ დავუშვებთ, საფრთხე დაემუქროს ხევსურეთისა და საქართველოს დარაჯად წოდებულ შუა საუკუნეების ამ უძველეს და ისტორიულ ძეგლს“, — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

მუცოს ხუროთმოძღვრებაში სამი ძირითადი ნაგებობა გამოიყოფა: ციხე-სახლები, რომლებიც მთის არქიტექტურაში საყოველთაოდ გავრცელებულ გამაგრებული საცხოვრებლის მრავალფუნქციურ ტრადიციულ ტიპს განეკუთვნება; კოშკები, რომლებიც თავდაცვითი სისტემის განუყოფელი ნაწილია და აკლდამები, რომლებიც საქართველოში მხოლოდ პირიქითა ხევსურეთშია გავრცელებული და მუცოში მრავლადაა წარმოდგენილი.

„ისტორიანი“

საქართველო უცხოელთა ფერებში



(ნაწილი III)

„ტიფლისის ხედი“. ლევ ლაგორიო

კიდევ ერთი გამორჩეული მხატვარი, ვინც საქართველოს ხედები გასაოცარი ოსტატობით გადმოსცა ტილოებში, ლევ ფელიქსის ძე ლაგორიოა (1827-1905). ფეოდოსიაში დაბადებული ნეაპოლელი ვიცე-კონსულის ვაჟი რუსეთის მოქალაქე გახდა და უზარმაზარი იმპერიის თვალწარმტაცი პეიზაჟების ხატვა დაიწყო. 1839-1840 წლებში ლევ ლაგორიო ივან აივაზოვსკის სახელოსნოში მოხვდა და მის ერთ-ერთ საუკეთესო შეგირდად იქცა. 1850 წელს ლაგორიომ სამხატვრო აკადემია დიდ ოქროს მედალზე დაამთავრა და პირველი ხარისხის მხატვრის წოდება მიიღო. ეს წარმატება მას უცხოეთში სახელმწიფოს დაფინანსებით გამგზავრების საშუალებას აძლევდა, თუმცა ჯერ ლაგორიო კავკასიური ხედების დასახატავად გამოგზავნეს. კავკასიამ მხატვარი სამუდამოდ დაატყვევა, მომავალში იგი აქაურობას არაერთხელ ესტუმრა.

ნახატი „ტიფლისის ხედი“ შესრულებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული პეიზაჟისთვის დამახასიათებელი სტილით. ტილოზე ქალაქის მთელი პანორამაა გადმოცემული, თუმცა ცენტრალური ადგილი არქიტექტურულ ძეგლს, ამ შემთხვევაში ნარიყალას უკავია. ნამუშევარი ამჟამად რუსეთის ხანტი-მანსის ავტონომიური ოკრუგის ფონდ „თაობის“ სამხატვრო გალერეაში ინახება. 1871 წელს ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი გალერეამ 1997 წელს შეიძინა.

იმავე მანერით არის შესრულებული ლაგორიოს მეორე ნამუშევარი, რომელიც ამჟამად რიბინსკის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურულ და სამხატვრო მუზეუმშია დაცული. 1889 წელს შესრულებული ნახატის სახელწოდებაა „კავკასიური ხედი“, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ლაგორიოს ფუნჯს აქ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ეკლესია აქვს გადმოცემული. არ არის გამორიცხული, რომ ეს გერგეტის სამების მხატვრისეული ინტერპრეტაცია იყოს.

სახვითი ხელოვნების ორენბურგის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული ლევ ლაგორიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნახატი „ბათუმი“. 1881 წელს შექმნილი ეს ტილო სამართლიანადაა შეტანილი რუსული მხატვრობის შედევრთა ნუსხაში. ნახატზე ბათუმის ყურეა ასახული, სადაც დიდი იალქნიანი გემები დგას. კარგად მოჩანს ხშირი ტყით დაფარული მახინჯაურის მთებიც, მათ ქვეშ კი ზღვისპირა ზოლზე პატარა პროვინციული ქალაქია გაშენებული. ოსმალურ-ბერძნული ტიპის სახლების უკან მეჩეთების მინარეთები

ამოწვერილა. ნახატი ნათლად აჩვენებს, რომ XIX საუკუნის დასასრულს ბათუმის ყურე ნაოსნობის თვალსაზრისით უკვე ათვისებულია რუსული სამხედრო თუ სავაჭრო გემებით.

100-დან 120 ათას გირვანქა სტერლინგად შეაფასეს ერთ-ერთ საერთაშორისო აუქციონზე ლევ ლაგორიოს 1873 წელს შექმნილი ნახატი „იალბუზის ხედი“. მცირე ზომის ტილოზე ჩვენებური პეიზაჟია გადმოცემული, მდინარეში შესული ქართული ურემი ამაღლებულ გორაკს უახლოვდება, თეთრი ჰორიზონტის შუაში კი იალბუზი ამაყად ამოწვდილა.

საქართველოს მთიანეთს უნდა ასახავდეს ლევ ლაგორიოს ორი ცნობილი ტილო: „კავკასიის მთებში“ (1879) და „ხეობა კავკასიაში“ (1893). პირველი ტილო ხარკოვის ხელოვნების მუზეუმშია, მეორე კი მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეაში.

არაჩვეულებრივი ოსტატობითაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის მთიანეთის სილამაზე ნახატში „საქართველოს სამხედრო გზა“. პეიზაჟზე, რომელიც ერთ-ერთ კერძო კოლექციაშია დაცული, ცენტრალური ადგილი ამაყად აღმართულ ყაზბეგის მთას უკავია, მარცხნივ კი გერგეტის სამების მიმზიდველი სილუეტი მოჩანს. ავტორისეული მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ტილო ლაგორიოს 1869 წელს შეუქმნია.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში ლევ ლაგორიო სხვა მხატვრების მსგავსად კორესპონდენტის რანგში მონაწილეობდა, — თავისი შთაბეჭდილებები ტილოებზე გადაჰქონდა. მხატვრის ამ პერიოდის ნამუშევართაგან ცნობილია ბატალური სცენა „1877 წლის 8 ივნისს ბაიაზეთის ციხის შტურმის მოგერიება“.

ლევ ლაგორიომ ამ ომის საქართველოსთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ეპიზოდი ასახა: 1877 წლის 4 აგვისტოს შავი ზღვის ფლოტისა და პორტების მეთაურმა, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ივან შელკოვნიკოვმა სევასტოპოლს აცნობა, რომ სამხედრო რაზმთან ერთად აფხაზეთისკენ მიემართებოდა, თუმცა ვერ ახერხებდა გაგრის გადასასვლელის გადალახვას, რადგან აქ მუდმივად ოსმალური ჯავშნოსანი პატრულირებდა და ვიწრო გზა ზედ სანაპიროსთან საიმედოდ იყო დაცული. შელკოვნიკოვმა თურქებზე ნაღმტყორცნებით შეტევა ითხოვა.

„კავკასიური ხედი“. ლევ ლაგორიო. შესაძლოა ეს იყოს გერგეტის სამების მხატვრისეული ინტერპრეტაცია



ლევ ლაგორიო

ამ თხოვნის პასუხად, რუსულმა გენერალიტეტმა 120-ზარბაზიანი სახაზო გემ „ველიკი კნიაზ კონსტანტინის“ მეთაურს, ლეიტენატ სტეპან მაკაროვს დაავალა, სასწრაფოდ დაეტოვებინა დისლოკაციის ადგილი და ყველაფერი გაეკეთებინა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის რაზმის დასახმარებლად. იმავე დღეს გემმა „ვ.კ. კონსტანტინმა“ სევასტოპოლი დატოვა და კურსი დანიშნულების ადგილისკენ აიღო. 6 აგვისტოს გემი ადლერში იყო, როცა ლეიტენანტმა მაკაროვმა შეიტყო, რომ გაგრასთან მდგომ ოსმალურ ჯავშნოსანს პატრულირების ადგილი დილით მიეტოვებინა. ლეიტენანტმა მიიჩნია, რომ ოსმალური გემის მოქმედება თვალის ასაქცევი, ყურადღების მოსადუნებელი მანევრი იყო, რათა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის რაზმს მოულოდნელად დასხმოდა თავს. ამიტომ გემ „ვ.კ. კონსტანტინეს“ მეთაურმა გადაწყვიტა, დაღამებას დალოდებოდა და მერე ნაღმტყორცნი კატარღებით ადგილმდებარეობა დაეზვერა.

ღამის ოთხ საათზე მზვერავები გემს დაუბრუნდნენ, მათ მოწინააღმდეგე ვერ აღმოაჩინეს... თუმცა მოულოდნელად, როცა გემბანზე კატარღები აიტანეს, ოსმალური ჯავშნოსანიც გამოჩნდა. თურქებმა ძრავები ბოლო სიჩქარით აამუშავეს და რუსულ გემს დაედევნენ. დევნა ორ საათს გაგრძელდა. „ვ.კ. კონსტანტინე“ აშკარა დაღუპვისგან უცაბედად მოსულმა წვიმამ და ნისლმა იხსნა. მან თავი სოჭის რუსულ ბაზას შეაფარა.

8 აგვისტოს რუსულმა ხომალდმა მტრის ძიება განაახლა. რუსებს ნაღმტყორცნი კატარღებით თურქული გემის ჩაძირვა სურდათ, თუმცა ოსმალები გაგრის სანაპიროზე უკვე აღარ იდგნენ...

მომდევნო დღეს სევასტოპოლის გენერალიტეტმა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვისგან ტელეგრამა მიიღო: „კონსტანტინი“ ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოჩნდა, მისმა მანევრმა მტერი აგვარიდა. როცა ჩვენები გამოჩნდნენ, თურქულმა ჯავშნოსანმა სანაპიროზე კანონადა და პატრულირება შეწყვიტა და გემ „კონსტანტინს“ დაედევნა. მაკაროვმა სწრაფად შეაფასა სიტუაცია და საუკეთესო გამოსავალი იპოვა. მისი დახმარება ფასდაუდებელია, ამიტომაც გულითად მადლობას ვუთვლი გემ „კონსტანტინის“ მამაც მეთაურს! მისმა ქმედებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემი რაზმის მიერ გაგრის მიუდგომელი მაღლობებისა და გადასასვლელების გმირულ ფორსირებაში“.

„ბათუმი“. ლევ ლავორიო

„კავკასიის მთებში“. ლევ ლაგორიო, 1879 წ.

„ხეობა კავკასიაში“. ლევ ლაგორიო, 1893 წ.

„ზომალდი „ველიკი კნიაზ კონსტანტინი“ გზას უჭრის თურქულ ჯავშნოსანს, რომელიც ცეცხლს უშენდა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის რაზმს გაგრის ხეობასთან 1877 წლის 7 აგვისტოს“. ლევ ლაგორიო, 1877 წ.

ლევ ლაგორიომ ეს მომენტი ტილოზე ბრწყინვალედ ასახა, აქ კარგად ჩანს გაგრის სანაპიროზე მიმავალი შელკოვნიკოვის რაზმი და გემ „ვ.კ. კონსტანტინს“ დადევნებული ოსმალური ხომალდი. ლევ ლაგორიოს შემოქმედებაზე საუბარს იმ ცნობილი ტილოთი დავამთავრებთ, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. დედაქალაქის ხედი ფუნჯის ოსტატმა ბრწყინვალედ ასახა. აქ ყველაფერს დაინახავ: მწვანეში ჩაფლულ ნარიყალასაც, კლდეზე წამომართულ მეტეხის ტაძარსაც და მტკვარზე მოცურავე ტივსაც, თუმცა ყველაზე უკეთესად ლაგორიომ ნახატში ნამდვილი თბილისური ხიბლი გადმოსცა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის კიდევ ერთი მომენტია გადმოცემული ცნობილი პოლონელი მხატვრის, იანუარი სუხოდოლსკის (1797-1875) ტილოზე.

იგი 1810 წლიდან პოლონურ ჯარში მსახურობდა. თვითნასწავლი მხატვარი ფრანგი ფერმწერის, ორას ვერნეს ნახატების კოპირებით იყო გატაცებული და შიგადაშიგ საკუთარ ნამუშევრებსაც ქმნიდა. მისი ერთ-ერთი ტილო „მეფე ვლადისლავის სიკვდილი ვარნასთან“ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ისე მოეწონა, რომ სუხოდოლსკის საკუთარი სათუთუნე აჩუქა. მოგვიანებით ამ რელიკვიას მხატვარი იმ აჯანყებას შესწირავს, რომელშიც

„ძველი ტიფლისი“. დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ლევ ლაგორიო, 1868 წ.

„ახალციხის ციხესიმაგრის შტურმი 1828 წლის 15 აგვისტოს“. იანუარი სუხოდოლსკი

თავადაც, როგორც კადეტი, აქტიურად მონაწილეობდა. 1830-1831 წლებში პოლონეთში რუსული ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა და იგი მალე რუსეთ-პოლონეთის ომში გადაიზარდა. რუსების მიერ აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1832 წელს მხატვარი რომში გაეშურა და ორას ვერნესთან ერთ წელიწადს სწავლობდა. 1837 წელს სუხოდოლსკი ვარშავაში დაბრუნდა, მისი ნახატებით მოხიბლულმა ნიკოლოზ I-მა მხატვარს ბეჭედი აჩუქა და ხელოვნების საიმპერატორო აკადემიაში მიიღო. მას შესთავაზეს, შეექმნა ტილო პოლონეთის აჯანყების ჩახშობის აღსანიშნავად, თუმცა მხატვარმა სასტიკი უარი განაცხადა.

ნახატისთვის „ახალციხის ციხესიმაგრის შტურმი 1828 წლის 15 აგვისტოს“ იმპერატორმა პოლონელ მხატვარს ბატალური ფერწერის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. ტილოზე გადმოცემულია სამხედრო ეპოპეა, რომელიც საქართველოს სამხრეთ რეგიონში განვითარდა. 1828 წლის 14 ივნისს რუსეთის იმპერიის არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო ყარსის ციხესიმაგრის მიმართულებით. ქალაქი მალე დაეცა, მას მოჰყვა ახალქალაქის აღებაც და აგვისტოში გენერალმა პასკევიჩმა უკვე ახალციხეს შეუტია. ახალციხის ოსმალური გარნიზონი იმდენად დაიმედებული იყო თავდაცვით, რომ უარს აცხადებდა ანატოლიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის, ბრძოლებში სახელგანთქმული კიოს მაჰმედ ფაშის დახმარებაზე. გარნიზონის უფროსი კიოს ფაშას წერდა: „ჩვენს კედლებში 10 000-ზე მეტი მამაცი მეომარია; ჩვენ არ გვჭირდება თქვენი დახმარება, თვით გავუმკლავდებით რუსებს“. მაგრამ გარნიზონი დახმარების შემდეგაც ვერ გადაურჩა მარცხს. 5 აგვისტოს ახალციხესთან ოსმალეთის ძირითადი ძალები მივიდა კიოს ფაშას მეთაურობით. ივან პასკევიჩმა გადაწყვიტა მოწინააღმდეგე გაენადგურებინა ველზე, ვიდრე იგი ციხესიმაგრეში შევიდოდა. სასტიკი ბრძოლა

რვა საათს გაგრძელდა. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. როდესაც კიოს ფაშა დაიჭრა, ოსმალებმა ვერ გაუძლეს რუსულ-ქართული შენაერთების იერიშებს და ბრძოლა პასკევიჩის გამარჯვებით დასრულდა. ოსმალების 10 ქვემეხი, 10 დროშა, 4 ბანაკი მთელი თავისი აღალით გამარჯვებულებს დარჩა. ახალციხე ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. 15 აგვისტოს ძლიერი ბრძოლების შემდეგ, კიოს ფაშა და ციხის უფროსი ფერხად ბეგ ხიმშიაშვილი, სელიმ ფაშას შვილი, გარნიზონით ჩაბარდა რუსებს. ქალაქის მთელი სიმდიდრე პასკევიჩის არმიას დარჩა. მათ შორის იყო მუსლიმური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკაც.

სუხოდოლსკის გარდა, ახალციხის შტურმი უცნობმა გერმანელმა მხატვარმაც დახატა და იგი XIX საუკუნის დასაწყისში ნიურნბერგში გრავიურის სახით დაიბეჭდა. 2014 წელს ის აუქციონზე გაიყიდა, საყურადღებოა გრავიურის საკმაოდ ვრცელი მინაწერი: „თურქეთის ჯარების მთავარსარდალი აზიაში, კიოს მუჰამედ ფაშა მთელ თავის ჯართან ერთად დაიძრა ძალიან კარგად გამაგრებულ ციხესიმაგრისკენ ახალციხეში, შეუერთდა ალყაშემორტყმულებს და მათთან ერთად შეუტია რუსებს. მამაცმა გენერალმა პასკევიჩ-ერევანსკიმ მიიღო გამოწვევა და ისე ოსტატურად მანევრირებდა სულ უფრო გაძლიერებული მტრის წინააღმდეგ, რომ მათ ერთდროულად სამ ადგილას უხდებოდათ ბრძოლა. იმავდროულად, თურქებმა მოულოდნელად მოახდინეს ძლიერი ძალის კონცენტრირება მათ ბანაკში და დაემუქრნენ რუსებს ფრონტის ხაზის გარღვევით. ამ გადამწყვეტ მომენტში ბრძოლაში ჩაერთო ერევნის სამი პოლკი, რომლებმაც არტილერისტებისა და შუბოსნების მხარდაჭერით შეუტიეს აზიელებს, გამოსტაცეს დროშა, დაახევინეს მთელ ჯარს მტრის ბანაკისკენ, სადაც ხელთ ჩაიგდეს უამრავი ნადავლი და იარაღი. თურქების დანაკარგი წარმოუდგენლად დიდი იყო. მათ, ვინც შუბოსნებს გადაურჩნენ, გაქცევით უშველეს თავს“.

გიორგი კალანდია

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი

უცნობი გერმანელი მხატვრის „ახალციხის შტურმი“ XIX საუკუნის დასაწყისში ნიურნბერგში გრავიურის სახით დაიბეჭდა. 2014 წელს ის აუქციონზე გაიყიდა

აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა

335 მნიშვნელოვანი რჩევა **ნადირობის** შესახებ

ფასი
29.95 ლარი

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო. ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲪᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲭᲔᲓᲚᲘᲡ, ᲛᲘᲥᲐᲣᲢᲐᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ ᲜᲐᲯᲮᲐᲮᲘ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲐᲓ

ევროპის ქვეყნებში წესრიგი და კანონმორჩილება არავის უკვირს, მაგრამ მათგანაც კი ნორვეგია გამორჩეულად მოწესრიგებული და მშვიდია. გამოზომილად, მაგრამ საინტერესოდ ცხოვრობს ლილეჰამერი. ამ პატარა ქალაქში XIX-XX საუკუნის არქიტექტურის სხვადასხვა სტილს შეხვდებით. კლასიციზმს, ბაროკოს, გოთიკასაც და მოდერნსაც. სხვადასხვა არქიტექტურული სტილის დეტალი თუ ფრაგმენტი ზოგჯერ ერთ ნაგებობაშია თავმოყრილი.

ტიპური ნორვეგიული სახლი. იასამნები აქ ივნისის ბოლოს ყვავიან...

ქალაქის ერთ ნაწილში კოტეჯის ტიპის, ინდივიდუალური, ხის ორ- ან სამსართულიანი სახლებია მანსარდითა და მოვლილი, ყვავილნარში ჩაფლული მომცრო ეზოებით. ქალაქი იმდენად მშვიდად და აუღელვებლად ცხოვრობს, რომ აქაურობა თეატრალურ დეკორაციას უფრო მოგაგონებთ.

ცხადია, გაცილებით „ენერგიული“ იყვნენ ისტორიულად ნორვეგიელთა წინაპრები — ბრძოლაშიც და შრომაშიც. სკანდინავიელმა ვიკინგებმა რომ შუა საუკუნეებში ევროპა შეაზანზარეს, ეს ყველასთვის ცნობილია. ამასთან, მძიმედ, დაუღალავად შრომობდნენ სიუხვით, მაგრამ უმკაცრესი ჰავით გამორჩეულ მიწა-წყალზე.

გაცოცხლებული ისტორია

სკანდინავიელთა ისტორიული და ყოფითი პერიპეტიებისა და სურათების გაცოცხლება დაუსახავთ მაიჰაუგენის მუზეუმში ღია ცის ქვეშ. სლოგანიც შესაფერისი აურჩევიათ: „ავთენტურობა, სიმამაცე, ენთუზიაზმი“.

მუზეუმის 40 ჰექტარი სამ ძირითად სექტორადაა დაყოფილი. მთავარი ექსპოზიცია ნორვეგიელი ფერმერის საცხოვრისებს, ყოფისა და კულტურის ჩვენებას ეთმობა. და რაც მთავარია, აქ ისტორია გაცოცხლებულია. ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი „გლეხები“ ოჯახურ გარემოში გვმასპინძლობენ.

მუზეუმის მეორე ნაწილი ქალაქს წარმოგვიდგენს. ფაქტობრივად, XIX საუკუნის ლილეჰამერის ერთი მთელი ქუჩაა აღდგენილი. მოგზაურობ წარსულში, ძველი რკინიგზის სადგურიდან დაწყებული, აქ შეხვდებით დუქან-მაღაზიებს ძველს მიმსგავსებული საქონლით; აფთიაქს, სადაც წამლები, მიქსტურები, ფხვნილები და მალამოები ძველებურ, თეთრად მომინანქრებულ ტიგელებსა და ასევე ძველებურ იარლიყიან კოლოფებში მოუთავსებიათ.

აფთიაქის მეორე სართულზე მისი „მეპატრონე-პროვიზორის“ საცხოვრებელი ოთახი ზუსტად ისეა გაწყობილი, როგორც საუკუნენახევრის წინ. თანაც, პროვიზორი ჩეკს უძველესი სალარო-აპარატით „ამოგირტყამთ“.

გულგრილს არ გვტოვებს „ძველი ფოსტის“ შენობა. ფოსტას ამ ქვეყანაში დიდი ტრადიცია აქვს. უზარმაზარ სიგრძეზე და რთულ რელიეფურ-კლიმატურ პირობებში განფენილ ნორვეგიაში ფოსტის მუშაკს საკმაოდ დიდი მანძილი უნდა გადაელახა დანიშნულების ადგილზე მისასვლელად — ხან მარხილით, ხან თხილამურებით, ხან ეტლით, ხანაც ცხენზე ამხედრებულს... შენობაში შესულთ სხვადასხვა ეპოქის შესაფერის უნიფორმაში გამოწყობილი ცვილის ფოსტალიონები „გვმასპინძლობენ“.

კიდევ ერთი სიახლე: XIX საუკუნის ფოსტიდან ტურისტებს შეუძლიათ „წერილი“ გაუგზავნონ თავიანთ ახლობლებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, იმდროინდელი მარკების ასლებითა და ძველებური კონვერტებით.

ფოსტიდან გამოსული ისევ ძველ ქალაქში ხვდები. ძველებურ სამოსში გამოწყობილი ყმაწვილი უდარდელად ამღერებს გიტარაზე ხალხურ მელოდიას...

ძველებურ აფთიაქში, ძველებურად „შეფუთული“ თანამედროვე წამლები იყიდება...

ძველებურ სამოსში გამოწყობილი ყმაწვილი უდარდელად ამღერებს გიტარაზე ხალხურ მელოდიას...

ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი „გლეხის ქალები“ ოჯახურ გარემოში გვმასპინძლობენ. შუაში: მაიჰაუგენის მუზეუმის დირექტორი გაუტე იაკობსენი და ქართველი მენეჯერი ნუგზარ მიქაძე

ქართველი დურგალ-რესტავრატორი ვანო ჯავჯანიძე

XIX საუკუნის მატარებელი ლილეჰამერში

ამასობაში „რკინიგზის სადგურზე“ ჩამოდგება ორთქლმავალი ოთხკუთხა ფორმის ხის პანელებიანი რამდენიმე ვაგონით.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ

აღდგენილ ქუჩაზე, სახლების პირველ სართულზე, ისევე როგორც ძველ თბილისში, მრავალგვარი სავაჭრო „დუქანია“. ტურისტს აქ შეუძლია შეიძინოს ნორვეგიული ტრადიციული ტკბილეული, თაფლაკვერები და ბლითები, ფოჩიანი კანფეტები, ჩხირზე წამოცმული შაქარყინულის ფიგურები (ჩვენებური ძველი „მამალოების“ მსგავსი), ფერადოვანი დრაჟეები... მეორე რეტრომაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ტრადიციული, ხელით ნაქსოვი ქუდები, შარფები, სელის პერანგები, ასევე სხვადასხვა სუვენირი.

ვინც ბოლოხანს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში შაბათ-კვირას ამოსულა,

ნორვეგიელი ფერმერის ტიპური ძველი სახლი. გადახურულია არყის ხის ქერქით, რომელზეც მიწაა დატკეპნილი და ზედ ბალახია დათესილი. საცხოვრებელთან ახლოს იყო სამეურნეო ნაგებობანი — სამზარეულო (ჩვენებური სამზადი სახლის ტიპისა), პირუტყვის სადგომები (შესაძლოა რამდენიმეც), ჭირნახულის შესანახი ბეღელი, თივის შესანახი საბძელი.

სასიამოვნოდ გაოცდებოდა, რადგან თანდათანობით ჩვენთანაც სწორედ ნორვეგიელი კოლეგების თანადგომით გაცოცხლდა საქართველოს ყოფითი ისტორიის ფურცლები.

ვიზიტორს თავად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მეგრული საჯალაბო სახლის შუაცეცხლზე არა მხოლოდ ღომის მოხარშვაში, არამედ მის მეგრულ სულგუნთან ერთად დაგემოვნებაშიც. ეზოში კი დაათვალიეროს სოფლის მეურნეობის ტრადიციულ კულტურათა — ღომის, ფეტვის, მუხუდო-ძაძას, სელის, სიმინდის ნათესები. მოშორებით, კახეთის ზონაში კი, ძველებურ კახურ თონეში მცხობელთან ერთად შეუძლია თვითონაც ჩააკრას ან თონიდან ამოყაროს შოთები და პიკანტურ ცხვრის ყველთან ერთად მიირთვას...

კვლავ მაიჰაუგენს დავუბრუნდეთ, სადაც ჩვენი მოგზაურობა წარსულიდან ნელ-ნელა თანამედროვე ნორვეგიაში გრძელდება. ეს მესამე ნაწილია მუზეუმისა და XX საუკუნის ქვეყანას წარმოგვიდგენს. აქ ნახავთ პირველ ელექტრონათურას, რეტრორადიოს, რკინის საწოლებს, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ გაზეთებს, მაშინდელ სამოსს, დგამ-ავეჯს, ჭურჭელს...

მაიჰაუგენის ღია ცის ქვეშ მუზეუმში, ისევე როგორც თბილისში, დროდადრო მიმდინარეობს ხის ნაგებობათა სარესტავრაციო სამუშაოები. ეს სამუშაოები ლილეჰამერშიც და თბილისშიც, ხშირად ერთობლივი ტრე-

ნობელის პრემიის ლაურეატის, ბიორნსტერნ ბიორნსონისა და მისი მეუღლის, კაროლინის ბარელიეფი ბიორნსონის მუზეუმის შესასვლელში

ნობელის პრემიის ლაურეატის, სიგრიდ უნსეტის ქანდაკება ლილეჰამერში

ნინგების ხასიათს ატარებს და მასში ორივე მხარის სპეციალისტები მონაწილეობენ.

ვანო ჯაჯანიძე (თბილისის მუზეუმის დურგალ-რესტავრატორი): — ლილეჰამერში ჩასულს როცა მკითხეს, რამეს ხომ არ დაამზადებდიო, თვალში არყის ხის სიმრავლე მომხვდა. ამ ხის ქერქს გადახურვისას იყენებენ (თიხატკეპნილით გადახურულ სახლებს თიხის ქვეშ არყის ხის ქერქს უფენენ). რატომღაც ჩვენებური მწარე ბლის ქერქი გამახსენდა, რისგანაც ტრადიციულად ჭურის სარცხს (ანუ ჭურის სარეცხს) ვამზადებთ საქართველოში. მასპინძლებიდან ერთ-ერთს, ეივინდ ფალკს ჩვენთან ნანახი ჰქონდა ასეთი სარცხი და დანარჩენებს სწორედ მან აუხსნა ქვევრისა და სარცხის დანიშნულების შესახებ. მართლაც, დავამზადე არყის ხის ქერქისგან ჩვენებური ქვევრის სარცხი, რომელიც ახლა ნორვეგიელთა მუზეუმშია. იქ მორების თლის კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა ჭიათურიდან წაღებული ეფრემ ბაბუას ნაჯახით. სხვათა შორის, ეფრემ ბაბუა ცნობილი დურგალი იყო და მამაჩემი ლამის თან გამოჰყვა ცნობილი მჭედლის, მიქაუტაძის „ნახელავ“ ნაჯახს (რომელსაც ოსტატის დამღა ამშვენებდა). კი დავპირდი, უეჭველად ჩამოგიტან-მეთქი, მაგრამ ჩემს ნორვეგიელ მეგობრებს ისე მოეწონათ ქართული ნაჯახი, რომლის წყალობით კონკურსშიც თავი გამოვიჩინე, რომ „იძულებული გავხდი“, მათთვის მეჩუქებინა.

ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲚᲘᲚᲔᲰᲐᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, 26-ათასიან პატარა ქალაქ ლილეჰამერში ორი ნობელიანტი ჰყავდათ ლიტერატურის დარგში — ბიორნსტერნ ბიორნსონი და სიგრიდ უნდსეტი.

ბიორნსონი ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი გახლდათ. მის კალამს ეკუთვნის არაერთი პოპულარული რომანი და პიესა. იგი ნორვეგიის ჰიმნის ტექსტის ავტორიცაა.

ბიორნსონი 1832 წელს დაიბადა პასტორის ოჯახში, სწავლობდა კრისტიანიის (დღევანდელი ოსლოს) სკოლაში. სხვათა შორის, ცნობილ ნორვეგიელ მწერალსა და დრამატურგთან, ჰენრიკ იბსენთან ერთად. ლილეჰამერის მახლობლად, 1875 წელს შეიძინა ფერმა, სადაც სამ ათეულ წელიწადზე მეტი გაატარა. 1935 წლიდან მწერლის სახლ-კარს მუზეუმის სტატუსი მიენიჭა და მოგვიანებით მაიჰაუგენის ღია ცის ქვეშ მუზეუმს შეუერთდა.

ბიორნსონმა და მისმა მეუღლემ, კარო-ლინმა ბევრი რამ გააკეთეს აქაური გლეხო-ბისთვის. დააარსეს სკოლა, თავიანთ ფერმაში დაასაქმეს ადგილობრივები, შემოიტანეს ტექნიკა, სამკელ-სათიბი საშუალებები, რომლებიც ამჟამად ექსპოზიციის ნაწილს წარმოადგენს. ფასდაუდებელია ბიორნსონის დამსახურება ნორვეგიაში მშობლიური, ნორ-ვეგიული ენის ოფიციალურ ენად აღიარებაში. რადგანაც მანამდე გაბატონებული იყო დანი-ურ-ნორვეგიული ენა.

სიგრიდ უნდსეტი დანიაში დაიბადა ნორ-ვეგიელი არქეოლოგის, ინგვალ უნდსეტის ოჯახში. ლილეჰამერში 1919 წლიდან დასახ-ლდა სამ შვილთან ერთად და მთელი დარჩენი-ლი ცხოვრება ამ ქალაქში გაატარა. მწერალი ქალის კალამს 18 მარტო რომანი ეკუთვნის, რომელიც პოპულარული იყო არა მხოლოდ ნორვეგიაში. 1928 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურაში შუა საუკუნის ნორ-ვეგიის სრულყოფილი ასახვისთვის. სხვათა შორის, უნდსეტის ისტორიული რომანი „საგა ვიგდასსა და ვიგა-ლიოტზე“ ქართულადაც ითარგმნა („ვიკინგების“ სახელწოდებით).

დრაკარის განახლებული მოგზაურობა

მეფე ჰარალდ მეხუთისა და დედოფალი სონიას სამეფო სასახლე ოსლოში ღიაა რო-გორც ნორვეგიელებისთვის, ასევე ტურისტე-ბისთვისაც. რადგანაც მცირე დრო გვქონდა, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენმა ჯგუფმა მეფის სასახლეში სტუმრობას ოსლოს მუზეუმების დათვალიერება ამჯო-ბინა, თუმც კი სამეფო სასახლეს შორიდან მაინც შევავლეთ თვალი.

ოსლო 1048 წელს მეფე ჰარალდ მესამემ დააარსა იქ, სადაც მდინარე ლო ბოხუსის უბეს ერთვის (სახელწოდებაც სწორედ ლოს შესართავს ნიშნავს). ქალაქი XVII საუკუნეში ხანძარმა გაანადგურა და კრისტიან მეოთხემ გადარჩენილი მოსახლეობა დღევანდელი დედაქალაქის ადგილზე გადმოასახლა. მა-ღალ ბორცვზე ააგო ციხესიმაგრე აკერჰუსი, რომელსაც შვედების სახელოვანმა მეომარმა მეფემ, კარლოს XII-მაც კი ვერაფერი მო-უხერხა და დღესაც ამაყად გადმოჰყურებს კატეგატის სრუტეს. ქალაქსაც კრისტიანია დაერქვა. ქვეყნის დედაქალაქს ძველი სახელი მხოლოდ 1924 წლიდან დაუბრუნდა.

ვიკინგების ხომალდი

ვიკინგების კერასთან

ნორვეგიული „აკვანი“

ხის ეკლესია სტავკირხე ოსლოში, გოლის პროვინციიდან

ციხესიმაგრე აკერჰუსი, რომელსაც შვედების სახელოვანმა მეომარმა მეფემ კარლოს XII-მაც კი ვერაფერი მოუხერხა...

ოსლოში დღეს დაახლოებით 600 ათასი კაცი ცხოვრობს და მათგან 20%-მდე მიგრანტს შორის უმეტესობა შრი-ლანკელი თამილები და პაკისტანელებია. მიგრაცია ქვეყანაში განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში გააქტიურდა.

ოსლოში უამრავი მუზეუმია. მათი „მიმოხილვით“ თავს არ შეგაწყენთ. ამჯერად მხოლოდ ვიკინგების ხომალდების მუზეუმში შევიხედავთ. იგი ბიუგდეს ნახევარკუნძულზე მდებარეობს და თავს ვიკინგების სამი ცნობილი ხომალდით იწონებს. ეს არის IX-X საუკუნეების თუნის, გოქსტადისა და ოსენბერგის ხომალდები, რომლებიც აღნიშნულ დასახლებებში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს ყორღანებში.

ეს დრაკარები (ურჩხულის გამოსახულებიანი ხომალდები) თავის დროზე თუ ერთგულად ემსახურებოდნენ ვიკინგებს ზღვაზე, შემდგომ მიცვალებულთა დასაკრძალად გამოუყენებიათ.

1893 წელს თორმეტმა ნორვეგიელმა მოგზაურმა ააგო გოქსტადის ორეული ხომალდი, გადალახეს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილი, დიდი ტბების გავლით ჩააღწიეს ჩიკაგოში და მონაწილეობა მიიღეს კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის 400 წლისთავის ზეიმში. მათ, პრაქტიკულად, დაამტკიცეს, რომ ამერიკის პირველაღმომჩენები სწორედ ვიკინგები იყვნენ...

P.S. ტბებისა და მუზეუმების ქვეყანაში მოგზაურობის ორ რეპორტაჟში ჩატევა ძნელია, კიდევ უამრავი საინტერესო გვინდოდა მოგვეთხრო. მაგრამ ვფიქრობთ, მკითხველამდე მივიტანეთ მთავარი სათქმელი — რომ „ყინული დაიძრა“ (სხვათა შორის, ტბებით მდიდარი, მკაცრი კლიმატის ქვეყანა წარსულში ყინულის ექსპორტითაც „ირჩენდა თავს“) და საქართველოს მეგობარი ქვეყნების რიცხვს ბოლო წლებში ნორვეგიაც შეემატა...

ნოდარ ფოფიტაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ასე „ემშვიდობებიან“ სტუმრებს ოსლოს ფოლკმუზეუმში

ეგვიპტის პირველი ფარაონის, ნარმერის ხანაზე 1900 წლით ძველ სამარხში აღმოჩენილი სპილოს ძვლის მამაკაცის ფიგურა. შესაძლოა, ის ეგვიპტის უცნობ მმართველსაც გამოსახავდეს

ᲕᲘᲜ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲡ ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ეგვიპტეში, ქალაქ ჰიერაკონპოლისში დინასტიის წინა პერიოდის სამარხი აღმოჩნდა. ქვეყნის სიძველეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამაროვანი ფარაონ ნარმერის ეპოქაზე ძველია. ნარმერი ეგვიპტის ფარაონთა პირველი დინასტიის ფუძემდებელია. პირველად მან მოახერხა ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანება ძვ.წ. XXXI საუკუნეში. სამაროვანი დაახლოებით 5600 წლისაა. მამაკაცი, რომელიც სამარხშია დაკრძალული, 20 წლისა უნდა ყოფილიყო.

არქეოლოგთა საერთაშორისო ჯგუფის ვარაუდით, ვინც სამაროვანი აღმოაჩინა, მამაკაცი დიდგვაროვანი ან სულაც სამეფო ოჯახის წევრი უნდა იყოს, რადგან ჩანს, მის დაკრძალვაზე საგანგებოდ იზრუნეს.

სამარხში ნაპოვნი ნივთები. მარცხენა დაბალ კუთხეში — სპილოს ძვლის მამაკაცის ფიგურა სრული სახით

ფარაონ ნარმერის ფილა — რევერსი (მარცხნივ) და ავერსი. რევერსზე ყველაზე დიდი ფიგურა თვით ფარაონს გამოსახავს

ნარმერის ფილის რელიეფების გრაფიკული გამოსახულება



სამარხში ნაპოვნია დანები და სავარცხლები. მათგან ერთი ბეჰემოთის გამოსახულებით. სამარხთან ახლოს კი, არქეოლოგებმა სპილოს ძვლისგან დამზადებული სტატუაც იპოვეს — წვეროსანი მამაკაცის ფიგურა. ექსპედიციის ხელმძღვანელი რენე ფრიდმანი მიიჩნევს, რომ სამარხის შესწავლით მეცნიერები ბევრს შეიტყობენ იმ პერიოდის დაკრძალვის რიტუალების შესახებ.

რამდენიმე თვის წინ, 2014 წლის იანვარში, ამერიკელმა არქეოლოგებმა ჰიერაკონპოლისში მიაკვლიეს სამარხს, რომელიც სწორედ ფარაონ ნარმერისა აღმოჩნდა. ის ეგვიპტეს 3700 წლის წინ მართავდა. მის სახელს უკავშირდება ერთ-ერთი უძველესი რელიეფი, რომელიც ეგვიპტის გაერთიანების ისტორიას მოგვითხრობს. მას წარწერები არ ახლავს, ამბავს პიქტოგრამებით მოგვითხრობს. ფილის ორივე მხარეს გამოსახულია რელიეფები. ცალ მხარეს დატანილი გამოსახულება იშიფრება ამგვარად: „მეფემ 6000 ტყვე გამოიყვანა ბრძოლის ველიდან“, მეორე მხარეს — „მეფე იღებს სიმაგრეებს, ანადგურებს მტერს“.

ასევე ჰიერაკონპოლისში 2013 წელს მიაგნეს ფარაონ საბეკჰოპეტ პირველის სამარხს, რომელიც ეგვიპტეს ძვ.წ. 1730-იან წლებში მართავდა. ჰიერაკონპოლისი ქალაქის ძველბერძნული სახელწოდებაა. ძველი ეგვიპტელები კი მას ნეხენს ეძახდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ის იყო გაერთიანებული ეგვიპტის პირველი დედაქალაქი.

მომზადებულია Dailymail-ის და AFP-ის მიხედვით

ადიღეელები — თარეშის „დიდოსტატები“

ჰამდენიმე სუხათი ქაშაბების სხოვრებიდან

ადიღელთა/ჩერქეზთა თვითსახელწოდებაა ადიღე. 1989 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 129,9 ათასი ადიღელი ცხოვრობდა. მათი დიდი ნაწილი თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშია განსახლებული.
ადიღე დაბლობისა და მთისწინა ნაწილებად იყოფა. უფრო დიდი ნაწილი — ბარი, მდინარეების ყუბანისა და ლაბის ველებშია. დღევანდელი ადიღელები, ანუ ადიღელთა ეთნონიმით სახელდებულნი ისტორიულად დასავლეთ ადიღელებს მიეკუთვნებიან, ხოლო თანამედროვე ყაბარდოელები აღმოსავლეთ ადიღელებს წარმოადგენენ. მათ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთთან ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა ერთმანეთთან ნაკლებად არიან ინტეგრირებული.

ადიღური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს ეკუთვნის და რამდენიმე დიალექტისგან შედგება. დიალექტები ადრე მეტი იყო, მათი გაქრობა ამ ეთნოსის დიდი ნაწილის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთში გადასახლებამ გამოიწვია. შესაბამისად, მეტი იყო ეთნოგრაფიული ჯგუფიც (აბაძეხები, ბესლენელები, ბჟედუღები, ეგერუხელები, ჟანაელები, ხეგაკები და სხვ.), მათგან ორი უკანასკნელის გაქრობის მიზეზი ყუბანის ქვემო წელში, „ყირიმელ თათარ-ოსმალ-ადიღელ“ ეთნოსთა შორის საკონტაქტო ზონაში ბინადრობა იყო.

ადიღელთა დამწერლობა რუსულ გრაფიკულ საფუძველზე შეიქმნა, ხოლო ადიღური ლიტერატურა — საბჭოთა პერიოდში.

XIX საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ ადიღელების საერთო რაოდენობა 700-750 ათასი კაცი იყო. თანამედროვე ადიღელების ფორმირება XII-XIV საუკუნეებში ეთნიკური პროცესებისა და ყაბარდოელთა ტერიტორიული განცალკევების შედეგად მოხდა.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ადიღელებს ეკავათ ვრცელი ტერიტორია ყუბანის მარცხენა მხარეზე, აზოვისა და შავი ზღვისპირეთში. ადიღური

ტომების საზღვრები მუდმივი არ ყოფილა. კონსოლიდაციისა და ასიმილაციის შედეგი იყო ცალკეული ადიღური ტომის ტერიტორიის, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, ხშირად კი ზოგიერთი სატომო ტერიტორიული დანაყოფის სრული გაქრობა. ადიღელთა შემადგენლობაში უცხო ეთნიკური ჯგუფებიც გაითქვიფნენ. პირველ ყოვლისა, ეს აბაძეხებს ეხებათ.

ადიღური ტომების საერთოქართული ეთნონიმი ქაშაგი იყო. ქაშაგები პირველად მოიხსენია ბასილი ეზოსმოძღვარმა („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“).

XVI საუკუნის დასაწყისში, რამდენჯერმე დალაშქვრის შემდეგ, ყირიმელმა ხანებმა ადიღელები დაიმორჩილეს. ადიღელებმა ხანების უზენაესობაზე არაერთხელ თქვეს უარი და მათ ხარკი შეუწყვიტეს. თუმცა ყირიმთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. ხშირად ყირიმელი ბატონიშვილები ბესლენელი თავადების ოჯახებშიც იზრდებოდნენ. ადიღელთა შორის ისლამის გავრცელებაში (XVI საუკუნეში) ყირიმელებს დიდი როლი მიუძღვით.

ხშირი შინაომები აფერხებდა ადიღეს როგორც სამეურნეო, ისე სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებას. საზოგადოების ეკონომიკური წყობა პატრიარქალური რჩებოდა. ამასთანავე, ტომების ერთ ნაწილში სოციალური დაყოფა ღრმად იყო წასული, მეორე ნაწილში კი ნაკლებად. ადიღელთა მიწებს მხოლოდ თემები და გვარები განაგებდნენ. მიწის გაყიდვა და იჯარა არ არსებობდა. მოსახლეობის ძირითად მასას ფტოკოტლები (თავისუფალი ხალხი) შეადგენდა. „თავადს“ ხელქვეითები თითქმის არაფერს უხდიდნენ.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადიღელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს სასოფლო თემი/ტერიტორიული თემი წარმოადგენდა. სასოფლო/ტერიტორიულ თემებს ყუაჯი, ფსუხვი ეწოდებოდა. ადიღურად ყუაჯი სოფელს აღნიშნავს, ფსუხვი კი — მდინარეს ანდა ხეობას. თავის მხრივ, რამდენიმე ფსუხვი უფრო დიდ საზოგაგადოებაში შედიოდა. ეს საზოგადოება კი აღინიშნებოდა ტერმინით ხაბლი. საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ პატარა თემები ხშირად უფრო დიდ თემებად ერთიანდებოდნენ. ადიღელის/ჩერქეზის წარმოდგენით, მიწა არა რომელიმე პირს, არამედ მთლიანად მთელ თემს ეკუთვნოდა. მიწის გაყიდვაზე, მემკვიდრეობით გადაცემაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ადიღურ ტომებში სისხლით ნათესაურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მონათესავე ოჯახების ჯგუფები შეადგენდნენ გვარს. ყველა გვარს საერთო წინაპარი მამაკაცი ჰყავდა. ადიღურ სოფელში ერთი გვარის რამდენიმე დანაყოფი მკვიდრობდა. ერთი გვარის ხალხს შორის ქორწინება აკრძალული იყო. გვარის წევრებს სისხლის აღებისა და ურთიერთდახმარების ტრადიციაც აერთიანებდა.

მუჰაჯირობა

1791 წლიდან დაიწყო რუსეთის არმიის სისტემატური შეჯახება ადიღელებთან. ადიღეს დაპყრობა გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. რუსების უპირველეს მიზანს ადიღელთა ყუბანისპირა რაიონებიდან გაძევება წარმოადგენდა. თავის მხრივ, არც ადიღელები ყოფილან გულხელდაკრეფილი, — რუსეთის არმიასა და კაზაკების შენაერთებს საპასუხო

მაიკოპი. ადიღეს დედაქალაქი. რკინიგზის სადგური

დარტყმებს აყენებდნენ, ყუბანის მარჯვენა ნაპირზე სტანიცებს ანადგურებდნენ. ადიღელთა წინააღმდეგ 1839 წელს შავიზღვისპირეთის სანაპირო ხაზი აშენდა. სამხედრო სიმაგრეთა ჯაჭვი რუსებმა აფხაზეთიდან ანაპამდე გადაჭიმეს. 1840-იან წლებში ადიღელებმა მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებას მიაღწიეს. მათ ბრძოლებს სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ ხაჯი-მუჰამედი, სულეიმან-ეფენდი, მუჰამედ-ემინი. კავკასიის ომმა დააჩქარა ადიღელთა ისლამიზაცია. შამილის დატყვევებისა (1859 წლის აგვისტო) და დაღესტან-ჩეჩნეთში ომის დამთავრების შემდეგ, 1859 წლის ნოემბერში მუჰამედ-ემინი ცარიზმის არმიას დანებდა.

წინააღმდეგობა ადიღელებმა 1862 წელს განაახლეს. ცარიზმის არმიამ სანაპიროს გასწვრივი ზოლიდან მთების სიღრმეში გადაადგილება დაიწყო. რუსები აულებს ანადგურებდნენ და მოსახლეობას ბარში ასახლებდნენ. წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა — შაფსუღეთი (უბიხებთან ერთად) რუსებმა 1864 წელს დაიმორჩილეს. მოსახლეობა არჩევანის წინაშე დააყენეს — ან მთის აულებიდან უკლებლივ ყველას ბარში გადასახლება, ანდა თურქეთში გაძევება. 1860-იან წლებში დეპორტირებული რამდენიმე ათასი ადიღელი თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში განსახლდნენ. თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ უცხო ქვეყანაში გადასასახლებლად განწირული ადიღელები ხმამაღლა მოსთქვამდნენ, მიწაზე ემხობოდნენ და კოცნიდნენ; ყველა მათგანს თან მიჰქონდა ერთი მუჭა მიწა. თურქეთში ბევრი ადიღელი სამშობლოს დარდმა შეიწირა. უკან დაბრუნების მსურველებს ცარიზმი წინ გადაეღობა. მათი მცირე ნაწილი დაბლობში გადავიდა საცხოვრებლად.

ადიღელთა ოსმალეთში გადასახლება ერთჯერადი ფაქტი არ ყოფილია. დიდი რაოდე-

ნობით ისინი XIX საუკუნის ბოლოსაც წავიდნენ. ასე ჩამოყალიბდა ადიღელთა ეთნიკური ტერიტორიის თანამედროვე კონფიგურაცია. ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ტრადიციული დაყოფა დაირღვა, თუმცა ადიღელებს წინაპრების „ტომობრივი“ მიკუთვნებულობის შესახებ დღესაც ყველაფერი ახსოვთ.

ბარსა და მთაში მცხოვრები ადიღელების სამეურნეო ყოფა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ბარში თუ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მთაში მეურნეობის ეს დარგი საკმაოდ შეზღუდული იყო და მარცვლეული ძირითადად ბარიდან შეჰქონდათ. თესავდნენ ქერსა და ფეტვს, XIX საუკუნიდან — ძირითადად სიმინდსა და ხორბალს. მისდევდნენ მებაღეობასა და მევენახეობას, ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც. მესაქონლეობაში უპირატესობას ანიჭებდნენ წვრილფეხა საქონელს (თხა, ცხვარი), განვითარებული იყო მეცხენეობა, მისდევდნენ მონადირეობასა და მეფუტკრეობასაც. კაზაკი ისტორიკოსი ფიოდორ შჩერბინი აღნიშნავდა, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის „ჩერქეზებს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ვუწოდოთ. ისინი ხელებს ომისთვის უფრთხილდებიან“.

XVIII საუკუნის დასაწყისის გერმანელი მოგზაური ენგელბერტ კემპფერი წერდა: „ადიღელები არ თესავენ ჭვავს, შვრიას. მოჰყავთ მხოლოდ წიწიბურა თავიანთი ცხენებისთვის. მათ მთავარ სიმდიდრეს შეადგენს საქონელი და განსაკუთრებით მშვენიერი ცხენები, შემდეგ თხა და ცხვარი“. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ავტორი ფრანგი მოგზაური ობრი დე ლა მოტრე იმასაც აღნიშნავდა, რომ ცხვრის, საქონლის ხორცის შეზღუდულობის გამო, მთიელი ადიღელები უპირატესობას ცხენის ხორცს ანიჭებენო. იტალიელი ქსავერიო გლავანი კი ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთ ადიღელები „საჭმელად ბევრ ხორცსა და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისგან აცხობენ“.

მტაცებლობის „თეორია“

XVIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი გერმანელი მეცნიერი პეტერ-სიმონ პალასი შაფსუღების შესახებ წერდა, რომ მათ დასამუშავებელი მიწა ძალიან ცოტა აქვთ და ძირითადად თარეშობენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა უორკების სოციალური ფენა, რომლის ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე, ე.ი. სამხედრო დემოკრატიის (ჩიფდომის) პირობების გამო.

ადიღელებში თარეშის სისტემა საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა. 30-40-კაციანი და უფრო დიდი ჯგუფები საშოვარზე არა მარტო მეზობელ ქვეყნებში მიემართებოდნენ, არამედ თარეშობდნენ საკუთარ მიწაზეც. ძარცვავდნენ ყველას, იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ, მათ შორის, ადამიანებსაც. დატაცებულ ქონებასა და ადამიანებს ყიდდნენ თურქებზე, სპარსელებზე... თარეშის მასშტაბის შესახებ წარმოდგენას ყირიმელი ხანებისთვის ხარკის ტყვეებით გადახდის მაგალითი იძლევა, რომელიც ობრი დე ლა მოტრეს

მექორწილეები თანამედროვე ადიღეში
ეს ორი ფოტო მოგვაწოდა ადიღელმა მეცნიერმა სუსანა შკალაკოვამ

მოჰყავს: „ჩერქეზები ყოველწლიურად ხარკს იხდიან 6 ათასი მონითა და ამდენივე ცხენით“. საზოგადოებრივი აზრი თარეშს ამართლებდა და მის აუცილებლობასაც ასაბუთებდა. XVIII საუკუნის დასაწყისის იტალიელი მოგზაურის ქსავერიო გლავანის კითხვაზე, რატომ თარეშობთო, ჩერქეზებს უპასუხიათ: „ჩვენს ქვეყანაში არც ფულია, არც ბაზარი; სად ვიშოვოთ ჩვენი ახალგაზრდებისთვის ტანსაცმლის შესაძენად ფული? ჩვენ არ ვამზადებთ არანაირ ქსოვილს, მაგრამ თარეშის შემდეგ აქ საქონლით დატვირთული ვაჭრები მოდიან. ისინი გვამარაგებენ ყველა აუცილებელი და საჭირო ნივთით. ვისაც ყოველწლიურად სამ ბავშვს ვტაცებთ, ამით მათ სულაც არ ვაღარიბებთ. ისინი ყოველწლიურად აჩენენ შვილებს და დანაკარგს ასე ინაზღაურებენ. თარეშით კი ჩვენს ახალგაზრდობას კარგად ჩაცმის საშუალება ეძლევა. თუ ჩვენიანებს მოვტაცებთ ბავშვებს, ისინი სხვა მხარეში მოიტაცებენ. ეს სხვადასხვა მხარეებს შორის უბრალო გაცვლაა. ამით ახალგაზრდობაში საბრძოლო სულს ვავითარებთ“.

„ზმენდა“ აფხაზეთში

ადიღური (და აბაზური) ტომები არც საქართველოს შავიზღვისპირეთს მორიდებიან. XV საუკუნიდან მათი თარეში იმდენად

ინტენსიური გახდა, რომ ამან აფხაზეთში მოსახლეობის ცვლა გამოიწვია. აფხაზეთის ძველი მკვიდრი, ქრისტიანი და მიწათმოქმედი მოსახლეობის ნაწილი, ადიღურ-უბიხურ-აბაზური მოდგმის ტომებმა ან თურქეთის ბაზრებში გაყიდეს, ანდა მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ენგურს გამოღმა გადმონაცვლა. მოშიშვლებულ, გაპარტახებულ აფხაზეთის ტერიტორიას კი შემდეგ მიგრანტი ადიღელები, უბიხები და აბაზები დაეუფლნენ, რომელთა მიგრაცია ორი მიმართულებით — ზღვის მხრიდან და მთიდან ხდებოდა.

ადიღელთა თარეში არა მხოლოდ მუდმივი იყო, არამედ ორგანიზაციულად სრულყოფილიც. XIX საუკუნის I ნახევრის აფხაზი ეთნოგრაფი სოლომონ ზვანბა წერდა, რომ მოთარეშეებს ჰქონდათ სპეციფიკური, „საიდუმლო“ ენა, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო გასაგები. „თარეშის ენის“ მთავარი ამოცანა თარეშის საიდუმლოების დაცვა იყო.

მოთარეშე რაზმებს წინამძღოლები ჰყავდათ, რომლებიც პატივით სარგებლობდნენ. მათ ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ორგანიზაციული თვალსაზრისით თარეშის ყველა დეტალი ზედმიწევნით მოფიქრებული და გათვლილი იყო. რაზმი დასახლებულ პუნქტს თავს გათენებამდე ნახევარი საათით ადრე ესხმოდა. საცხოვრებელ სახლებში შეჭრილი მოთარეშეები იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ, წინააღმდეგობის გაწევისთვის კი კლავდნენ. ძარცვა ჩვეულებრივ 30-40 წუთს გრძელდებოდა. მოთარეშეთა უკან დაბრუნებასაც თავისი მკაცრი წესები გააჩნდა. პირველ რიგში უსაფრთხოებას იცავდნენ, რისთვისაც შესაძლოა ნადავლის ნაწილსაც შელეოდნენ. დაბრუნებისთანავე სრულდებოდა საზეიმო რიტუალი, შემდეგ კი ნადავლს იყოფდნენ. ნაწილი ეძლეოდათ ლაშქრობისას დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც. მათ გმირებად მიიჩნევდნენ, მათზე სიმღერებს ქმნიდნენ, ლეგენდებს ყვებოდნენ.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲫᲣᲮᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

ადიღელების სოფელს წრის ან კვადრატის ფორმა ჰქონდა. მის პერიმეტრზე საცხოვრებლებს ფასადი სოფლის შიდა მხარეს ჰქონდათ მიქცეული, შუაში კი იყო დიდი ეზო პირუტყვისთვის, ჭები, მარცვლეულის შესანახი ხაროები, მოედანი. დასახლება გარშემორტყმული იყო მაღალი და მტკიცედ მოწნული კედლებით, ბოლოში სათვალთვალო მოწნული კოშკით.

ადიღელები იკვებებოდნენ ფეტვით, ხორცით, რძის პროდუქტებით (მაწონი, ყველი). ფეტვის ბურღულის, შემდეგ კი სიმინდის ფქვილისგან სქელ ფაფას ხარშავდნენ. სხდებოდნენ დაბალ სკამებზე. სუფრას შლიდნენ პატარა მაგიდებზე. ოჯახის წევრები ცალცალკე სადილობდნენ, მით უმეტეს, ქალები და მამაკაცები. სტუმრებისთვის და სადღესასწაულო დღეებში რჩეულ კერძებს ამზადებდნენ. სუფრასთან მკაცრად იცავდნენ ეტიკეტს, რომლის მთავარი შინაარსი სტუმრისა და უფროსისადმი პატივისცემასა და მოწიწებაში გამოიხატებოდა. სტუმარს არა მხოლოდ ოჯახის უფროსი, არამედ მასპინძლის ნათესავები და მეზობლებიც ემსახურებოდნენ.

ადიღელების ტანსაცმელი კავკასიური ჩოხა-ახალუხი იყო, რომელსაც რუსებმა XIX საუკუნის შუა ხანებში „ჩერქეზკა“ შეარქვეს. ჩოხა მხოლოდ სადღესასწაულო სამოსი იყო და ის ყველას არ ჰქონდა. რაც შეეხება ვარცხნილობას, XVII საუკუნის ავტორთა ცნობით, ადიღელები შუბლიდან კეფამდე შუაში ერთ ზოლად თმას იპარსავდნენ, გვერდებზე კი გრძლად იზრდიდნენ და ხშირად იკეთებდნენ ნაწნავს. 1634 წლის წყაროს მიხედვით,

შაიზღვისპირა შაფსუღების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომპლექსი აულ აგუი-შაფსუღში

დუჯზეს (თურქეთი) უნივერსიტეტის ადიღური ენისა და ლიტერატურის განყოფილების დოცენტი, ადიღელი სუსანა შკჰალაკჰოვა (ზის მარცხნიდან პირველი) ადიღური წარმომავლობის მუჰაჯირთა შთამომავლებს თურქეთში მშობლიურ ენას ასწავლის

გოგონები და გათხოვილი ქალები ადიღეში გაშლილი თმით დადიოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ადიღელ ქალებს ორი ნაწნავი უტარებიათ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ძირითადი სოციალური და სამეურნეო ერთეული იყო პატარა (ინდივიდუალური) ოჯახი. გვხვდებოდა 60-სულიანი ოჯახებიც. საოჯახო ყოფა პატრიარქალური წეს-ჩვეულებებითა და ნორმებით განისაზღვრებოდა. ქალი მთლიანად დამოკიდებული იყო მამასა და ძმაზე, შემდეგ კი — ქმარზე. მას ქმართან გარეშე პირთა თანდასწრებით სუფრასთან დაჯდომის უფლება არ ჰქონდა. ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

ადიღელებში გაბატონებული ფორმა იყო მონოგამიური ქორწინება. მაჰმადიანობის მიღების შემდეგაც მრავალცოლიანობამ ფეხი ვერ მოიკიდა. ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო უმძრახობის ინსტიტუტი — ქორწინების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში კონტაქტი ქმრის მშობლებთან და უფროს მამაკაც ნათესავებთან ტაბუდადებული იყო. საყოველთაოდ გავრცელებული იყო ლევირატი. ჯერ კიდევ XV საუკუნეში იტალიელი მკვლევარი ჯორჯო ინტერიანო წერდა, რომ სირცხვილი არ იყო ახალგარდაცვლილი ძმის ქვრივთან ღამის გატარება. გავრცელებული იყო გაძიძავება. XVII-XIX საუკუნეების ავტორებს (ტავერნიე, სტრუიუსი, ბელი) თუ დავუჯერებთ, ადიღელი ქალიშვილები ატარებდნენ თხელ კორსეტს. ძირითადად თხის, აგრეთვე ცხვრისა და ხბოს ტყავის ფართო კორსეტს უკვე 8-10 წლის ასაკიდან სხეულზე შემოიჭდევდნენ და გათხოვებამდე ატარებდნენ. კორსეტს მხოლოდ გათხოვების შემდეგ, პირველი ღამის დროს, ქმარი ხანჯლის წვერით ფრთხილად ხსნიდა. სხეულზე მჭიდროდ შემოჭერილი კორსეტი, ბუნებრივია, ტანწვრილობის წინაპირობა იყო. გოგონებს კორსეტი მკერდსაც უფარავდა. გათხოვებისას ის, ფაქტობრივად, არც ეტყობოდათ. გათხოვების შემდეგ კი სარძევე ჯირკვლები სწრაფად ეზრდებოდათ.

ადიღელები ჭამდნენ ზომიერად, აუცილებლად მოხდენილები და ტანწერწეტები უნდა ყოფილიყვნენ. ტრადიციული იყო ურთიერთდახმარება და სტუმართმოყვარეობა. ფართოდ იყო გავრცელებული ძმადნაფიცობა, შვილად აყვანის წესი, ასევე რამე დანაშაულის გამო თემიდან გაქცეულის სხვის თემში შესვლა, ხელოვნური დანათესავება.

ადიღეში ჩვეულებითი სამართალი (ადათი) მოქმედებდა. ყველა ტომს საკუთარი ადათი ჰქონდა. ისლამის გავრცელებასთან ერთად, ფეხი თანდათან შარიათმაც მოიკიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისლამმა თანდათან გამოდევნა ტრადიციული ქელეხი, აიკრძალა დოღი, გასართობი თამაშები და სპირტიანი სასმელი.

ადრეულ შუა საუკუნეებში ადიღეში ქრისტიანობა ბიზანტიიდან და საქართველოდან გავრცელდა. მთავარი ქრისტიანული სიმბოლო და წარმართული კერპი აღინიშნებოდა ქართული სიტყვით „ჯვარი“. ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებენ ეკლესიების

ნაშთები, ქვის ჯვრები და საფლავის ქვები ბერძნული ქრისტიანული წარწერებით. ოსმალურ-ყირიმული ექსპანსიის შედეგად ქრისტიანობამ პოზიციები დათმო. დღეს ადიღელები მაჰმადიანი სუნიტები არიან. ისლამი მათ შორის XVI საუკუნეში გავრცელდა, მთის ცალკეულ ტომებში კი — XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში.

დასავლეთ ადიღელთა წარმართული პანთეონის სათავეში იდგა შემოქმედი ღმერთი თჰაშხუო. ასევე პატივს მიაგებდნენ შიბლეს, რომელიც ერთდროულად ელვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება, მეხისა და წვიმის მბრძანებელი, მიწათმოქმედების ერთ-ერთი მფარველი და ადამიანთა შემწე იყო. განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ლაშქრობის ღვთაებასა და მეომართა მფარველს ზეიკუთჰას. ამ ღვთაებას განსაკუთრებით ვაჟის ცხენზე პირველად შესმის დროს (3-7 წლის ასაკში) მიმართავდნენ. მიწათმოქმედებისა და უხვმოსავლიანობის ღვთაება იყო სოზერიში, მესაქონლეობისა — ახინი, ტყის ნადირთა და ნადირობისა — მეზითჰა, მჭედლებისა — თლეფშე. ბევრ წარმართულ დღესასწაულს ქრისტიანობის ნაკვალევიც ეტყობოდა. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ჯვარს, მაგრამ მას ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც წარმართულ კერპს. ეთაყვანებოდნენ ტყეებს, ბუჩქებს, ხეებს, ქვებს. ხეებს შორის გამორჩეულად მუხას სცემდნენ თაყვანს, განსაკუთრებით თუ ის მეხნაკრავი იყო. მეხი ღვთაება შიბლეს ხილულ გამოხატულებად მიიჩნეოდა. მეხით დაღუპულს კი გამორჩეული პატივით კრძალავდნენ.

ადიღური ფოლკლორიდან პირველ ყოვლისა შეიძლება ნართული ეპოსი დავასახელოთ. სიმღერებიდან გავრცელებული იყო საგმირო, ლირიკული და ყოფითი სიმღერები. თითქმის ყველა სადღესასწაულო სანახაობას თან ახლდა ცეკვა.

ადიღელებს/ჩერქეზებს ერთგვარი სტერეოტიპი გააჩნდათ მეზობელი ეთნოსებისადმი. მაგალითად, თუ თავიანთი ჩერქეზობით ამაყობდნენ, ნოღაელებს ზემოდან უყურებდნენ, მაგრამ როგორც მუსლიმებს, მაინც პატივით ეპყრობოდნენ და მათ სომხებსა და ებრაელებზე მაღლა აყენებდნენ.

ადიღელთა სულიერ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მწერალმა და ეთნოგრაფმა სულთან ხან-გირეიმ. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორიცაა ჩანაწერები „ჩერქეზეთის შესახებ“ (1836), ასევე „ჩერქეზული გადმოცემები“.

როლანდ თოფჩიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძველი ადიღელები წარმართული რიტუალის შესრულებისას

„დანალმული უდაბნოს“ გურჯები

ავღანელი გურჯები, ერთ-ერთი ტრადიციის მიხედვით, გარიჟრაჟს გარეთ დანთებულ ცეცხლთან ხვდებიან

როგორ ცხოვრობენ ქართველების შთამომავლები დღევანდელ ავღანეთში

ავღანეთში ქართველთა დასახლების შესახებ როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესაში ძალიან ბევრი დაწერილა. — იქ, ცხელ და ქვიშიან ავღანეთში, ჰერათის მხარეში, არსებობს ერთი მიუდგომელი ადგილი, რომლის მცხოვრებლებიც თავიანთ თავს გურჯებს უწოდებდნენო, წერდნენ...

ავღანელი ჟურნალისტი ნაჯიბულა ქურაიში

რამდენიმე ხნის წინ ინტერნეტში გამოჩნდა ინგლისში მცხოვრები ავღანელი ჟურნალისტის, ნაჯიბულა ქურაიშის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ბაჩა-ბაზი“, ანუ მოცეკვავე ბიჭები. ფილმში მცირეწლოვანი ავღანელი ბიჭების ცხოვრებაა ასახული, რომელთაც მდიდარი ავღანელები ქალურად ჩაცმას, ცეკვასა და სექსუალურ მომსახურებას აიძულებენ... დოკუმენტური ფილმის ავტორს ინტერნეტით დავუკავშირდი და მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე ვკითხე. დავინტერესდი, — კოალიციაში ქართული სამხედრო ნაწილების შესახებ თუ გსმენიათ-მეთქი. — დიახ, ქართული დასახლების შესახებაც მსმენიაო... მისი დახმარებით, ავღანეთში მცხოვრებ გურჯს, მალასი აბდულ ქიმარიშს ვესაუბრე სკაიპით, რომლის თქმითაც, მისი ნამდვილი გვარი მამუკაშვილია...

ლეგენდაში, რომელიც წერა-კითხვის

უცოდინარ ავღანელთა მახსოვრობას გადმოცემით შემორჩა და სხვადასხვაგვარად ჰყვებიან, ქართველი დაუმარცხებელი სარდალიც არის ნახსენები. თურმე პაკისტანის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში, ქალაქ ყანდაართან მდგარა მარმარილოს სვეტი წარწერით: მგზავრო, წამით შეჩერდი და იცოდე — ავღანეთის დაპყრობას ბევრი ეცადა, მაგრამ საბოლოოდ ვერავინ დაიპყრო დღემდე, ალაჰის ნებით! მხოლოდ სამმა სარდალმა შეძლო ავღანეთის მამაცი მხედრობის დამარცხება!.. ესენი იყვნენ — ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზ ყაენი და...გურჯი გიორგი (იგივე გურგენ-ხანი — ქართლის მეფე გიორგი XI-ის ვაჟი).

ქართული ფესვებითა და დაუმორჩილებელი ავღანური უდაბნოს შვილობით ამაყობს ჩვენი რესპონდენტი, რომელსაც შორეულ წინაპრებზე სასაუბროდ დავუკავშირდით. მისივე თქმით, ღმერთისგან დავიწყებული ქვეყნის შვილი, საუკუნეების წინანდელი წინაპრების შესახებ გვიყვება...

— ვიცი, რომ სადღაც, შორეულ ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში, თუნდაც საქართველოში, ადამიანები ბევრად უფრო ცივილიზებულად ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენთვის თავისუფლება ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ამიტომ ამბობენ ჩვენზე, დაუმორჩილებელი მიწის შვილები არიანო....

— იქნებ თქვენს წარმომავლობაზე მიამბოთ, თავად მითხარით, რომ ქართული ფესვები გაქვთ...

— მე გურჯი წინაპარი მყავდა. ჩვენი ხალხის (ამ შემთხვევაში ავღანელებს გულისხმობს — ლ.პ.), ტრადიციებისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ თავისი გაიტანა და აქამდე ბევრი რამ შემოგვინახა, მათ შორის, ოჯახში ტრადიციად დამკვიდრებული წესები და ნივთებიც კი. ეს პირველ რიგში „რწეველაა“ (ჟესტიკულაციით ამიხსნა, რომ აკვანს გულისხმობდა. — ლ. პ.), რომელსაც ჩვენი ბებიებიც კი იყენებდნენ და ამისთვის საგანგებოდ პატარა სკამიც ჰქონდათ, რომელზეც მხოლოდ ქალები, თანაც მეძუძური დედები სხდებოდნენ. ის მხოლოდ მათთვის იყო განკუთვნილი.

— სხვას რატომ არ შეეძლო ამ სკამით სარგებლობა?

— იმიტომ, რომ ეს ტრადიციის ღალატს ნიშნავდა... შემდეგ, „რწეველა“ ჭერში, ნაჭ-

ავღანელი გურჯები. მარჯვნივ — მალასი აბდულ ქიმარიში (ნამდვილი გვარი მამუკაშვილია) შვილთან ერთად

რით ჩამოკიდებულმა ბავშვის ჩასაწვენმა შეცვალა... მას უფრო ნაკლები ადგილი სჭირდებოდა და დუშმანის თავდასხმის შემთხვევაში, გაქცევისას დედა ჩვილიანად იოლად ჩამოხსნიდა... სამწუხაროდ, ბევრი რამ არ ვიცი ჩემი წინაპრების ადათ-წესების შესახებ. მუდმივმა ომებმა მისი შენარჩუნების საშუალება არ მოგვცა, თუმცა ჩემს უბანში კიდევ არიან მოხუცები, რომლებმაც იციან, რომ მათი წინაპრები გურჯები არიან, მაგრამ გვარი აღარ ახსოვთ.

— ტრადიციები უკვე მთლიანად ავღანურია თუ გურჯების ცხოვრების წესი განსხვავებულია?..

— თითქმის ავღანურია. აქ ორი სახელმწიფო ენაა — დარი და პუშტუ. ჩვენ, გურჯები, პუშტუნის ენაზე ვსაუბრობთ...

— ავღანეთში ქართველი სამხედროების ყოფნის შესახებ თუ გსმენიათ რამე?..

— დიახ, რამდენჯერმე ვესაუბრეთ მათ, თუმცა ბევრი დრო არ გვქონია. ჰელმანდის პროვინციაში ვცხოვრობ და ვმუშაობ. ისინი ჩვენს პროვინციაში, ამერიკელ სამხედროებთან ერთად პატრულირებდნენ და მხოლოდ

მალასი აბდულ ქიმარიშის კლასი აჰმად შაჰის სახელობის სკოლაში, ქაბულში

იმის თქმა მოვასწარი, რომ მეც გურჯი ვიყავი. გაუხარდათ. ასე მგონია, სიხარულს ერთნაირად გამოვხატავთ.

— რას გულისხმობთ?

— ავღანელისთვის ემოციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გულახდილად გამოხატული ემოციით იმის გამოცნობაც კი შეგვიძლია, ადამიანი კეთილია თუ ბოროტი. ეს დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ეროვნების ხალხთან ურთიერთობის გამოცდილებისგან დაგვრჩა...

— ქართველი სამხედროების ცნობით, ჰელმანდის პროვინციაში დღემდე არსებობს განცალკევებული სოფელი მთებში, რომლის მცხოვრებლებიც საკუთარ თავს გურჯებს უწოდებენ. გსმენიათ რამე ამ სოფელზე?

— არა, არაფერი მსმენია, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი მოძმე გურჯები სხვადასხვა პროვინციაში არიან გაფანტული. უშიშარი მეომრები და გურჯების მეფის თანამებრძოლთა შთამომავლები არიან. ჩვენს უბანში გურჯი სასულიერო პირი ცხოვრობდა და მას მეფის სახელიც ახსოვდა. თუმცა როცა იგი მოკლეს, მაშინ პატარა ვიყავი და მისი მონათხრობი ბუნდოვნად შემორჩა მეხსიერებას. ჰყვებოდა, რომ გურჯმა მეომრებმა ავღანელებში თავიანთი მსგავსი პუშტუნები აარჩიეს და მათზე ქორწინდებოდნენო... მისგანვე ვიცი, რომ მეფე ღალატით მოკლეს.

როცა ავღანეთი საბჭოთა კავშირს ებრძოდა, ყველაზე სასტიკ წინააღმდეგობას სწორედ ისინი უწევდნენ. შემდეგ კი, სოციალური პრობლემების გამო, დაიფანტნენ. ზოგი პაკისტანში გადავიდა, ზოგმაც ლუკმაპურის საშოვნელად ქაბულს მიაშურა.

— რატომ მოკლეს გურჯი სასულიერო პირი?

— მშვიდობის მომხრე იყო და დუშმანმა ამის შესახებ შეიტყო... ცუდია, რომ მან წერა-კითხვა არ იცოდა.

— თქვენთან მშვიდობა ახლაც არ არის. მუდმივად საომარ პირობებში ყოფნა არ გიჭირთ?..

— ძნელია, მაგრამ თაობები შეეჩვივნენ იარაღთან ერთად ცხოვრებას. აქ 5 წლის ბავშვიც იარაღთან ერთად იძინებს, იღვიძებს და იზრდება. როცა წარმოვიდგენ, როგორია ავღანელთა ყოფა შორიდან, ვხვდები, რომ ეს საშინელებაა, მაგრამ აქაურები იძულებული არიან, ასე იცხოვრონ.

— თქვენ როგორ აფასებთ ამ ყოველივეს?

— მე სკოლაში ვმუშაობ, მასწავლებელი ვარ და მშვიდობა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის. ისე კი, ალაჰს უყვარს სამართლიანი ხალხი. ისლამი ხომ ჯიჰადისა და ცხოვრების რელიგიაა. ისლამი მოუწოდებს ყველა მიმდევარს, არ დაინანოს თავისი ქონება, ძალა და სიცოცხლეც კი გამარჯვებისთვის.

ჩვენი რელიგია უარყოფს პრაგმატიზმსა და იმ იდეების შემოტანას, რომლებიც ბუნებრიობას, სიწმინდესა და სილამაზეს ამახინჯებენ... მუჰამედი ამბობს, — „თითოეული, ვინც შემოიტანს ჩვენში რაღაც ახალსა და მიუღებელს, განიდევნება ჩვენგან“, მაგრამ ახლანდელ მსოფლიოში განათლების გარეშე ძნელია ცხოვრება...

— თქვენ რას ასწავლით?..

— აქ სპეციალობის არჩევაში ისეთი თავისუფალი არ ვართ, როგორც სხვა ქვეყნებში. ზოგადი განათლება მაქვს და ამიტომ რამდენიმე საგანს ვასწავლი, მათ შორის, წერა-კითხვასაც. ჩვენ ავღანეთის განათლების სამინისტროს პროგრამას მივყვებით. სამწუხაროდ, განათლების პრობლემა ჩვენს ხალხში ძალიან მწვავედაა და ამიტომ ყველანაირი ინფორმაცია მნიშვნელოვანია. მე მათ გურჯებზეც, ჩემს წინაპრებზეც ვუამბობ... ჩვენი ქვეყნის მძიმე რეალობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ასაკის, მათ შორის მოხუცი მოსწავლეებიც მყავს, რომელთაც საბჭოთა კავშირიც კარგად ახსოვთ...

— რას ჰყვებიან ისინი საბჭოთა კავშირზე?

— უფროსებს საშინლად არ უყვართ რუსები, მაგრამ ამბობენ, რომ მათ დროს ბევრი რამ აშენდა, მათ შორის, ხიდები, სკოლები, საწარმოები... მათგან განსხვავებით, ამერიკელები მხოლოდ სამხედრო ბაზებს აშენებენ, რაც ადგილობრივებს არ მოსწონთ. ისინი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობენ, ავღანური სახელმწიფო განავითარონ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებისგან ბევრი რამ ჩვენამდე არ მოდის... ამიტომაც არის პროვინციებში ისეთი დაბალი დონე, რომ ბევრგან დენის არსებობის შესახებაც კი არ იციან. მაგრამ მე მაინც ვამაყობ ჩემი სამშობლოთი. ავღანეთი, დიდი ისტორიული ტრადიციებითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით, ყველა ჯურის დამპყრობელს იზიდავს. თუმცა ისიც იციან, რომ „დანაღმული უდაბნოს“ თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობის დამორჩილება შეუძლებელია... ავღანელს, მეომრული სულის გარდა, ბევრი კარგი თვისებაც აქვს. აქაურებს ყველაფერი აინტერესებთ, ყველა საგანს, მათ შორის, უცხო ენებს ადვილად ითვისებენ... კიდევ, ჩვენ სტუმრის ღირსეული მიღება ვიცით. მასპინძელი, ვინც უნდა იყოს მისი სტუმარი, ვალდებულია, იგი საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვას. ავღანეთი

მალასი აბდულ ქიმარიში და მისი შვილები

ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მტრის ცხედარს პატივს მიაგებენ.

— და როგორ კრძალავთ დაღუპულთ?

— პირით დასავლეთისკენ, მექისკენ ვასაფლავებთ...

— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ.

— ავღანელი არასდროს საუბრობს ოჯახზე, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ექვსი შვილი მყავს...

— როგორები არიან ისინი, სკოლაში დადიან?..

— ისინი ჩვეულებრივი ავღანელი ბავშვები არიან, შავტუხა, შავი თმით და თეთრი კბილებით. ზოგს შავი თვალები აქვს, ზოგსაც ღია, მომწვანო. ნიჭიერები არიან და შრომისმოყვარეები. მინდა მათ მაინც მიიღონ კარგი განათლება. ოდესმე იქნებ მათ მაინც შეიტყონ მეტი თავიანთი შორეული წინაპრების შესახებ. ეს გამიხარდება, თუმცა მაინც არ მინდა, საკუთარი მიწა დატოვონ. პაპაჩემისგან მახსოვს, რომ გურჯებს ღია ფერის თმა და ღია ფერის თვალები ჰქონდათ. საბჭოთა არმიაში ქართველებიც იყვნენ, აქ, ავღანურ მიწაზე ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენო... თქვენ იცით ამის შესახებ?..

— მაშინ ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და სამხედროები იმას ასრულებდნენ, რასაც ავალებდნენ...

ლალი პაპასკირი

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲡ „ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘᲐ“

დინოზავრის ჩონჩხის რეკონსტრუქცია

არგენტინაში პალეონტოლოგებმა დინოზავრის გაქვავებულ ჩონჩხს მიაკვლიეს, რომელიც დედამიწაზე აქამდე აღმოჩენილ გიგანტურ რეპტილიებს შორის ყველაზე დიდია.

მეცნიერთა განცხადებით, მისი სიგრძე 40, სიმაღლე კი 20 მეტრი იქნებოდა, ანუ დაახლოებით 7-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსისოდენა და 77 ტონას იწონიდა. ანუ იმდენს, რამდენსაც 14 აფრიკული სპილო ერთად.

არგენტინაში აღმოჩენილი გიგანტური რეპტილია სავარაუდოდ, 7 ტონით მეტს იწონიდა, ვიდრე დინოზავრი-რეკორდსმენი.

მკვლევართა აზრით, აღმოჩენილია ახალი სახეობა ტიტანოზავრი — რომელიც მცენარეებით იკვებებოდა და ცარცული პერიოდის დასაწყისში ცხოვრობდა.

გიგანტური რეპტილიის ნამარხს უდაბნოში არგენტინელმა ფერმერმა შემთხვევით მიაკვლია. შემდეგ კი, ადგილზე პალეონტოლოგები ჩავიდნენ. მათ მიწიდან დინოზავრის შვიდი ჩონჩხის ამოღება შეძლეს. მეცნიერთა თქმით, ნაშთები კარგად არის დაცული. ეს სახეობა კი მანამდე აღმოჩენილი არგენტინოზავრის „ნათესავია“.

სპეციალისტებისთვის ახლა მთავარი იმ თავსატეხის ამოხსნაა, როგორ ახერხებდა ამ მასისა და მოცულობის ცხოველი ასეთ თხელ კიდურებზე დგომასა და გადაადგილებას.

დინოზავრი-რეკორდსმენი პატაგონიის ტყეებში 95-100 მილიონი წლის წინ ბინადრობდა. მეცნიერებს მისთვის სახელი ჯერ არ დაურქმევიათ. ამბობენ, რომ ის რეპტილიის გრანდიოზულობასა და იმ ადგილსაც უნდა მოიცავდეს, სადაც ფერმერმა შემთხვევით იპოვა.

ის დინოზავრიც, რომელიც მანამდე მსოფლიოში უდიდესად ითვლებოდა, სწორედ პატაგონიის ტყეში იპოვეს და სავარაუდოდ, 70 ტონას იწონიდა.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

დინოზავრის სიმაღლე 7-სართულიან კორპუსს უტოლდებოდა

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი
არსენალი
ინფორმაცია,
ნამდვილი მამაკაცებისთვის!
ყოველთვიური ჟურნალი!
იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!
წიგნები ადგილზე მიტანით-elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

სარაევოს მკვლელობა

ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფი თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე

2014 წლის 28 ივნისს 100 წელი სრულდება მოვლენიდან, რომელიც ისტორიაში „სარაევოს მკვლელობის“ სახელით შევიდა და რომელმაც 1914 წელს იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები პირველ მსოფლიო ომში ჩააბა. ნებისმიერი ისტორიკოსისა თუ უბრალოდ ისტორიით დაინტერესებული ადამიანისთვის ცნობილია გავრილო პრინციპისა და ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის სახელები, რომელთაც მაშინ საერთო არაფერი ჰქონდათ გარდა იმისა, რომ ორივე იმ დროისთვის განუკურნებელი სენით — ტუბერკულოზით იყო დაავადებული. ცნობილია ისიც, რომ მკვლელობა ომის დაწყების საბაბად გამოიყენეს. სინამდვილეში კი XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთაგან ყველას სურდა ომი, რომელიც მსოფლიოს ახლებურად გადაანაწილებდა.

ავსტრია-უნგრეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის — ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის პოლიტიკურ საფუძველს 1878 წლამდე მივყავართ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, ახალი მსოფლიოს მოსაწყობად, პოლიტიკის მაშინდელმა ფლაგმანებმა ბერლინის კონგრესი მოიწვიეს. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ავსტრია-უნგრეთის იმპერიას მისცეს მანდატი — ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ვილაიეთის, ბოსნია-ჰერცეგოვინის ოკუპაციისთვის, ოღონდ ოსმალეთის ფორმალური სუვერენიტეტის შენარჩუნებით. მოგვიანებით, 1908 წელს, ავსტრია-უნგრეთმა ოკუპირებული ბოსნიის ანექსია მოახდინა და თავისი იმპერიის შემადგენლობაში უშუალოდ შეიყვანა.

იმავე ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, სერბეთი გამოცხადდა სუვერენულ სახელმწიფოდ და 1882 წელს იქცა მონარქიად

— ობრენოვიჩთა დინასტიით სათავეში. სერბეთს ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან სტაბილური ურთიერთობა ჰქონდა — ბერლინის კონგრესზე დადგენილი საზღვრების დაცვით. ვითარება 1903 წელს შეიცვალა, როცა სერბმა ნაციონალისტებმა მეფე ალექსანდრ I ობრენოვიჩის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს პოლკოვნიკ დრაგუტინ დმიტრიევიჩის (მეტსახელად აპისი) მეთაურობით. ეს შეთქმულება ალექსანდრ I-ის მოკვლითა და ტახტზე პიოტრ I კარაგეორგევიჩის ასვლით დასრულდა.

„დიდი სერბეთის“ ნაღმი

ნაციონალისტური გადატრიალების შემდეგ სერბეთის საგარეო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. წამოიწია „დიდი სერბეთის“ სამეფოს შექმნის იდეა, რაც ითვალისწინებდა სერბეთის აღდგენას XIV საუკუნის სამეფოს საზღვრებში. თუკი მანამდე ობრენოვიჩთა დინასტია ავსტრია-უნგრეთთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა, გადატრიალების შემდეგ ცხადი გახდა, რომ სერბეთის მმართველი ელიტა ვერ შეეგუებოდა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიის მიერთებას, რადგან ის „დიდი სერბეთის“ საზღვრებში ეგულებოდა.

თვით ბოსნიაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს სერბები წარმოადგენდნენ, ანექსიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა. მას ხელმძღვანელობდა სერბული ორგანიზაცია „შავი ხელი“ (სერბულად — ცრნა რუკა) იმავე პოლკოვნიკ დმიტრიევიჩით სათავეში. მაშინ არაერთი მსგავსი სლავური ორგანიზაცია არსებობდა, მათ შორის იყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში მოქმედი „ახალგაზრდა ბოსნია“ (მლადა ბოსნა), რომელსაც კოორდინირებას სერბი დანილო ილიჩი უწევდა. ის ჯერ სკოლაში ასწავლიდა, შემდეგ ბანკში მუშაობდა, ხოლო 1914 წლისთვის „ახალგაზრდა ბოსნიაში“ აქტიურობდა.

ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე გახლდათ. ის მხარს უჭერდა ე.წ. ტრიალიზმის გეგმას, რომლის თანახმად, დუალისტური ავსტრია-უნგრეთის იმპერია უნდა გარდაქმნილიყო ტრიალისტურ — ავსტრია-უნგრულ-სლავურ იმპერიად. „მესამის“ როლზე პრეტენზია ჩეხებსაც ჰქონდათ, ხორვატებსაც და სერბებსაც. გარდაქმნა ითვალისწინებდა იმპერიისთვის სამხრეთსლავურ ტერიტორიათა მიერთებასაც.

ფრანც ფერდინანდი ქალიშვილთან ერთად

პოლკოვნიკი დრაგუტინ დმიტრიევიჩი (მეტსახელად აპისი)

ერცჰერცოგი მეუღლესთან ერთად სარაევოში ჩადის

საინტერესოა, რომ თავდაპირველად თავდასხმის ობიექტად „შავმა ხელმა“ შეარჩია არა ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, არამედ ბოსნიელი გენერალი ოსკარ პოტიორეკი. სწორედ ის იყო ფრანც ფერდინანდის სარაევოში ვიზიტის ორგანიზატორი. პოტიორეკი მხარს უჭერდა იმპერიის პოლიტიკასა და „ტრიალისტურ“ იდეებს. პოტიორეკის მოსაკლავად „შავი ხელის“ ბოსნიური ფრთის მეთაურმა დანილო ილიჩმა შეარჩია ბოსნიელი მუსლიმი ხურო მუჰამედ მეჰმედბაშიჩი. მას იარაღი და ბოთლით საწამლავი გადასცეს, რათა დავალების შესრულების შემდეგ თავი მოეკლა. მაგრამ გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ გეგმები არია.

მუჰამედ მეჰმედბაშიჩი ბოსნია-ჰერცეგოვინაში მატარებლით გაემგზავრა პარიზიდან, სადაც 1914 წლის იანვარში „შავი ხელის“ წევრების შეკრება მიმდინარეობდა. გზად მატარებელში რამდენიმე პოლიციელი ამოვიდა, რომელნიც მგზავრებს შორის წვრილმანი ქურდობის ჩამდენს ეძებდნენ. მეჰმედბაშიჩმა იფიქრა, რომ პოლიცია მის აყვანას გეგმავდა და შეშინებულმა იარაღი და საწამლავით სავსე ბოთლი ფანჯრიდან მოისროლა. ბოსნია-ჰერცეგოვინაში ჩასულს ისღა დარჩენოდა, ახალ იარაღს დალოდებოდა.

თუმცა დანილო ილიჩისგან მეჰმედბაშიჩმა 1914 წლის 26 მარტისთვის ახალი დირექტივები მიიღო. გენერალ ოსკარ პოტიორეკის ნაცვლად ფრანც ფერდინანდის მოკვლა დაიგეგმა. ამ მიზნით სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დანილო ილიჩი ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფს ამზადებდა — ვასო ჩუბრილოვიჩის, ცვეტკო პოპოვიჩის, ტრიფკო გრაბეჟის, ნედელკო ჩაბრინოვიჩისა და გავრილო პრინციპის შემადგენლობით. რჩებოდა მხოლოდ იარაღით მომარაგება, რასაც თვეზე მეტი დასჭირდა. საბოლოოდ, 1914 წლის 26 მაისს ახალგაზრდა ტერორისტთა ჯგუფს ჰქონდა ექვსი ხელყუმბარა, ბრაუნინგის ტიპის ოთხი ავტომატური პისტოლეტი, ამუნიცია, ფული, რუკა, რომელზეც დატანილი იყო სარაევოს ქუჩებში ჟანდარმთა განლაგების გეგმა და კალიუმის ციანიდის აბები, რომლებითაც დავალების შესრულების შემდეგ თავი უნდა მოეკლათ. ჯგუფს იმპერიის საზღვარი უნდა გადმოელახა არალეგალური გვირაბით, საიდანაც ავსტრია-უნგრეთში იარაღი და დაჯგუფებები იგზავნებოდა. კონტაქტებთან

კაფე სარაევოში, სადაც შეთქმულები მკვლელობის გეგმას განიხილავდნენ

ერთად, მათ მცირე ბარათებიც გადასცეს, რომლებიც გვირაბის გამოყენების ნებას აძლევდათ.

პრინციპმა, გრაბეჟმა და ჩაბრინოვიჩმა ბელგრადი ნავით დატოვეს 28 მაისს, ქალაქ შაბაჩს მიაღწიეს და თავიანთი ბარათები სერბეთის სასაზღვრო ინსტანციის წარმომადგენლებს გადასცეს. მათ ტერორისტთა სამეულს მისცეს მატარებლის იაფფასიანი ბილეთები პატარა სერბულ სასაზღვრო ქალაქ ლოჟნიცამდე, სადაც ტერორისტებმა მეორე დღეს ჩააღწიეს.

ლოჟნიციდან სამეულს მესაზღვრეთა დახმარებით უნდა გადაეკვეთა იმპერიის საზღვარი და ქალაქ ტუზლაში ჩასულიყო. გადაადგილებისას მათ ძალიან დაეხმარნენ სერბული ორგანიზაცია „სახალხო თავდაცვის“ (ნაროდნა ოდბრანა) აგენტები. ის 1908 წელს შეიქმნა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიის საწინააღმდეგოდ.

ტუზლაში ახალგაზრდა ტერორისტთა სამეულს იღბლიანი შემთხვევითობა ელოდა. ნედელკო ჩაბრინოვიჩის მამა სარაევოს პოლიციის თანამშრომელი იყო. პრინციპს, გრაბეჟსა და ჩაბრინოვიჩს მატარებელში შემთხვევით შეხვდა დეტექტივი ივან ვილა, ჩაბრინოვიჩის მამის მეგობარი, ასევე სარაევოს პოლიციის თანამშრომელი. მასთან საუბრისას ჩაბრინოვიჩმა შეძლო ფრანც ფერდინანდის სარაევოში ვიზიტის თარიღის გარკვევა. სამეულმა უკვე იცოდა, რომ ერცჰერცოგი სარაევოს 28 ივნისს ეწვეოდა.

სარაევოში ჩასვლის შემდეგ 4 ივნისს პრინციპი, გრაბეჟი და ჩაბრინოვიჩი სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. გავრილო პრინციპი თავდაპირველად მივიდა დანილო ილიჩის სახლში, ორი დღის შემდეგ კი ილიჩის დედის სახლში გადავიდა თავად ილიჩთან ერთად. ტრიფკო გრაბეჟი თავის ოჯახთან ახლოს, პალეში გაემგზავრა, ხოლო ნედელკო ჩაბრინოვიჩი სარაევოში, მამის სახლში გაჩერდა.

14 ივნისს დანილო ილიჩი ტუზლაში გაემგზავრა და ჯგუფისთვის იარაღი ჩამოიტანა, რომელიც დედამისის სახლში, დივანის ქვეშ, სეიფში შეინახა.

ტერორისტული აქტის წინა დღეს, 27 ივნისს, დანილო ილიჩმა იარაღი ჯგუფის წევრებს დაურიგა. ამ დღეს წარუდგინა ერთმანეთს ილიჩმა მუჰამედ მეჰმედბაშიჩი და სერბი ტერორისტები.

ლათინთა ხიდი — სარაევოს მკვლელობის ადგილი



მაღაზია, სადაც გავრილო პრინციპი სენდვიჩს ყიდულობდა, როცა კორტეჟის მანქანა შეამჩნია. ფოტო გადაღებულია 1908 წელს

ᲔᲠᲪᲰᲔᲠᲪᲝᲒᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ

28 ივნისის დილას ფრანც ფერდინანდი სარაევოში მეუღლე სოფისა და თანმხლებ პირებთან ერთად მატარებლით ჩამოვიდა. მათ გენერალი ოსკარ პოტიორეკი დახვდა ექვსი ავტომობილისგან შემდგარი კორტეჟით. პირველ და მეორე მანქანაში, უსაფრთხოების მიზნებისთვის, ადგილობრივი პოლიციის ოფიცრები ისხდნენ. კორტეჟის მესამე ავტომობილი იყო სპორტული Gräf & Stift-ის კაბრიოლეტი. აქ ისხდნენ ფრანც ფერდინანდი, მისი მეუღლე სოფი და გენერალი ოსკარ პოტიორეკი. მარშრუტის პირველი პუნქტი სარაევოში სამხედრო ყაზარმები იყო, მისი მონახულების შემდეგ, დაახლოებით დილის 10 საათისთვის, კორტეჟი მდინარე მილიაცკას სანაპიროთი უნდა წასულიყო ქალაქის რატუშისკენ, სადაც ერცჰერცოგის სიტყვით გამოსვლა იყო დაგეგმილი.

ტერორისტთა ჯგუფი მილიაცკას სანაპიროზე იმგვარად განლაგდა, რომ კორტეჟის მესამე მანქანისთვის ყუმბარის სასროლად ხელსაყრელი პოზიცია ჯერ მუჰამედ მეჰმედბაშიჩს შეექმნებოდა, შემდეგ კი ვასო ჩუბრილოვიჩს. ამათგან შანსის გამოყენება და ხელყუმბარის სროლა ვერც ერთმა ვერ შეძლო. შემდეგ ჯერი უწევდა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარ ნედელკო ჩაბრინოვიჩს, რომელმაც დილის 10 საათსა და 10 წუთზე ხელყუმბარა ისროლა ფრანც ფერდინანდის მანქანისკენ, თუმცა ხელი მოეცარა. ხელყუმბარა ფრანც ფერდინანდის კაბრიოლეტის ტყვის დაკეცილი სა-

გავრილო პრინციპის დაკავება

ხურავიდან ასხლტა, ასფალტზე დავარდა და უკან მიმყოლი ავტომობილის ქვეშ აფეთქდა. აფეთქებამ მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა და ოცამდე ადამიანი დააზიანა.

ჩაბრინოვიჩმა გადაყლაპა კალიუმის ციანიდის თავისი აბი, თუმცა გაურკვეველი მიზეზით მხოლოდ ღებინება დაეწყო. იგი შეეცადა, მდინარეში გადახტომით ეშველა თავისთვის, მაგრამ ზაფხულში იმ ადგილას მდინარის სიღრმე ერთი მეტრიც არ იყო. პოლიციამ მოახერხა ნედელკო ჩაბრინოვიჩის დაჭერა, რის შემდეგაც მას სასტიკად გაუსწორდნენ პოლიციელებიც და ამ ამბის შემსწრე გამვლელებიც.

აფეთქების შემდეგ კორტეჟმა დიდი სიჩქარით ჩაუქროლა ხალხში მდგარ დანარჩენ ტერორისტებს — ცვეტკო პოპოვიჩს, გავრილო პრინციპს, ტრიფკო გრაბეჟს და გზა ქალაქის რატუშისკენ განაგრძო.

მიღებული სტრესის გამო ფრანც ფერდინანდმა რატუშაში სიტყვით გამოსვლა ვერ შეძლო. ერცჰერცოგისთვის მომზადებული ტექსტი ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელმა, მაიორმა კუბრიჩმა წაიკითხა. მოხსენების შემდეგ ამალის წევრი, ბარონი მორსე მიუახლოვდა ერცჰერცოგს და უსაფრთხოების მოსაზრებებით, ქალაქის დატოვება შესთავაზა, თუმცა მას პასუხი გენერალმა ოსკარ პოტიორეკმა გასცა: „თქვენ გგონიათ, სარაევო მკვლელებით არის სავსე?“ ამის შემდეგ, დაახლოებით 10 საათსა და 45 წუთზე, ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფი კორტეჟის იმავე, მესამე ავტომობილით გაემართნენ სარაევოს ერთ-ერთ საავადმყოფოში დაჭრილი ჯარისკაცების მოსანახულებლად.

გადაწყდა, რომ საავადმყოფოსკენ კორტეჟი უნდა წასულიყო აპელის სანაპიროს გვერდითი გზით, თუმცა ოსკარ პოტიორეკს რატომღაც დაავიწყდა მძღოლისთვის, ლეოპოლდ ლოჟკასთვის მარშრუტის მითითება. ამიტომაც მან მარჯვნივ, ფრანც-იოზეფის ქუჩაზე შეუხვია. მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა ფრანც ფერდინანდთან ერთად მანქანაში მჯდომ პოტიორეკს მძღოლისთვის გზის მითითება და ფრანც-იოზეფის ქუჩიდან ლათინთა ხიდზე გასული ლეოპოლდ ლოჟკა იძულებული გახდა, უკუსვლით, ნელა დაეწყო მანქანის შემობრუნება. სწორედ ამ დროს შე-

გავრილო პრინციპი

სარაევოს პროცესი, შუაში გავრილო პრინციპი, მარცხნიდან პირველი — დანილო ილიჩი

ნიშნა მანქანა იმავე ქუჩის ერთ-ერთ მაღაზიაში მყოფმა გავრილო პრინციპმა. ის სენდვიჩს ყიდულობდა. ტერორისტმა სწრაფი ნაბიჯით დატოვა მაღაზია, მიუახლოვდა კორტეჟის მანქანას და ბრაუნინგის ტიპის პისტოლეტიდან ჯერ ფეხმძიმე სოფის ესროლა მუცელში, ხოლო შემდეგ — ფრანც ფერდინანდს ყელში (მოგვიანებით გავრილო პრინციპმა განაცხადა, რომ თავდაპირველად მას სოფის ნაცვლად პოტიორეკის მოკვლა სურდა). პრინციპმა, ჩაბრინოვიჩის მსგავსად, კალიუმის ციანიდის აბი გადაყლაპა, თუმცა მასაც მხოლოდ ღებინება დაეწყო. პოლიციამ და ხალხმა პრინციპი შეიპყრეს და სასტიკად სცემეს. დაჟეჟილობები იმდენად მძიმე გამოდგა, რომ მოგვიანებით, ციხეში გავრილო პრინციპს ხელი მოჰკვეთეს.

მძიმედ დაჭრილი ფრანც ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა ვერც ერთის გადარჩენა ვერ მოხერხდა. თვითმხილველთა თქმით, ფრანც ფერდინანდს სიკვდილის წინ ასე მიუმართავს სოფისთვის: „სოფი, სოფი! არ მოკვდე. იცოცხლე ჩვენი შვილებისთვის!“ სოფი საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო ფრანც ფერდინანდი — დაახლოებით 10 წუთის შემდეგ.

მცირეჯლოვანი ტერორისტები

ტერორისტთა ექვსკაციანი ჯგუფი დაატიმრეს. ისინი უარს აცხადებდნენ ჩვენების მიცემაზე, თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთ-ერთი მათგანი, სავარაუდოდ, თვით დანილო ილიჩი გატყდა და ფაქტობრივად, ყველა დეტალი გაამხილა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ დეტალებს შორის იყო ის, რომ ტერორისტები იარაღით თავად სერბეთის მთავრობამ მოამარაგა.

გავრილო პრინციპს სასიკვდილო განაჩენს ვერ გამოუტანდნენ, რადგან იგი მხოლოდ 19 წლის იყო, ხოლო ავსტრია-უნგრეთის კანონით, სრულწლოვანების ასაკი 21 წელი იყო. ამიტომ მას ოცწლიანი პატიმრობა შეეფარდა. სასჯელის მოხდა მას ტერეზიენშტადტის (ავსტრია-უნგრეთი) ციხის საშინელ პირობებში მოუწია, სადაც 1918 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა კიდეც.

დანილო ილიჩი 1915 წლის 3 თებერვალს ჩამოახრჩვეს.

დანარჩენ ტერორისტებს, ასევე მათი

ფრანც ფერდინანდისა და სოფის ცხედრები



ესკორტის მესამე ავტომობილი, რომელშიც ფრანც ფერდინანდი და სოფი ისხდნენ

არასრულწლოვანების გამო, გრძელვადიანი პატიმრობა მიესაჯათ. ჩაბრინოვიჩი, ისევე როგორც პრინციპი, პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე ციხეში გარდაიცვალა.

მსოფლიო ომის დასაწყისი

სარაევოს ტერაქტებმა ევროპაში ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა. გერმანია მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთს და სერბეთის წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღებისკენ უბიძგებდა. 23 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა სერბეთს წაუყენა ათპუნქტიანი ულტიმატუმი, რომელიც ისტორიაში „ივლისის ულტიმატუმის“ სახელით შევიდა და ითვალისწინებდა 48 საათის განმავლობაში, მკვლელობაში მონაწილე ყველა პირის სიკვდილით დასჯას, ანტიავსტრიული პროპაგანდის შეწყვეტას, ანტიავსტრიული ორგანიზაციების აკრძალვას და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი მე-6 პუნქტი იყო, რომლის მიხედვით, ავსტრიელ სამართალდამცველებს სერბეთის ტერიტორიაზე გამოძიების წარმართვის უფლება უნდა მისცემოდათ. ულტიმატუმი ისე იყო შედგენილი, რომ სერბეთის მთავრობას ვერ შეესრულებინა. სერბები, ფაქტობრივად, ყველაფერს დათანხმდნენ, მე-6 პუნქტის გარდა. ავსტრიელებმა ეს საკმარისად არ მიიჩნიეს და 48-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, 1914 წლის 25 ივლისს ავსტრიულმა მისიამ სერბეთის ტერიტორია დატოვა. ეს ნაბიჯი კი დიპლომატიის ენაზე ომის დაწყების წინა საფეხურს ნიშნავდა.

28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს. ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

კახაბერ ყალიჩავა

თსუ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი

ფრანც ფერდინანდის უნიფორმა. ვენის სამხედრო ისტორიის მუზეუმი

ფრანგი ჯვაროსნები იერუსალიმის საავადმყოფოდან

იერუსალიმში, სენტ ლუისის საავადმყოფოში, რომელიც ქალაქის ძველი კედლის ახალ შესასვლელთან მდებარეობს, სარემონტო სამუშაოებისას XIX საუკუნის ფრანგული კედლის მხატვრობის ნიმუშები აღმოაჩინეს. მხატვრობის თემატიკა ჯვაროსნული ლაშქრობებია.

კედლებზე ჯვაროსან რაინდებთან ერთად მათი აღჭურვილობაა გამოსახული. მისი აღმოჩენა მას შემდეგ მოხერხდა, რაც საავადმყოფოში წყალგაყვანილობის სისტემის დაზიანების შემდეგ სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

როგორც ირკვევა, ამ სცენებით კედლების მოხატვა გრაფმა მარ პოლ ამედე დე პიელატმა 1896 წელს დაუკვეთა. იერუსალიმში მან ფრანგული რაიონი მაშინ დააფუძნა, როცა კოლონიური სახელმწიფოები ქალაქში გავლენის მოპოვებისთვის იბრძოდნენ. გრაფი თავს უკანასკნელ ჯვაროსანს უწოდებდა.

კედლის მხატვრობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად, რომლის დიდი ნაწილიც საღებავით მრავალი წლის განმავლობაში იყო დაფარული, ებრაელი ექსპერტები იმუშავებენ.

მომზადებულია
livescience-ის მიხედვით

ოთახი, რომელიც საწყობად გამოიყენებოდა

ჯვაროსნების კედელი ჰოსპიტალის დერეფანში

N1

საავტომობილო ჟურნალი

Auto Bild

საქართველო

ერიკ იან ჰანუსენი

ჰიტლერის პირადი ასტროლოგი

ერიკ იან ჰანუსენს XX საუკუნის ნოსტრადამუსს უწოდებდნენ. ზოგიერთს ნათელმხილველად მიაჩნდა, ზოგსაც — შარლატანად. დახმარებისთვის მას პრეზიდენტები, მინისტრები თუ სპეცსამსახურების აგენტები მიმართავდნენ. ლიონ ფოიხტვანგერმა და ჰაინრიხ მანმა მასზე რომანები დაწერეს, 1988 წელს კი იშტვან საბომ შესანიშნავი ფილმი გადაიღო. ერიკ იან ჰანუსენის ფსევდონიმით მსოფლიოში ცნობილი იყო გერმან (ჰერშელ) შტაინშნაიდერი (1899-1933). მისი ბიოგრაფია უნიკალურია და დეტექტიური რომანივით იკითხება.

გერმან (ჰერშელ) შტაინშნაიდერი, ცნობილი როგორც ერიკ იან ჰანუსენი

ორივე მსოფლიო ომის წინასწარმეტყველს საკუთარი აღსასრული „გამოეპარა"

გერმან შტაინშნაიდერი ავსტრიაში, ღარიბ ებრაულ ოჯახში დაიბადა. დედა 12 წლისას გარდაეცვალა. მამა მალე დაქორწინდა ორშვილიან ქვრივზე. ბიჭმა ეს მტკივნეულად აღიქვა და სახლიდან გაიქცა.

— ერთხანს უბრალო ჯიბის ქურდი იყო, შემდეგ გამომძალველთა ბანდის წევრი გახდა, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი.

მალე პოლიციამ დააპატიმრა. ბედად, პოლიციელი, რომელმაც იგი დააკავა, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა. ყმაწვილს დიდხანს ესაუბრა და უთხრა:

— ძალიან ნიჭიერი ხარ, ციხისთვის მეცოდები. რომ გაგიშვა, ბანდიტებს აღარ გაეკარები?

— პირობას ვერ მოგცემთ, — იყო პასუხი.

— რაო?! — პოლიციელი უნებლიეთ შეკრთა.

— პატიოსანი რომ იყო, პროფესიაა საჭირო, მე კი ხელობა არ მაქვს.

— კარგი ბიჭი ხარ! — პოლიციელმა მხარზე ხელი მოუთათუნა.

დაკავებულ მოხულიგნო მოზარდს იგი ყავით გაუმასპინძლდა. შემდეგ უთხრა:

— რას იტყვი, ცირკში რომ მოგაწყო?

გაოცებული ბიჭი პოლიციელს მიაჩერდა. ინსპექტორი კი იღიმებოდა.

— შენნაირი ნიჭიერი ბიჭი იქ არ დაიკარგება. მოდი, შევთანხმდეთ: მე ცირკში მოგაწყობ, შენ კი ქურდობასა და გამომძალველობას თავს დაანებებ, კარგი?

— კარგი.

პოლიციელმა პირობა შეასრულა. ყმაწვილი ცნობილ ნათელმხილველ ლეოს გააცნო. ამ უკანასკნელმა ბიჭი შეგირდად აიყვანა.

— ლეო ფოკუსის ხელოვნებას ვირტუოზულად ფლობდა, მისი ასტროლოგიური

წინასწარმეტყველებებიც ამაზე იყო დაფუძნებული, — წერს საბჭოთა მწერალი იულიან სემიონოვი.

გერმანი დაეუფლა მოჯირითისა და აკრობატის ხელოვნებასაც. მალე არენაზე გამოჩნდა, თუმცა მისი ნომრები სხვებისგან ბევრი არაფრით გამოირჩეოდნენ. გერმანს კი დიდება სწყუროდა.

— შემდეგ ის წინასწარმეტყველის როლში მოგვევლინა. პირველად სახელი იმით გაითქვა, რომ თავისი მასწავლებლის ყალთაბანდობა ამხილა, — წერს საბჭოთა მწერალი ლევ ბეზიმენსკი.

ლეო ცნობილ წინასწარმეტყველად ითვლებოდა და მის მხილებასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. გერმანმა მიზანს მიაღწია. მასზე ევროპის პრესა ალაპარაკდა.

სპეცსამსახურების კლიენტი

შტაინშნაიდერის, როგორც ნათელმხილველის, დებიუტი ვენის ერთ-ერთ კაბარეში 1912 წელს მოეწყო. ავსტრიული პრესა ახალგაზდა ასტროლოგზე ალაპარაკდა. ცნობით წინასწარმეტყველმა არა მხოლოდ ქალების, არამედ სპეცსამსახურების ყურადღება მიიქცია. მათთვის შტაინშნაიდერი იდეალური ფიგურა იყო საზოგადოებაში ხელსაყრელი ინფორმაციის გასავრცელებლად.

მალე გერმანს შეხვდა ცნობილი გერმანელი მზვერავი, ჰოლკოვნიკი ვალტერ ნიკოლაი. მათი საუბრის შემდეგ გერმანი ბერლინში გადავიდა. ბერლინის კაბარეებში მისმა ოკულტურმა სეანსებმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. ამასთან, შტაინშნაიდერი იმ ინფორმაციას ავრცელებდა, რაც ნიკოლაის სჭირდებოდა.

ბევრი მკვლევარი ეთანხმება ნათელმხილველის კავშირს როგორც ავსტრია-უნგრეთის, ისე გერმანიის სპეცსამსახურებთან, თუმცა არაერთი მათგანი საეჭვოდ მიიჩნევს ცნობას, რომ ის მხოლოდ გერმანიისა და ავსტრიის დაზვერვის ინფორმაციებს ავრცელებდა. ასე მაგალითად, შტაინშნაიდერმა იწინასწარმეტყველა, რომ ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდს სარაევოში მოკლავდნენ, გამოიცნო პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელი (1914) და ისიც, რომ გერმანია ამ ომში დამარცხდებოდა.

— გერმანიას თავს მოახვევენ ზავის დამამცირებელ პირობებს. ტერიტორიებსაც ჩამოაჭრიან. ქვეყანას ქაოსი, გარყვნილება და კორუფცია მოიცავს. განსაზღვრული დროის შემდეგ გამოჩნდება ლიდერი, რომელიც ქვეყანას ააღორძინებს. მე მას უკვე ვხედავ. ამ კაცს ადოლფი ჰქვია, ის ავსტრიელია, მაგრამ გერმანია ყველაფერს ურჩევნია, — ამბობდა გერმანი.

ლიონ ფოიხტვანგერი, რომელმაც შტაინშნაიდერი გამოიყვანა თავის რომანში „ძმები ლაუტენზაკები“, წერს, რომ ასტროლოგის წინასწარმეტყველება ბევრმა არასერიოზულად აღიქვა. მის სეანსებზეც, როგორც კარგ საცირკო სანახაობაზე, ისე დადიოდნენ. 1914 წელს სიცილის თავი უკვე ბევრს აღარ ჰქონდა. პირველი მსოფლიო ომი ხომ მართლა დაიწყო. ასტროლოგის სიტყვებსაც უკვე სერიოზულად მიუგდეს ყური.

„ამ კავკასიელის მეშვინია“

ასტროლოგის პროგნოზი ახდა და იმპერატორმა ვილჰელმმაც თავისთან დაიბარა. საუბარი ძალიან სწრაფად დასრულდა, რადგანაც ამ უკანასკნელმა იმპერატორს უთხრა:

იმპერატორმა ვილჰელმ II-მ ჰანუსენი პირადად დაიბარა სასაუბროდ

იუგოსლავიის მეფე ალექსანდრ I კარაგეორგევიჩი და მისი მეულლე, დედოფალი მარია პირმშოს — პეტერის ნათლობისას, რომელიც შემდგომში იუგოსლავიის მეფე პეტერ II გახდა

— თქვენო უდიდებულესობავ, გევედრებით, ომი დაუყოვნებლივ შეაჩეროთ! გერმანიას უცილობელი დამარცხება მოელის, თქვენ კი ტახტს დაკარგავთ!

— გაეთრიე! — დაიღრიალა ვილჰელმ მეორემ.

მისი ბრძანებით ასტროლოგს აღმოსავლეთის ფრონტზე უკრეს თავი. პოლკის მეთაურმა, რომელშიც იგი მსახურობდა, გამოიძახა და ჰკითხა:

— აბა, გვიჩვენე ერთი, რა წინასწარმეტყველი ბრძანდები! მითხარი, მე რა მომელის?

— თქვენი ცოლი რამდენიმე თვეში იმშობიარებს და ვაჟი გეყოლებათ, — მიუგო ასტროლოგმა.

მეთაური უნებლიეთ შეკრთა. ცოლი მართლაც ფეხმძიმედ ჰყავდა. შტაინშნაიდერი თავით ფეხამდე გამომცდელად შეათვალიერა და არაფერი უთქვამს. რამდენიმე თვის შემდეგ კი კვლავ გამოძახა:

— ყოჩაღ, მართლა წინასწარმეტყველი ყოფილხარ! ვაჟი შემეძინა!

ამის შემდეგ ის და ასტროლოგი განუყრელი მეგობრები გახდნენ. მეთაურმა ფულადი პრემია გამოუწერა. მისი ბრძანებით, გერმანს წინა ხაზზე აღარ აგზავნიდნენ. ახალი ასტროლოგი სეანსებს თავისი პოლკის ოფიცრებისთვის მართავდა. კერძოდ, მან იწინასწარმეტყველა:

— ომი 1918 წელს დამთავრდება. გერმანიას წინ მძიმე დღეები მოელის. ვხედავ ლიდერს, რომელიც გერმანიას აღადგენს. ამ კაცს ადოლფი ჰქვია, ის ავსტრიელია. ეს კაცი გერმანიას ძველ დიდებას დაუბრუნებს. აგერ, ერთი შავგვრემანი კაციც, რომელმაც სული ეშმაკს მიჰყიდა. ის კავკასიელია, მაგრამ რუსეთის იმპერატორი გახდება. ამ კავკასიელისა ძალიან მეშინია. მას გერმანიის განადგურება და მსოფლიო ბატონობა სურს.

ასტროლოგი ამ ყველაფერს 1916 წელს ამბობდა.

სკანდალი მეფესთან

1918 წელს პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. გერმანიას მართლაც მძიმე დღეები დაუდგა. ასეთ დროს ასტროლოგები, შავი მაგიის ოსტატები და სხვა ჯურის წინასწარმეტყველნი თუ ექსტრასენსები ჭინჭარივით მრავლდებიან. გერმანიაც გამონაკლისი არ იყო, თუმცა შტაინშნაიდერმა ისინი დაჩრდილა:

— ყველას ახსოვდა, რომ მისი პროგნოზი პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით გამართლდა. მას როგორც ნამდვილ წინასწარმეტყველს, ისე უყურებდნენ, — წერს ლევ ბეზიმენსკი.

ასტროლოგის პოპულარობა იზრდებოდა. იგი ერთიმეორის მიყოლებით აწყობდა სეანსებს, გამოსცემდა საკუთარ გაზეთს, ჰყიდდა ოკულტურ ნივთებს. მისი სახელი მთელ ევროპაში გახდა ცნობილი. მას დახმარებისთვის მიმართავდნენ გერმანიის პრემიერ-მინისტრი, საფრანგეთის პრეზიდენტი, იუგოსლავიის მეფე ალექსანდრ I კარაგეორგევიჩი. მეფეს ასტროლოგმა განუცხადა:

— მალე თქვენს ქვეყანაში კრიზისი გამძაფრდება, თქვენ პარლამენტს დაშლით და დიქტატურას გამოაცხადებთ, რაც თქვენი უმძიმესი შეცდომა იქნება. ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მოგკლავენ.

გააფთრებულმა ალექსანდრმა ასტროლოგი ქვეყნიდან გააძევა. თუმცა გერმანელი წინასწარმეტყველის სიტყვები 1929 წელს გაიხსენეს, როცა მეფე ალექსანდრ კარაგეორგევიჩმა გარეკა პარლამენტი და დიქტატურა დაამყარა. გამართლდა წინასწარმეტყველების მეორე ნაწილიც. 1934 წელს მეფე ალექსანდრი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, მარსელში მოკლეს.

— ასტროლოგის სიტყვები „ფრანფურკერ ცაიტუნგმა“ დაბეჭდა. თარიღიც ზედ გარკვევით აწერია, 1927 წელი. გერმან შტაინშნაიდერის მომხრეები ამას ცხვირში ჩრიან ყველას, ვისაც მის ძალაში ეჭვი ეპარება, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი.

ფსევდონიმი

იუგოსლავიის მეფესთან სკანდალმა შტაინშნაიდერის პოპულარობა გაზარდა. ევროპაში ენაზე ეკერათ მისი სახელი. ასტროლოგი იმდენად გამდიდრდა, რომ ძვირად ღირებული იახტა შეიძინა. მალე ის აშშ-ში საგასტროლოდ გაემგზავრა, სადაც პირველად გამოიყენა ფსევდონიმი ჰანუსენი.

გასტროლებმა ტრიუმფით ჩაიარა.

როცა ასტროლოგი ნიუ-იორკში სეანსს აწყობდა, აფიშებზე გაჩნდა წარწერა: ერიკ იან ჰანუსენი. ჟურნალისტებს წინასწარმეტყველმა უთხრა, რომ დანიელი არისტოკრატის შვილია, ბავშვობიდან ეკლესიური ცხოვრებით

ერიკ იან ჰანუსენი ჰიპნოზის სეანსს აწყობს ბერლინის ზოოპარკში. 1932 წ.

ცხოვრობს, ამიტომაც „ვარსკვლავები საიდუმლოს უხსნიან“. შეკითხვაზე, რა მოელოდა აშშ-ს, ჰანუსენმა მიუგო:

— მალე მთელ ევროპაში საშინელი კრიზისი დაიწყება. ეს აშშ-ზეც აისახება. ბევრი ქარხანა დაიხურება, ბანდიტიზმი და დანაშაული გაიზრდება, თუმცა მალე გამოჩნდება ლიდერი, როელიც ამას ალაგმავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამერიკა მსოფლიოს ლიდერი გახდება.

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?

— დიახ, ის 1939 წელს დაიწყება. დიდი ბრიტანეთის იმპერია დაინგრევა. ევროპიდან დიდი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნების შანსი მხოლოდ გერმანიას აქვს. თუკი ჩვენმა პოლიტიკოსებმა შეცდომა არ დაუშვეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ზესახელმწიფო იქნება, ამერიკა და გერმანია. თუკი ეს ვერ მოხერხდა, მაშინ გერმანიის ადგილს რუსეთი დაიკავებს.

— ანუ ამერიკის კონკურენტი რუსეთი იქნება?

— თუკი ასე მოხდა, ეს მსოფლიოს ძალიან ძვირი დაუჯდება! რუსეთი გააღვიძებს ჩინეთს, რომელიც ასევე დიდ სახელმწიფოდ გადაიქცევა და უამრავ პრობლემას შექმნის...

ჰანუსენი ამას 1929 წელს ამბობდა.

ნაცისტ მოიერიშეთა მეთაური ერნსტ რემი

გერმანული გაზეთი იუწყება, რომ ჰანუსენმა ჰიტლერის მომავალი იწინასწარმეტყველა

Erik Jan Hanussen's

Berliner Wochenschau

4. und 5. Lektion des Hanussen-Unterrichts:

Wie gefalle ich Ihr?

Wie gefalle ich Ihm?

11 25.–31. März 1932 Jahrgang 1932

E. J. Hanussen schildert im Trance

Hitlers Zukunft

Was wird aus Hitler?

Juwelen in der U-Bahn

3000 Mark Belohnung

Börse:

ერნტს რემის „მაშველი რგოლი“

1929 წლისთვის გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია უკვე გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ძალა. მის ფიურერს, ადოლფ ჰიტლერს ზოგი გერმანიის მხსნელად აღიქვამდა, ზოგი — ავანტიურისტად, ზოგიც უბრალოდ შეშლილად, თუმცა უდავო იყო, რომ ჰანუსენის წინასწარმეტყველების ნაწილი ახდა. გერმანულ პოლიტიკურ ელიტაში გამოჩნდა ფიგურა, რომელსაც ადოლფი ერქვა. ის მართლაც ავსტრიელი იყო და გერმანიის მხსნელის როლზე აცხადებდა პრეტენზიას.

— ჰანუსენი მართლაც ახალი ნოსტრადამუსია, — ამას უკვე ძალიან ბევრი ამბობდა.

ჰანუსენის პოპულარობა გერმანიაში კიდევ უფრო გაიზარდა. მისი წარმოდგენები ანშლაგებით მიმდინარეობდა. მაგრამ მალე იგი დააპატიმრეს.

— მიზეზი მისი გასაოცარი პოპულარობა და სიმდიდრე იყო. ჰანუსენმა ეს მეტისმეტად სწრაფად მოიპოვა, — წერს უილიამ შირერი.

ჰანუსენს ბრალი ყალთაბანდობაში დადეს. მას ხანგრძლივი პატიმრობა დაემუქრა. ანაზდად მხსნელად ნაცისტ მოიერიშეთა მეთაური ერნსტ რემი მოევლინა. მისმა ბიჭებმა სასამართლოს შენობასთან მასობრივი დემონსტრაციები მოაწყვეს. სასამართლომ ჰანუსენი გაამართლა.

— პროცესის შემდეგ რემი მას პირადად შეხვდა და ესაუბრა, — წერს უილიამ შირერი.

მეორე დღეს გაზეთებში ჰანუსენის ახალი წინასწარმეტყველება გაჩნდა. ის ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლაზე ლაპარაკობდა. ამან ბევრი აღაფრთოვანა, ბევრი კი გააღიზიანა. ჰანუსენით კი თავად ჰიტლერი დაინტერესდა.

შეხვედრა ფიურერთან

ჰიტლერ-ჰანუსენის შეხვედრის ორგანიზატორი ერნსტ რემი იყო. შეხვედრას ნაციონალ-სოციალისტების მთელი ზედაფენა უჭერდა მხარს. იდგა 1930 წელი.

— ჰიტლერი იმხანად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ფეთქებადი ტემპერამენტის ადამიანებს ხშირად ემართებათ. ენერგიის მოზღვავებას დეპრესია ცვლის. ჰიტლერი კი პარტიის აღიარებული ბელადი იყო. ამომრჩეველი ხმას არა ნაციონალ-სოციალისტებს, არამედ ჰიტლერს აძლევდა. ფიურერის პოლიტიკიდან წასვლა მისი გარემოცვისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, — წერს უილიამ შირერი.

ჰანუსენთან შეხვედრის შემდეგ ფიურერს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. ასტროლოგმა უწინასწარმეტყველა, რომ პარტია ხელისუფლებაში 1933 წელს მოვიდოდა. ასტროლოგი იმდენად დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ ფიურერი გადაეხვია და უთხრა:

— ამიერიდან ჩემი პირადი ასტროლოგი იქნებით.

შემდგომი მოვლენები ჰანუსენმა მართლაც



ისტორიკოსების მტკიცებით, ჰანუსენი ნაცისტების საარჩევნო კამპანიასაც წარმართავდა. აღსანიშნავია, რომ ნაცისტური პროპაგანდა ბევრი ნიშნით წაგავდა მაშინდელ საბჭოთა პროპაგანდას

(ზემოთ) ჰანუსენმა რაიხსტაგის 1933 წლის ხანძარიც იწინასწარმეტყველა. (ქვემოთ) ხანძრის შემდეგ

ზუსტად განჭვრიტა. მორიგი სეანსი მან რემის, ჰიტლერისა და გერინგის თანდასწრებით მოაწყო. ჰანუსენმა რაიხსტაგის ხანძარიც იწინასწარმეტყველა და ისიც განსაზღვრა, რომ ანტინაცისტური ფრონტი, სადაც კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები უნდა გაერთიანებულიყვნენ, ვერ შეიქმნებოდა.

— მან უბრალოდ გერმანული დაზვერვის პროგნოზი „გამოამჟღავნა“, — წერს იულიან სემიონოვი.

ასე იყო თუ ისე, ჰანუსენის მორიგი წინასწარმეტყველება გამართლდა.

ალსასრული

პარადოქსია, მაგრამ ებრაელმა ჰანუსენმა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისმა მრავალრიცხოვანმა სტატიებმა, სეანსებმა, სადაც ის ჰიტლერს მხსნელად მოიხსენიებდა, პუბლიკაზე განსაცვიფრებელი გავლენა იქონიეს. უილიამ შირერი იმასაც ამტკიცებს, რომ ჰანუსენი ნაცისტების საარჩევნო კამპანიას წარმართავდა. ჰიტლერელებმა გაიმარჯვეს. ფიურერმა სახალხოდ განაცხადა:

— ჰანუსენი გერმანიის სინდისი და ინტელექტია!

მალე ასტროლოგმა ნაცისტურ პარტიაში შესვლის განცხადება დაწერა. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კრებაზე ჰიტლერი საზეიმოდ აცხადებდა, მალე ჰანუსენი გერმანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდებაო. ასტროლოგი ნელ-ნელა გამოიკვეთა ფიგურად, ვისაც ჰიტლერზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა.

— მას შეეძლო ისეთივე როლი ეთამაშა, როგორიც რასპუტინს — ნიკოლოზ მეორის კარზე, — მიიჩნევს უილიამ შირერი.

ცხადია, ამან ბევრი შეაშფოთა. გებელსმა ჰიტლერს ჰანუსენის ებრაელობა შეახსენა. ფიურერზე ამ ცნობას გავლენა არ მოუხდენია.

— მერე რა, რომ ებრაელია!

ნაცისტური პარტიის ზედაფენა შეშფოთებული იყო. ჰიტლერი უკვე არა მხოლოდ პარტიის ბელადი, სახელმწიფოს მეთაურიც გახლდათ. ჰანუსენისა მას ბრმად სჯეროდა, მისი გავლენაც ფიურერზე განუსაზღვრელი იყო. არც გერინგს, არც გებელსს, არც თავად რემს ამის დაშვება არ შეეძლოთ. ჰანუსენი ყველა მათგანის კონკურენტად გადაიქცა.

1933 წლის 25 მარტს, გამთენიისას, ჰანუსენის ტყვეებით დაცხრილული გვამი ბერლინის გარეუბანში იპოვეს. მკვლელები მალე დააპატიმრეს. ისინი მოიერიშეთა რაზმების წევრები აღმოჩნდნენ. მოგვიანებით, როცა ჰიტლერი ერნსტ რემის მომხრეებს გაუსწორდა, ოფიციალურად ითქვა, რომ ჰანუსენმა რემს ბანქოში დიდძალი თანხა მოუგო და ამ უკანასკნელმაც მისი მკვლელობა შეუკვეთა.

* * *

ვინ იყო ჰანუსენი? ზოგიერთი მას შარლატანს უწოდებს, ზოგიც წინასწარმეტყველს. ლევ ბეზიმენსკი წერს:

— თუკი მართლაც ზებუნებრივი ძალების მფლობელი იყო, რატომ საკუთარი სიკვდილი ვერ იწინასწარმეტყველა?

ჰანუსენის შესახებ შეხედულებებს XX საუკუნის გამოჩენილი მზვერავებიც გამოთქვამენ. ყველაზე ამომწურავად ის ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვის (აბვერის) პირველმა შეფმა რაინჰარდ გელენმა დააზასიათა:

— ჰანუსენი მართლაც ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, ფოკუსის ხელოვნებას ვირტუოზულად ფლობდა, ჰქონდა ჰიპნოზის ნიჭიც. ასეთ ადამიანს სპეცსამსახურები ხალისით იყენებენ. ჰანუსენიც ხშირად ამხელდა გერმანული დაზვერვის პროგნოზებს, თუმცა მარტოოდენ ამით მისი წინასწარმეტყველებების ახსნა, რასაკვირველია, არ შეიძლება.

ჰანუსენი ჩვეულებრივ ადამიანზე ბევრად ძლიერი იყო, ამიტომაც შეეძლო დაენახა და განეჭვრიტა ის, რასაც უბრალო მოკვდავნი ვერ ხედავენ. მისი პროგნოზების დიდი ნაწილი გამართლდა. ჰანუსენმა გამოიცნო რაიხსტაგის დაწვა, გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება და სხვ. თუმცა საკუთარი სიკვდილი ვერ განსაზღვრა. რატომ? იმიტომ, რომ მაინც ადამიანი იყო და ზებუნებრივი არაფერი გაჩნდა. გამომდინარე აქედან, ადამიანისთვის დამახასიათებელი სისუსტეებიც ჰქონდა, უყვარდა ფული, ქალები, პოპულარობა...

ჰანუსენზე უამრავი ფილმი თუ სერიალია გადაღებული. ამ არაჩვეულებრივ კაცზე დღესაც წერენ რომანებსა თუ მონოგრაფიებს, იღებენ ფილმებს.

ნიკა თევზაძე

ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვის პირველმა შეფმა რაინჰარდ გელენმა (ზემოთ) ერიკ იან ჰანუსენი ყველაზე ამომწურავად დააზასიათა

ლურჯი მონასტერი

მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან. ავტორის ფოტოები

ლურჯი მონასტერი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისის ცენტრში, ვერის პარკთან, ქიაჩელის ქუჩაზე. ეს ძეგლი საინტერესოა თავისი ისტორიით, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით, დიდებული ფორმებიდან ბევრი აღარაფერი შემორჩა. უცხო თვალისთვის ალბათ წარმოუდგენელია, რომ ეს არცთუ გამომსახველი ფორმის ნაგებობა ოდესღაც ქართული არქიტექტურის გამორჩეულ საფეხურს მიეკუთვნებოდა და ისეთი ძეგლების რიგში ეწერებოდა, როგორებიცაა: ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, კოჯრის კაბენი, ტიმოთესუბანი და იკორთა. ამჟამად ტაძრის კედლებს რამდენიმე საფუძვლიანი გადაკეთების კვალი ეტყობა, თუმცა შემორჩენილი ნაშთების მიხედვით დგინდება მშენებლობის პერიოდიცა და დამკვეთიც.

სახელწოდება „ლურჯი მონასტერი“ გვიანდელია. არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარად ლურჯი ფერის კრამიტების გამო ეწოდა, რომლებითაც გუმბათი იყო გადახურული. 1972 წელს ტაძრის ეზოში ლურჯი ფერის მოჭიქული კრამიტები უპოვიათ, რაც ვარაუდს კიდევ უფრო ამტკიცებს.

ტაძარი ამჟამად გუმბათიანი ნაგებობაა, წარმოადგენს სწორკუთხედს აღმოსავლეთით შვერილი აფსიდათი (ნახევარწრედ გამოწეული ნაწილი), რომელიც დაახლოებით წრის მეოთხედით სცილდება კედლების ფარგლებს. ეს უჩვეულო რამ გახლავთ ქართული ხუროთმოძღვრების ამ ეტაპისთვის. გუმბათი დასავლეთით ეყრდნობა ორ რვაწახნაგა ბურჯს, რომლებიც მაღლა ოთხკუთხედი ხდება. აღმოსავლეთით კი საკურთხევლის კედლებს, აფსიდასა და გუმბათქვეშა კვადრატს შუა ძალიან ღრმა ბემაა (ამფითეატრის მსგავსი სივრცე ტაძარში). ეს დეტალი იმ ეპოქის ძეგლებისთვის სახასიათოა. საკურთხევლის აქეთ-იქიდან სწორკუთხა დამატებითი სათავსებია — ორსართულიანი სამკვეთლო და სადიაკვნე.

ტაძარს ორი შესასვლელი აქვს — დასავლეთით და სამხრეთით. ნათდება გუმბათის

ფასადებზე გაირჩევა ორი სამშენებლო ფენა: თლილი ქვის ძველი წყობა და აგურით განახლებული ნაწილი

ტაძარი და სამრეკლო, საერთო ხედი



ძველი წყობა ყველაზე სრულად აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩა, რომლის ცენტრიც შვერილ აფსიდას უჭირავს, სამი სარკმლით.

აღმოსავლეთ ფასადის კედელზე ვხედავთ მეოთხე ფანჯარასაც

ყელში არსებული სარკმლებით და რამდენიმე ფანჯრით. სამშენებლო მასალა არაერთგვაროვანია. ფასადებზე გაირჩევა ორი სამშენებლო ფენა: თლილი ქვის ძველი წყობა და აგურით განახლებული ნაწილი, რომელშიც აქა-იქ არის ჩაყოლებული ძველი თლილი ქვაც.

ძველი წყობა ყველაზე სრულად აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩა, რომლის ცენტრიც შვერილ აფსიდას უჭირავს. შუაში ყველაზე დიდი ფანჯარაა, აქეთ-იქიდან შედარებით პატარა და მაღლა აწეული თითო სარკმლით. იქვე ფასადის კედელზე ვხედავთ მეოთხე ფანჯარასაც. მათ ფართო, ჩუქურთმიანი საპირეები აქვთ. შემკულია ფასადზე დატანილი მრგვალი სარკმელიც. ლურჯი მონასტრის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული დეკორი სწორედ აქ შემორჩენილი მორთულობაა, სადაც ოცამდე განსხვავებული მოტივი დაითვლება. ეს ორნამენტები სტილისტიკურად მჭიდრო ჯგუფია და მეორდება XII-XIII საუკუნეთა მიჯნის სხვა ძეგლებშიც (იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, კოჯრის კაბენი, ტიმოთესუბანი). ამდენად, აღმოსავლეთის ფასადი ერთ-ერთი გასაღებია ტაძრის დათარიღებისთვის.

აღმოსავლეთ ფასადზე ასევე უტყუარად პირვანდელი დეტალია შვერილი აფსიდა,

რომელიც არ არის სახასიათო ქართული არქიტექტურისთვის. ცნობილია, რომ შვერილაფსიდიანი ტაძრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შენდებოდა ქრისტიანული არქიტექტურის ჩამოყალიბების მხოლოდ საწყის პერიოდში. შემდეგ კი ეს დეტალი გვხვდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი) ძეგლებში. ამას ბიზანტიურ ქრისტიანულ სამყაროსთან სიახლოვითა და მისი გავლენით ხსნიან. მიაჩნიათ, რომ ლურჯი მონასტრის ადგილას ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდანვე უნდა ყოფილიყო ტაძარი შვერილი აფსიდით, რომლის გეგმაც არ დაარღვიეს და ხელახალი მშენებლობისას გაიმეორეს. განსაკუთრებით გაუფრთხილდნენ საკურთხეველს. თუმცა ეს მოსაზრება ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, რადგან ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები არ წარმართულა.

ამ ფასადზე განახლებულია კედლის მარჯვენა და ზედა ნაწილი.

სამხრეთის ფასადის ზედა ნახევარი აგურითაა ამოყვანილი. ძველი და ახალი წყობების საზღვარი უსწორმასწოროა. ფასადის მარცხენა ნახევარშია მოქცეული თაღოვანი კარი, რომლის ზემოთ, ფილაზე გამოსახულია გოლგოთის ჯვარი, მის ირგვლივ კი სამშენებლო წარწერა იკითხება: „ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილმა ბასილიმ, ამას კედარსა შინა ქრისტიანობის გამავრცელებლის ანდრია მოციქულის სახელზე ააგო და შეამკო

სამხრეთის ფასადზე თაღოვანი კარია (მარჯვნივ), რომლის ზემოთ, ფილაზე გამოსახულია გოლგოთის ჯვარი, მის ირგვლივ კი სამშენებლო წარწერა იკითხება (ქვემოთ)

ლურჯი მონასტრის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული დეკორი აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილი მორთულობაა

ეკლესია ნაცვალსაგებლად თავისთვის, თავისი ძმის: ერისთავთ-ერისთავის ქართლის ამირთა-ამირის, რუისთვისა და შვიდთა მთუელეთთა პატრონის აბულასანისა და ძმისწულის დავითისათვის". როგორც ვხედავთ, ეს წარწერა ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს და ფაქტობრივად, მთავარ საბუთს წარმოადგენს ტაძრის დათარიღებისთვის.

როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ XI საუკუნემდე არაფერი სცოდნიათ და რადგან წარწერაში ანდრია პირველწოდებული „ტაძრის პატრონად" არის მოხსენიებული, შეუძლებელია ტაძარი XI საუკუნემდე აეშენებინათ. ამას გარდა, ტექსტში დასახელებულ ისტორიულ პირთაგან გამოკვლეულია აბულასანის ვინაობა და იგი გაიგივებულია თამარ მეფის თანამედროვე დიდებულთან, რომელიც გიორგი რუსის მომხრეთა ბანაკს ხელმძღვანელობდა და მასთან ერთად გააძევეს ქვეყნიდან. ამგვარად, წარწერის შესრულებისა და ტაძრის მშენებლობის ქვედა ზღვარი 1190-1191 წლები გამოდის, რაც საკვლევი ეთანხმება დეკორისა და წარწერის ასოთა მოხაზულობის სტილისტიკურ ანალიზს.

დასავლეთის ფასადის ზედა ნახევარი აგურითაა ნაგები, ქვედა ნახევარი — თლილი ქვით, თვალში საცემია ამ ორი ფენის გამმიჯნავი უსწორმასწორო ხაზი. ცენტრში თაღოვანი კარია, რომლის მაღლა სწორკუთხა ნიშში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატია მოთავსებული. სულ მაღლა პატარა სარკმელს ძველი წყობის ჩუქურთმის ფრაგმენტი აქვს შერჩენილი.

ჩრდილოეთის ფასადი მოხაზულობით სამხრეთ ფასადის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ აქ კარი არ არის და ბევრად უფრო მეტი ნაწილია აგურით აღდგენილი.

XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც აღარ აღადგინეს დანგრეული ტაძრის გუმბათოვანი გადახურვა და ტაძარი სამნავიან ბაზილიკად აქციეს, დაზიანებული ნაწილები კი აგურით განაახლეს. ისრული და ნახევრად ისრული კამარების გამოყენებამ მხატვრული მთლიანობა დაარღვია და ტაძრის ხუროთმოძღვრული ტიპი შეცვალა — ცენტრალურგუმბათიანიდან ის სამნავიან ბაზილიკად გადაიქცა.

ტაძრის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. რუსეთის სამხედრო ხელისუფლებამ ლურჯი მონასტრის სახურავჩამონგრეულ ცარიელ შენობაში თოფის წამლის საწყობი მოაწყო.

1860 წელს დეკანოზმა გრიგოლ ჭრელაშვილმა და ინჟინერ-ტექნოლოგმა ფონ-ბიჰოლდმა დაათვალიერეს შენობა და დაასკვნეს, რომ ღვთისმსახურების აღდგენა შესაძლებელი იყო. 1871 წელს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) ტაძრის განახლება დეკანოზ იოანე ბასხაროვს დაავალა, რეკონსტრუქციის პროექტი საეპარქიო ხუროთმოძღვარმა ალექსანდრ ჩიჟოვმა შეასრულა, რომელმაც არ გაითვალისწინა ქართული არქიტექტურის სტილისტიკა და თავდაპირველ არქიტექტურულ ფორმასთან მიახლოების მიზნით, უხეშად გადააკეთა იგი, ჩაჭრა კამარა და დაადგა ნახევარსფერულსახურავიანი, ე.წ. ხახვისთავიანი გუმბათი, რომელიც სრულიად უცხოა ქართული ხუროთმოძღვრებისთვის. შეიცვალა შიდა სივრცის აგებულებაც და გარე მასებიც.

ტაძარი 1873 წელს იკურთხა, თუმცა 1888 წელს ის ხანძარმა დააზიანა. 1889 წელს კვლავ შეაკეთეს, უფრო სწორად, „შეარემონტეს": შიგნიდან ასფალტის იატაკი დააგეს,

ეკლესიის სამხრეთი ფასადი

კანკელი აამაღლეს და შეღებეს. გარედან შეათეთრეს, დაუმატეს ორსართულიანი სამრეკლო და კარიბჭე (რომლებიც მალევე მოანგრიეს).

ლურჯი მონასტრის ბოლო რესტავრაცია 1990-იანი წლებით თარიღდება. პირველ რიგში, ქართული არქიტექტურისთვის უცხო ფორმის ნახევარსფერული გუმბათი კონუსურით შეიცვალა, რომლის პროპორციაც ამ შენობას ზუსტად არ ერგება, მაგრამ ძველს ნამდვილად სჯობს.

უკანასკნელ ხანებში მოიხატა ტაძრის ინტერიერი და ეზოში აშენდა სამრეკლო.

მარიტა სახლთხუციშვილი

დუჩეს მსოფლიო თასი

იტალიელთა ზეიმი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამარჯვების შემდეგ

1934 წლის მეოხე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ფაშისტური პროპაგანდის იარაღად იქცა

სპორტი და პოლიტიკა ხშირად იკვეთებიან. მსოფლიო ისტორიას არაერთი ამგვარი მაგალითი ახსოვს, 1972 წლის მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიადისა თუ მოსკოვის 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სახით. ხშირად ხდება სკანდალები დიდი სპორტული ტურნირის მასპინძლობისას. პირველი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა — ფეხბურთი პროპაგანდის საშუალებად გამოიყენა, იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი ბენიტო მუსოლინი.

დუჩე იტალიის ნაკრების გასამარჯვებლად ყოველ ღონეს მიმართავდა

იტალიელთა დუჩემ ყველა ღონეს მიმართა, რათა იტალიას ფეხბურთში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიეღო. 1932 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ფიფა-ს კონგრესზე მუსოლინიმ ყველაზე დიდი დელეგაცია გაგზავნა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტისა და მისი მეგობრის, ჯუზეპე მაურას ხელმძღვანელობით. კონგრესზე მაურას ერთადერთი ოპონენტი გახლდათ ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰუგო მეიზლი, რომელიც ფიფა-ს მსოფლიო ჩემპიონატის ორი წლით, 1936 წლისთვის გადაწევას სთავაზობდა, რადგან, მისი აზრით, იმ დროისთვის მუსოლინის რეჟიმს ბოლო მოეღებოდა. მაურას ავტორიტეტი და გავლენა უფრო ძლიერი გამოდგა. მასპინძლობაზე იტალიის ერთადერთმა კონკურენტმა შვედეთმა კანდიდატურა მოხსნა, ფიფა-ს სხვა გზა აღარ დარჩა და მსოფლიო საფეხბურთო თასის ტურნირის აპენინებზე გამართვას დათანხმდა. იტალიისთვის უპირატესობის მინიჭების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შვედეთთან შედარებით მაღალი დონის ინფრასტრუქტურა იყო. 1930 წლის პირველი მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, სადაც მატჩები მხოლოდ ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გაიმართა, იტალია მზად იყო, საფეხბურთო ასპარეზობისთვის სხვადასხვა ქალაქს ემასპინძლა.

მუსოლინისთვის ფეხბურთში მსოფლიო თასის ტურნირის მასპინძლობა დიდი გამოწვევა გახლდათ. მას გერმანიის მაშინდელ კანცლერ ადოლფ ჰიტლერზე ორი წლით ადრე მიეცა შესაძლებლობა, საერთაშორისო არენაზე ფაშისტური რეჟიმის ღია პროპაგანდა წარემართა.

ბენიტო მუსოლინი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხს დიდ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. სტადიონები, რომლებიც ტურნირისთვის აიგო, მეტყველებდა იტალიის ფაშისტური რეჟიმის ამბიციაზე, ევროპის კონტინენტზე ნოვატორი ყოფილიყო. ეს იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც „ბებერ კონტინენტზე“ იმართებოდა, რაც მუსოლინის სტიმულს ჰმატებდა.

დუჩეს სურდა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინა მამაცი, ფიზიკურად მიმზიდველი, ე.წ. ახალი იტალიელები. თავად დიქტატორი ხშირად ჩნდებოდა საზოგადოების წინაშე მოთხილა-

1934 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური აფიშა და ფაშისტური სარეკლამო პლაკატი

იტალიის ნაკრების მწვრთნელი ვიტორიო პოცო

ჩემპიონატის ბურთი და ქალღმერთ ნიკეს თასი

ჩემპიონატის ატრიბუტიკა

მურისა თუ მოცურავის ამპლუაში. იმავდროულად, დიდი მოყვარული იყო ცხენოსნობისა, ფეხბურთი კი მუსოლინის ნაკლებად უყვარდა. უბრალოდ, იგი ხვდებოდა, რომ სპორტის ეს მასობრივი სახეობა იდეალურ შესაძლებლობას იძლეოდა, პოლიტიკური რეჟიმის „მიღწევათა“ სადემონსტრაციოდ.

როცა იტალიამ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, ბენიტო მუსოლინი საორგანიზაციო საკითხებში აქტიურად ჩაერთო. იგი იმდენად შორს წავიდა, რომ საკუთარი სახელობის ჯილდოც კი დააწესა — „დუჩეს თასი“ (Coppa Del Duce), რომელიც გამარჯვებულ გუნდს გადაეცემოდა. ქალაქ ტურინში აშენებული სტადიონი — ერთ-ერთი იმ რვა არენიდან, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები უნდა გამართულიყო, ბენიტო მუსოლინის სახელს ატარებდა.

ფიფა-ს იმჟამინდელი პრეზიდენტი, ფრანგი ჟიულ რიმე, 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ აცხადებდა, რომ ამ ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს არა ფიფა, არამედ ბენიტო მუსოლინი ხელმძღვანელობდა.

1934 წლის ტურნირი ბენიტო მუსოლინის სცენარით წარიმართა. მუსოლინი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საკუთარი ქვეყნის სიდიადე წარმოეჩინა, მისთვის ფეხბურთი ეროვნული სიამაყის საგნად იქცა. დუჩეს შესანიშნავად ესმოდა, რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა იტალიის საფეხბურთო ნაკრების ტრიუმფს საკუთარ კედლებში. ეს იტალიელი ხალხისთვის დიდი ეროვნული გამარჯვება იქნებოდა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის თვალში ფაშისტური რეჟიმის პრესტიჟს აამაღლებდა.

დუჩე უშუალოდ ჩაერია იტალიის ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებაშიც. როგორც ცნობილია, იტალიის საფეხბურთო ნაკრებს ქომაგები „სკუადრა აძურას“ ანუ „ლურჯ გუნდს“ უწოდებენ, 1934 წელს კი იტალიის ნაკრებს ყველა მუსოლინის „აძურას“ უწოდებდა. მუსოლინი შეეცადა, გუნდი გაეძლიერებინა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების, კერძოდ კი ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებებში მოთამაშე წარმოშობით იტალიელი ფეხბურთელებით. ისინი დუჩეს მოწოდებას — დაეცვათ საკუთარი ისტორიული სამშობლოს ღირსება, სიხარულით გამოეხმაურნენ. „თუკი ბიჭებს იტალიისთვის თავის დადება შეუძ-

ლიათ, რატომ არ უნდა ითამაშონ ფეხბურთი სამშობლოს სადიდებლად“, — ეს სიტყვები იტალიის საფეხბურთო ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, ვიტორიო პოცოს ეკუთვნის. მუსოლინისთვის ერთადერთი პრობლემა ამ ფეხბურთელთა გადმობირებისთვის გახლდათ ფიფა-ს წესი, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ მოთამაშეს მხოლოდ იმ ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსების დაცვის უფლება ჰქონდა, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ამ პერიოდში არც სხვა სახელმწიფოს ნაკრებში ეთამაშა. დუჩემ ფიფა-ს წესი არაფრად ჩააგდო, რითაც მუსოლინის „აძურა“ საკმაოდ გაძლიერდა.

დუჩე იტალიის ნაკრების მხოლოდ ამგვარი გაძლიერებით არ შემოფარგლულა. მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ყოველ მატჩში იგრძნობოდა დიქტატორის ხელი. ტურნირი კი აპენინელებმა მართლაც შთამბეჭდავად დაიწყეს — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების დამარცხებით, ანგარიშით 7:1.

მეოთხედფინალიდან აშკარა შეიქნა მსაჯების დიდი სიმპათია მასპინძლებისადმი. იტალიის ნაკრები მეოთხედფინალში ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა და მაშინდელი წესების თანახმად, მომდევნო დღეს გადათამაშება დაინიშნა. მთავარი მსაჯი გახლდათ შვეიცარიელი რენე მერსე, რომელმაც ამ მატჩში ნამდვილი სპექტაკლი წარმოადგინა. იტალიელებმა ამ

იტალიის ნაკრების წევრები (მარცხნიდან) ანჯელო სკიავიო და ჯუზეპე მეაცა. სწორედ მეაცას სახელობისაა სტადიონი მილანში, რომელსაც სხვაგვარად სან-სიროსაც უწოდებენ

იტალიის ნაკრები აშშ-სთან მატჩის წინ

ესპანეთთან მატჩის გულითადი დასაწყისი ცუდს არაფერს მოასწავებდა

შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ერთადერთი გოლის ავტორი იყო ჯუზეპე მეაცა, რომელმაც ბურთის კარში შეგდება წესების დარღვევით მოახერხა და ეს მაშინ, როცა შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, ესპანელთა მიერ წესების დაცვით გატანილი ორი გოლი არ ჩათვალა.

ფინალური მატჩის წინ. (მარცხნიდან) ჯანპიერო კომბი, მსაჯი ივან ეკლინდი და ფრანტიშეკ პლანიჩკა

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ რენე მერსეს დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, თუმცა ამას ესპანელთათვის უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ფაქტი იყო, რომ ამუშავდა ძლიერი „ფაშისტური მანქანა“, რომელიც ნებისმიერი გზით ცდილობდა იტალიის ნაკრების ტრიუმფამდე მიყვანას.

ნახევარფინალური მატჩის წინ, რომელშიც იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, ავსტრიის ეროვნულ ნაკრებს უნდა დაპირისპირებოდა, დუჩემ სადილად მიიწვია შეხვედრის მთავარ არბიტრად დანიშნული შვედი მსაჯი ივან ეკლინდი, რომელმაც დიქტატორისგან პირადად მიიღო მატჩის წარმართვის დირექტივები. ივან ეკლინდი, შეიცარიელ რენე მერსესთან ერთად, 1934 წლის მსოფლიო თასის ერთ-ერთ „გმირად“ იქცა. მას იტალიელმა პუბლიკამ მეტსახელი „რომაელი გრაფი“ შეარქვა.

იოზეფ ბიკანი (1934 წლის ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი): „ჩვენ ვიცოდით, რომ მუსოლინი თამაშამდე შვედ მსაჯს შეხვდა. ყველას შესანიშნავად გვესმოდა, რომ მსაჯის სიმპათია იტალიელთადმი იქნებოდა მიმართული, თუმცა ის, რაც მოედანზე ხდებოდა, საშინელება იყო. მსაჯი, ფაქტობრივად, იტალიის ნაკრების რიგებში თამაშობდა“.

მუსოლინის „აძურამ“ ნახევარფინალში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა. დუჩეს ტრიუმფამდე მხოლოდ ერთი მატჩის, ფინალის მოგება აშორებდა. ფინალი კი იტალიის დედაქალაქ რომში იმართებოდა. მარადიულ ქალაქში ტრიუმფს მუსოლინისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფინალში იტალიის მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ძლიერი ნაკრები გახლდათ.

ფინალური მატჩის არბიტრად შვედი ივან ეკლინდი დაინიშნა. არბიტრი, რომელმაც იტალიის ნაკრების მონაწილეობით ნახევარფინალური მატჩი იმსაჯა. ეს გახლავთ პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, როცა ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩის მთავარ არბიტრს ფინალური შეხვედრის ბედიც მიანდეს. როგორც ჩანს, მუსოლინი ნახევარფინალში ეკლინდის მსაჯობით კმაყოფილი დარჩა და თუ ნახევარფინალამდე მათ ერთად ისადილეს, ამჯერად, მუსოლინიმ შვედი მსაჯი VIP-ლოჟაში მიიღო. აშკარა იყო, რომ დუჩე მორიგ სპექტაკლს ამზადებდა. შვედმა

ავსტრიის ნაკრების კარში იტალიელთა გატანილი გოლი

არბიტრს მისი იმედები ნამდვილად არ გაუწბილებია. იტალიის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ანგარიშით 2:1 და მსოფლიო თასს დაეუფლა.

გამარჯვებამ რომში მუსოლინის პოპულარობა ძალიან გაზარდა. იტალიელი ხალხისთვის გამარჯვების ზეიმი ფაშიზმის ზეიმთან ასოცირდებოდა. ბენიტო მუსოლინიმ მშვენივრად გამოიყენა ფეხბურთი ფაშიზმის მასობრივი პროპაგანდისთვის. ყველაზე კარგად კი 1934 წლის მსოფლიო თასზე განვითარებულ მოვლენებს ალბათ იტალიელი მწერლისა და ჟურნალისტის, მარკო იმპილიას სიტყვები აღწერს: „სპორტი და პოლიტიკა არიან ძმები და ხანდახან სპორტი თავისი ძმის გავლენის ქვეშ ექცევა“. მუსოლინის დახმარებით, პოლიტიკამ მართლაც მოაქცია ფეხბურთი გავლენის ქვეშ და ამით დიდი ხეირიც ნახა.

გიორგი ფიკლაური

თსუ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი

1934 წლის მსოფლიო თასი დუჩეს პირად ტრიუმფად იქცა

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ:
ᲛᲐᲢᲐᲚᲝᲖᲔ ᲬᲐᲡᲣᲚᲛᲐ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲝᲑᲐ

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑ, ᲐᲓᲠᲔ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ... ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲟᲦᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ... ᲐᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲨᲔᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲐᲛ „ᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜᲘ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲣᲠᲩᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲩᲘ ᲗᲛᲐ — ᲟᲦᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ... ᲘᲥᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲔᲑᲘ, ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲔᲠᲘ... ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲗᲐᲚᲝ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔᲑᲓᲜᲔᲜ... ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲔ, ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲖᲔ ᲔᲢᲐᲜᲢᲐᲚᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ...

— დედა 7 თვის ორსული იყო, ჩემი ძმა მიჰყავდა საოპერაციოდ, ეგონა, მოასწრებდა წასვლასა და დაბრუნებას. ვერ მოასწრო... დავიბადე თვითმფრინავში... ამან მგონი, განსაზღვრა კიდეც ჩემი ხასიათი...

გავიზარდე სხვენზე. მაშინ მთავარი ფოსტის მანსარდაში ვცხოვრობდით, პლეხანოვზე. მახსოვს ოთახი, რომელიც სავსე იყო თვითმფრინავებით: ქაღალდის, მუყაოს, დახატული თუ ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტოებით...

დილით გავიღვიძებდი. ფეხშიშველი, ნახევრად გახელილი თვალებით ფანჯრიდან სახურავზე ვძვრებოდი. მთელ უბანს მოვირბენდი. სახურავიდან სახურავზე დავხტოდი, სადღაც ხე ამოდიოდა, სადღაც მერცხლების ბუდეები გვქონდა შეგულებული და ვაკვირდებოდი, როდის გამოიჩეკებოდნენ ბარტყები, მერე ვუყურებდი ქვემოთ, ქუჩაში როგორ დადიოდა ხალხი.

4 თუ 5 წლისას შემიყვარდა ჩემი მეზობელი ახალგაზრდა მხატვარი. მხატავდა ხოლმე. ძალიან მიყვარდა და სახურავიდან ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა სადარბაზოდან და როდის წავიდოდა სამხატვრო აკადემიაში.

მერე მოვირბენდი შინ ჭუჭყიანი, გაწეწილი. დამიჭერდა ბებია, შემაგდებდა დასაბანად. საშინელება იყო თმის დავარცხნა, რადგან ხვეული და ურჩი თმა მქონდა. ამიტომაც გაზაფხულზე თმას მხოტრიდნენ. დავარცხნას ყველაფერი მერჩივნა.

ბიჭებში გავიზარდე. მიჩვეული ვიყავი ბიჭურ თამაშებს. მიყვარდა ველოსიპედი,

მოტოციკლეტი, ფეხბურთი, კალათბურთი... ვთამაშობდი „კაზაკი რაზბოინიკის“. ვმონაწილეობდი ჩხუბში — ეზო ეზოზე. ჩემთვის თოჯინით თამაში წარმოუდგენელი იყო.

სკოლაში აუტანელი ვიყავი, ამიტომაც გამოვიცვალე იმდენი სკოლა. მე რომ მყოლოდა ჩემნაირი შვილები, არ ვიცი, როგორ ავიტანდი. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მაინც ხულიგანი ვიყავი. რას ვაშავებდი? — შატალოებზე დავდიოდი, თანაც სისტემატურად. ორშაბათსა და ხუთშაბათს გაკვეთილების ნაცვლად კინოში მივდიოდი... იქ მთელი შატალისტების კამანდა იკრიბებოდა, დილის 10 საათზე და 12 საათზე...

არაფერი არ მოქმედებდა: არც დასჯა, არც კუთხეში დაყენება... გაცდენების გამო გამიცხავდნენ, დავდგებოდი, თავს ჩავქინდრავდი, ვიტირებდი და მერე ისევ გავაცდენდი. ფანტასტიკური ფილმები გადიოდა! „სპარტაკი“ და „კოლხიდა“ იყო ჩემი კინოთეატრები. სამწუხაროდ, ახლა არც ერთი აღარ არსებობს.

სკოლა მედალზე დავამთავრე. ბევრს ვკითხულობდი, ღამით წიგნებს მართმევდნენ. შუქს მიქრობდნენ, მაინც ვახერხებდი...

დედა ამბობდა, ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ ის არის მარადიული, რასაც ნახავ, წაიკითხავ, შეიმეცნებ და ისწავლიო. დედასთვის არასოდეს არსებობდა მატერიალური ღირებულებები. თუ ფული გვქონდა, ან წიგნები უნდა გვეყიდა, ან მუზეუმებში გვევლო, ან გვემოგზაურა...

ჩვენთვის დიდი მოგზაურობა იყო, როცა წაგვიყვანეს და გვაჩვენეს პეტერბურგი, რიგა, ტალინი, ვილნიუსი, უკრაინა... შუა აზია... დედა მთამსვლელი იყო, ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად იყო ჯგუფში. მეც დავდიოდი მთაში. მეძინა კარავში...

მამა სულ მღეროდა. ყველას ეგონა, მთვრალი დადისო, ამ დროს საერთოდ არ სვამდა. მოდიოდა შინ სიმღერით, დედას აიტაცებდა, ატრიალებდა, აცეკვებდა, უმღეროდა, დეპრესიის არანაირი გამოვლენა არ ჰქონია. არადა, საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოიარა...

ჯორჯაძეების მხრიდან არავინ მახსოვს. ყველა დახვრეტილი და გადასახლებული. იყო. ბებია მამის მხრიდან ფრანგი იყო. როცა მამა და ბიძა იყვნენ 5-და 6 წლისები, აქ არეულობა დაიწყო. ბებია საფრანგეთში გაემგზავრა. გემზე დაჯდა ბათუმში, უმცროს შვილთან ერთად, რომელიც სულ ჩვილი იყო... უფროსი

„პილოტი დავინახე და... 14 წლამდე მინდოდა მფრინავობა. ვოცნებობდი, საავიაციოზე მესწავლა, თვითმფრინავებს ვხატავდი...“
ნანა ჯორჯაძემ ეს ფოტო ახალგაზრდობაში მფრინავობის ხათრით გადაიღო

ბიჭები კი ხალხის ტალღაში დაიკარგნენ...

ბიძაჩემი ვახტანგი და მამაჩემი გივი ქუჩაში დარჩნენ. ხან ვინ ზრდიდა, ხან — ვინ... ენგელსის ქუჩაზე, სადაც მათი ყოფილი სახლი იყო, გრძელი დერეფნის ბოლოს, ფანჯარასთან რაფაზე ეწყოთ საკუთარი ნივთები, შლიდნენ „ლეჟანკებს“ და ასე ეძინათ.

ბიძაჩემი „თეთრი გიორგის“ წევრი იყო, მუსტაფა შელიასთან, ამირან მორჩილაძესთან, ჭაბუა ამირეჯიბსა და სხვებთან ერთად. მუსტაფა შელიას ამბები ყველამ იცის... ბიჭებთან გამოსამშვიდობებლად რომ დადიოდა, ვისთანაც მივიდა, ყველა აიყვანეს. ბოლოს ბიძაჩემთან მოვიდა... ეზოში, ენგელსის ქუჩაზე ატყდა სროლა, მუსტაფამ დახოცა კა-გე-ბეს თანამშრომლები, კლდისკენ გასასვლელი

იყო და გაიქცა... თუმცა მოკლეს... ბიძაჩემი, როგორც მისი მეგობარი და თანამოაზრე, აიყვანეს. მამა მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ეძინა და ვერ გაიგონა, რა მოხდა ეზოში...

ვახტანგი გადაასახლეს. 25 წელი გაატარა ყარაგანდაში. 1956 წელს ჩამოვიდა. იმან გადაარჩინა, რომ სამედიცინოზე სწავლობდა გადასახლებამდე და ბანაკში ექიმად მუშაობდა.

არ უყვარდა იმ ცხოვრების გახსენება, დაავადებული, ხანში შესული ჩამოვიდა საქართველოში, თბილისში გაჩერების უფლება არ ჰქონდა, სიღნაღში დასახლდა. ნუკრიანში, ბოდბეს თავზე აიშენა პატარა სახლი. სიღნაღის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი იყო.

ოდესის კინოფესტივალზე

დედის მხრიდან ბაბუა მიხეილ ნევეროვსკი პოლონელი მყავდა. ჩამოვიდა, საქართველოში ააშენა დეპო და ელმავალმშენებელი ქარხანა... 1937 წელს დახვრიტეს, მრავალი წლის მერე ვნახეთ მისი საქმე. საქაღალდეში ერთი ფურცელი იდო. „რასტრელენ ნა დევიატი დენ ბეზ სუდა, იზ ზა ნეიმენიემ მესტა ვ კამერე“.

ამ ამბებზე თუ მელაპარაკებოდნენ ოჯახში? — მიამბობდნენ, მაგრამ ეშინოდათ, რამე არ გვეთქვა სკოლაში ან ეზოში... ცოტა რომ წამოვიზარდეთ, უკვე აღარაფერს გვიმალავდნენ.

რაც შეეხება ჩემი პროფესიის არჩევანს... ჩვენს ქვემოთ იყო სახანძრო. როგორ მომწონდა! ვგიჟდებოდი წითელ მანქანებზე და პრიალა მუზარადებზე. ბავშვები ჩავდიოდით, მუზარადებს ვაპრიალებდით, მანქანებს ვრეცხავდით. მეხანძრეობა მომწონდა. მერე მოხდა ისე, რომ თვითმფრინავს შევეხე, დოკუმენტური ფილმი ვნახე, პილოტი დავინახე და... 14 წლამდე მინდოდა მფრინავობა. ვოცნებობდი, საავიაციოზე მესწავლა, თვითმფრინავებს ვხატავდი... ეს იყო გასაოცარი სამყარო ჩემთვის... იქნებ იმიტომაც, რომ თვითმფრინავში დავიბადე. დედაც მიყვებოდა და მეც მახსოვს, ძალიან მოუსვენარი ვიყავი, — სადაც მივწვდი და ავედი, იქიდანვე გადმოვხტი — სკამიდან, მაგიდიდან, კარადიდან, გარაჟის სახურავიდან... მუშტაიდში იყო პარაშუტები. ბავშვობიდან დავდიოდი იქ და ვხტებოდი პარაშუტით... ზღვაზე, აუზში რაც შეიძლება დიდი სიმაღლიდან ვხტებოდი... სულ ხტომა მინდოდა.

ჩემთვის საოცარი სახე, პიროვნებაა ეგზიუპერი, რომელიც ძალიან ჩემია, როგორც მწერალი და მფრინავი.

და ერთ დღეს, შატალოზე წასულმა ვნახე ფილმი „სანამ ჩემთან ხარ“. მარია შელი და ოტო ფიშერი თამაშობდნენ. ეს იყო ფილმი ფილმის გადაღებაზე... გამაგიჟა ოტო ფიშერმა. გადავწყვიტე რეჟისორობა.

მაგრამ თბილისში არ არსებობდა კინოსკოლა. თანაც, მე 18 წლისას შვილი მყავდა. მოსკოვში ვერ წავიდოდი სასწავლებლად. ამიტომაც ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში. მოსკოვის ასპირანტურაში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, როცა 1974 წელს გაიხსნა სარეჟისორო ფაკულტეტი საქართველოში. ჩემთვის სხვას აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. გადავწყვიტე გამოცდები ჩამებარებინა.

ირაკლი კვირიკაძე და ნანა ჯორჯაძე

ჩამოვედი საქართველოში. რაკი სამხატვრო აკადემია წითელ დიპლომზე მქონდა დამთავრებული, მხოლოდ სპეციალობაში უნდა ჩამებარებინა გამოცდები. წინასწარი კონკურსი გავიარე. იმ დღეს კი, როცა გამოცდაზე უნდა გავსულიყავი, ავად გავხდი. ვერ წავედი. მაშინ გამოსაცდელები ბევრნი იყვნენ, ამიტომ გამოცდა სამ დღეს გრძელდებოდა. მესამე დღეს შინ დაგვირეკეს. ნანა რატომ არ მოდის გამოცდაზეო, დედას ჰკითხეს, დედამ უთხრა, ავად არისო, ახლავე ადგეს და მოვიდესო. როცა ჰკითხა, ვინ ბრძანდებითო, ირაკლი ვარ, კვირიკაძეო. მაშინ სარეჟისორო ფაკულტეტზე ორი ჯგუფი იყო, ერთი — თენგიზ აბულაძისა და ირაკლი კვირიკაძის, მეორე — ლანა ღოღობერიძისა და ომარ გვასალიასი. წამოვხტი სიცხიანი, გავვარდი. ბურანში ვარ. რას ვლაპარაკობ, რას ვაბარებ, არაფერი ვიცი...

ჩავაბარე კინოფაკულტეტზე.

მშობლებს საშინლად არ უნდოდათ, რომ არქიტექტურიდან წავსულიყავი... ასე თუ ისე, იქ უკვე ჩემი ბიოგრაფია მქონდა.

მეორე კურსიდან ჩემმა პედაგოგმა ოთარ ჯაყელმა თავის სახელოსნოში წამიყვანა. ის მარტო პედაგოგი კი არ იყო, არამედ ადამიანი, რომელმაც ჩემს ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა. ერთი წლის ჩამოსულიც არ იყო პარიზიდან, სამხატვრო აკადემიაში რომ გავიცანი. ის იყო დიდი სინათლე, უსაზღვრო ფანტაზიის, სუფთა, ნიჭიერი პიროვნება. თავისი სტუდენტების მეგობარი იყო. არქიტექტურა მიყვარდა, მაგრამ ყველაფერი დავივიწყე, როცა კინოფაკულტეტი გაიხსნა. ოთარმა მითხრა: შე მოღალატე, იცოდე, არქიტექტურა მაგრად დაგეხმარება რეჟისორობაშიო. მართლაც, იმდენი რამ მომცა არქიტექტურამ! კინოს მსგავსად ესეც ხომ სამყაროს მოწყობაა... შენი ცხოვრების ორგანიზებაა, კომპოზიციაა...

მართალია, ირაკლის გამოცდაზე შეეხვდი, მაგრამ, პრაქტიკულად, ვერ გავიცანი... პირველ ლექციაზე 1-ელ ოქტომბერს მივედი და 27 ოქტომბერს დავქორწინდით... ცოტა დროა, მაგრამ საკმარისი იმისთვის, რომ 37 წელიწადი ერთად ვიცხოვროთ. ირაკლი მრავალმხრივ საინტერესო ადამიანია. იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. ისიც მიდის, მოდის, ათასი საქმე აქვს: სცენარი, ლექცია, გადაღება. ვხვდებით ცოტა ხნით და ვშორდებით... ამან დიდი როლი ითამაშა. საოცრად საინტერესოა ერთმანეთთან იშვიათად ყოფნა. არ გვაქვს ყოველდღიური პრობლემები, ვსაუბრობთ, სცენარზე ვმუშაობთ, ვმოგზაურობთ... არ გვწყინდება ერთმანეთი.

შვილები ბექა (ბუბა) და მიხო გამიზარდეს ჩემმა მშობლებმა. ან ვსწავლობდი, ან ვმუშაობდი. ისეც ხდებოდა, რომ ორივე თან მიმყავდა, დავათრევდი გადაღებაზე... რომ დამინახავდნენ, ერთი ხელჩაკიდებული მყავ-

რეჟისორი საკუთარი ფილმის პოსტერის ფონზე

კადრი ფილმიდან „27 დაკარგული კოცნა“ (2000 წ.)

და, მეორე გულზე აკრული, დაიძახებდნენ, მოვიდა ციგანსკი ტაბორიო.

იყო ენერგია, სიხარული. იმით რომ ხარ დაკავებული, რითიც ცხოვრობ, რაც მთავარია და ყველაზე საყვარელია, ამას ყველაფერს ადვილად იტან.

რეჟისორობა მამაკაცური პროფესიაა? — არც ქალურია და არც მამაკაცური! ეს არაადამიანური შრომაა — ფიზიკური, მორალური, ინტელექტუალური, როცა შენი გონების ვერც ერთი უჯრედი სხვაგან ვერ არის, მხოლოდ კინოთია დაკავებული. იწყება ფილმის მომზადება, გადაღებები, მერე მონტაჟი, გახმოვანება... დღე-ღამეში 3-4 საათს თუ გძინავს! ბედნიერებაა, 4 საათი თუ გამომივიდა ძილი, მაშინ მაგარი გამოძინებული ვარ. მეტს მაინც ვერ დავიძინებ.

კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ყველაფრის კეთებას გვასწავლიდნენ სცენარის დაწერიდან დაწყებული, კოსტიუმით, გრიმით, ინტერიერის მოწყობით, ოპერატორის ხელოვნებით, მონტაჟით, გახმოვანებითა და მუსიკის არჩევით დამთავრებული. ამიტომ ყველა პროცესია ვიცი... შეიძლება არანორმალურია, ჩემი მთელი სახლი სარეკვიზიტო საკოსტიუმეა... მინდა კინოშიც ის ატმოსფერო იყოს, რომელიც მნიშვნელოვანია ჩემთვის. როცა არქიტექტორი ხარ, უფრო მეტად ერევი, როგორი პავილიონი გინდა.

ნერვიულობაზე რა მოგახსენოთ...

პირველი კურსიდან ვიღებდით ფილმებს. როცა დავამთავრეთ, სამი ფილმი მაინც გვქონდა თითოეულს გადაღებული.

როგორც პირველ დღეს გავედი და აბსოლუტური უსუსურობის გრძნობა მქონდა გადასაღებ მოედანზე, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, მუხლების კანკალი ამოვარდა, ვფიქრობდი, ნეტა მოვკვდე, ან ფეხი მაინც მოვიტეხო-მეთქი, ასე განვიცდი ყოველთვის ახალ ფილმზე მუშაობის დაწყებას... მაგრამ ყველაფერი გავიწყდება, როცა გადაღებას რჩები.

მერე ყოველი ჩვენების დროს ვნერვიულობ, სულ ვიმალები...

მშობლები თუ მოესწრნენ ჩემი ფილმის პრემიერას? — „რობინზონიადა“ ნახეს დედამ და მამამ...

მამა იყო ჟან გაბენი გარეგნობით... პირველ ფილმში მამა გადავიღე. მოხეტიალე მუსიკოსებს თამაშობდნენ გივი სარჩიმელიძე, გოგი დადიანი და მამა. ისეთი არტისტული იყო,

სულ ცეკვავდა, მღეროდა. ოპერაში სტატისტად მუშაობდა. ბორია ჭიაურელი მისი ბავშვობის მეგობარი იყო, პირველი კვარტეტის „პირველი ვიოლონო“. დადიოდა კონსერვატორიაში, უსმენდა კლასიკურ მუსიკას... ამიტომ სულ არ გასჭირვებია თამაში.

„შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტის“ გადაღება როგორ მახსოვს?

შიში იმისა, რომ დიდი ვარსკვლავი — პიერ რიშარი ჩამოდის საქართველოში, აქ კი ომი, ნგრევა, უბედურებაა, ცხადია მქონდა. პიერ რიშარის ჩამოსვლისას მახსოვს, რა სიბნელე იყო აეროპორტში... მაგრამ ის იმდენად უბრალოა, ისე ჩაერთო ჩვენს ცხოვრებაში... აბსოლუტურად არ აღელვებდა ეს სირთულეები. საათობით იჯდა და ჭადრაკს ეთამაშებოდა ლია ლორიას. ლია ჩემი მამიდაშვილია, ფრანგული იცოდა და ამის გამო ვთხოვე დახმარება. ყველა მეხმარებოდა, ყველა მონატრებული იყო მუშაობას. დღესასწაულივით იყო ეს გადაღებები.

ფილმის პროდიუსერი ქართული მხრიდან იყო თემურ ბაბლუანი, ფრანგული მხრიდან — მარკ ოსკარი...

პიერ რიშარი რომ წავიდა პარიზში, ინტერვიუში თქვა: ნუთუ 40 წელიწადი უნდა მეთმინა, რომ საქართველოში მოვხვედრილიყავი! პირველად მოვხვდი კანში, პირველად მივიღე მთავარი პრიზი ჩემს როლში, მოვხვდი ოსკარზე... პირველად მივხვდი, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა! მახსოვს, საქართველოში როგორ ვცეკვავდი, ვმღეროდი, ისეთი დაბადების დღე მქონდა იქ, არასოდეს რომ არ მქონია! მახსოვს ყველაფერი და როდის ვმუშაობდი, ეს არ მახსოვსო.

ამ დროს დღეში 12 საათი ვიყავით გადაღებაზე. რა ბედნიერებაა, რომ მას ისე სიამოვნებდა მუშაობა, რომ არც კი გრძნობდა დატვირთვის სიმძიმეს.

ფანტასტიკური პარტნიორები ჰყავდა: რამაზ ჩხიკვაძე — ჩემი საყვარელი ბუმბერაზი არტისტი... კახი კავსაძე...

საინტერესოა, როგორ ვიპოვე ნინო კირთაძე, რომელმაც პარტნიორობა გაუწია რიშარს. ყველაფერი მზად მქონდა, როლებზეც შერჩეული მყავდა მსახიობები და რაღაც მაკლდა მაინც! ღამე მივდიოდი ავტობუსით სტუდიიდან საბურთალოზე. პეკინის ქუჩაზე ვხედავ, ჩაიქროლა ვიღაცამ. არ ვიცი, რა ძალამ შემაძლებინა, წამოვხტი, გავაჩერებინე

კადრი ფილმიდან „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“. ნანა კირთაძე და პიერ რიშარი (1996 წ.)

კადრი ფილმიდან „მეტეოიდიოტი“ (2008 წ.)

კადრი ფილმიდან „მოცურავე“ (1981 წ.)

კადრი ფილმიდან „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ (1986 წ.)

„ვიცოცხლებ იმდენ ხანს, სანამ მუშაობას შევძლებ და მაწანწალა სანამ ვიქნები“

ავტობუსი. ჩავედი და გავეკიდე. შემოვაბრუნე, არც შევხედე სახეზე, ისე ვუთხარი, ფილმში მინდა გადაგიღოთ-მეთქი. სერიოზულად მითხრა, მე ჟურნალისტი ვარ, მსახიობი არ ვარო... მაგას არ აქვს მნიშვნელობა-მეთქი. წავედით სტუდიაში, ფორმალურად სინჯი გადავუღეთ. მეორე დღეს შევიდა კადრში...

პიერ რიშარი შეყვარებულია საქართველოზე. „27 დაკარგული კოცნა“ გერმანელებთან ერთად გადავიღე. დავიწყე გადაღებები და დამირეკა რიშარმა: როგორ შენ ფილმი დაიწყე და უჩემოდო? არა, რას ბრძანებთ, უნდა დამერეკა, აი, სწორედ ახლა ვაპირებდი-მეთქი. როდის ჩამოვიდეო... იმდენად უყვარდა აქაურობა, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდა. მომიხდა ახალი ხაზის გამოგონება ფილმში, კაპიტანი ითამაშა...

ბუნებით მაწანწალა ვარ.

იმ დღეს მეგობრის დედა მეკითხებოდა, სად არის შენი სახლიო. ჩემი სახლი არის ჩანთაში, რომელიც ბორბლებზეა! სულ გზაში ვარ. მთელი ცხოვრება სხვის დივანზე გავატარე... ასეთი ცხოვრება თავად ავირჩიე...

ევროპაში თავს როგორ ვგრძნობ? ჩემთვის ევროპა ბუნებრივი გარემოა, ის კულტურის სფერო და შრეა, რომელშიც ჩვენი ერი, ქვეყანა არსებობს ამდენი საუკუნეა.. ეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაა...

ოთხი შვილიშვილი მყავს.

შვილიშვილი მიყურებს ერთხელ, კედებში, ზურგჩანთით ვარ. ნანა, მოდი დაჯექიო. მივედი. იცი, რას გეტყვი, ძალიან არასერიოზულად გამოიყურებიო. მაშინ 6 წლის იყო... შვილიშვილები ასე არასერიოზულად მიყურებენ, მაგათი ძმაკაცი ვარ! ჩემთან აქვთ კრივი, თამაშობენ ფეხბურთს...

ასაკი მაქვს დაკარგული? იშვიათად ვიყურები სარკეში, არ ვხედავ მეტამორფოზებს, რომლებსაც განიცდის სახე. თან მუდმივად ახალგაზრდების გარემოცვაში ვარ. ჩემი შვილების მეგობრები ჩემი მეგობრები არიან, ვკამათობთ, ვმსჯელობთ, ვერთობით... მერე სტუდენტებთან მიხდება ურთიერთობა... სულ მათთან რომ ვარ, ჩემს ასაკს ვეღარ ვგრძნობ.

თავი მოხუცი თუ წარმომიდგენია? — ყველაფერი უფლის ხელშია, ვიცოცხლებ იმდენ ხანს, სანამ მუშაობას შევძლებ და მაწანწალა სანამ ვიქნები. როგორც კი ამაზე უარს ვიტყვი, იქ დამთავრდება ჩემი ცხოვრება.

ლელა ჯიყაშვილი

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ ასევე ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და ფილიპე გოგიჩაიშვილი.
ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

* * *

მეფე ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის მოძღვარი, მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე

ერთ შესანიშნავ მოძღვრად საქართველოს საეკლესიო ისტორიაში უნდა ჩაითვალოს კარის ეკლესიის მღვდელი უკანასკნელ ორ გვირგვინოსან მეფეთა ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ისა ქრისტეფორე ბადრიძე, რომელსაც დიდი მოღვაწეობა მიუძღვის საქართველოში სტამბის გადმოტანით პალესტინიდან და საეკლესიო წიგნების გამრავლებითა და ბეჭდვით. ეს შესანიშნავი მუშაკი მღვდელი იყო წინაპარი აზნაურ ბადრიძეებისა, რომელნიც დღეს მოსახლეობენ ს. ნორიოში, ტფილისის მაზრაში, 18 ვერსტის სიშორეზე ქ. ტფილისიდან. ამ შესანიშნავ საისტორიო მოღვაწის შესახებ არავითარი ცნობები არ დარჩენიათ მისს ჩამომავალთ, ზეპირ-გადმოცემისა და წყალობის წიგნისა და სიგელის გარდა.

ბადრიძეანთ კოშკი სოფელ ნორიოში

მდ. ნორიხევის მარჯვენა ნაპირზედ, სადაც ამართულია დღეს „ჯვარას“ კოშკი, მის გარშემო დაქცეული შენობები ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ ერთ დროს ხალხს უცხოვრია. ამ კოშკსა და ალაგს მიუღია „ჯვარას“ სახელი იმიტომ, რომ აქ იყრება ორი გზა, რომელიც ამ კოშკთან ჯვარედინდება. ერთ ამ გზათაგანი ტყისკენ მიდის და იწოდება „ლეკების გზად“. ამ გზაზედ უვლიათ ლეკებსა და უნადგურებიათ როგორც ს. ნორიო, ისე მახლობელი მისი უძველესი ს. მარტყოფი. ეს კოშკი ყოფილა სიმაგრე ნორიოელებისა. ამ კოშკის მაგიერ მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძეს სდომებია, როგორც ხალხური გარდმოცემა მოგვითხრობს, ტაძრის აშენება, მაგრამ მარტყოფის უკანასკნელ მიტროპოლიტ სტეფანესი და მღვდელ ქრისტეფორეს შორის დიდი განხეთქილება მომხდარა და მიტროპოლიტს ნება არ მიუცია ქრისტეფორესათვის ტაძარი აეგო ნორიოში. ამბობენ, რომ თვით ქრისტეფორეც მიტროპოლიტს მღვდლობიდგან გადაუყენებია, რომელიც მალე გარდაცვლილა. ტაძრის მასალა კოშკისათვის მოუხმარებიათ და აუშენებიათ „ჯვარას“ კოშკი, რომელიც მოშორებულია ს. ნორიოზედ ერთის ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით, ამაყად გადაჰყურებს იგი მთელს მიდამოს და მოწამეა მრავლის წარსულის დროისა. მღვდელ ქრისტეფორეს შთამომავალნი ბადრიძენი, გაუნათლებლობისა გამო, დაქვეითებულან და დაუკარგავთ თავიანთი ქონება და მეფისაგან ნაბოძები ადგილ-მამული, ბადრიძეების გამრავლებისა გამო, მამული დანაჭებულა და დღითი-დღე დაპატარავებულა; ასე, რომ 2-3 კომლს ვერ იპოვით მათ შორის, რომ 5-10 დესეტინამდე სახნავ-სათესი მიწა ჰქონდეს.

„ივერია“, 1900 წ., №100

* * *

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲓᲐᲜ

დაბა ბორჯომი მეტად შესანიშნავია წმინდა ჰაერით, სამკურნალო მადნის წყლებით, მშვენიერის ტყეებითა და ბაღებით. ბორჯომი წარმოადგენს მეტად ლამაზ ხეობას და გაშენებულია მტკვრის ორსავე ნაპირზე; გარშემო ბორჯომს დაჰყურებს მშვენიერი ტყით შემოსილი მაღალი მთები, აღმოსავლეთით უძევს „ვარანცოვის პარკი“ და მადნების სამკურ-

რომანოვების სასახლე ლიკანში

ალავერდის ტაძარი

ნალო წყლების პარკი. „ვარანცოვის პარკი“ მაღლობზეა და განსხვავდება მშვენიერის ჰაერით; „სამკურნალო წყლების პარკი“ მდებარეობს ძირს ვაკეში თვით პატარა მდინარე „ბორჟომკაზედ“. ამ პარკში განსაკუთრებით შესანიშნავია ორი სამკურნალო წყალი: „ევგენიევისა“ და „ეკატერინისა“, აქვეა მშვენიერი სასტუმროები; მადნის წყლების ქარხანა, ხიმიკური ლაბორატორია, ელექტრონის სადგური, ძალიან კარგად მოწყობილი სასეირნო ბაღი, სადაც ყოველდღე სამხედრო მუსიკა უკრავს დილა-საღამოს; აქვეა კანტორა. ამ კანტორას აქვს მდიდარი წიგნთ-საცავი და სამკითხველო, სადაც წიგნების წაღება და კითხვა ოთხი მანეთი ღირს მთელს ზაფხულს; ხოლო ჟურნალ-გაზეთების კითხვა-კი უსასყიდლოდ შეიძლება. სამკითხველოს მოსდის შემდეგი გაზეთები: „ივერია“, „კავკასია“, „ტფილისის ფურცელი“, „ოდესის ფურცელი“, „ნედელია“, „ნოვოე ვრემია“, და „რუსკაია ვედემოსტი“.

დასავლეთით ბორჯომს აქვს მშვენიერი გაშლილი ჭალა, ნაძვნარ და ფიჭვნარტყით შემოსილი, სადაც აშენებულია დიდებული სასახლე და სადაც ზაფხულობით სცხოვრობს ბორჯომის მფლობელი მისი იმპერატორობითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე; დასავლეთისკენვე ბორჯომს უძევს პატარა სოფელი „ლიკანია“. შესანიშნავი ცივის წყაროებითა და კარგი ჰავით.

დაბა ბორჯომი თანდათან იზრდება, მეტად ლამაზია და შემკობილი შენობებით და მოსალოდნელია ეს პატარა დაბა შემდეგ ქალაქად გადაკეთდეს. დღეს-კი ბორჯომი, როგორც სააგარაკო ადგილი, თითქმის ყველა ჩვენ დაბებს სჯობია თავისის სუფთა ჰაერით, ლამაზის მდებარეობითა და სამკურნალო წყლებით.

„ივერია“, 1900 წ., №169

* * *

ალავერდი

კახეთის მთის კალთის ველზედ, ალაზნის დასავლის მხარეს, არის დიდშენი, ზღუდე-პალატებიანი და გუმბათიანი ეკლესია, რომელსაც ჰქვიან ალავერდი. ამან მიიღო სახელი ალავერდის გამო, რადგანაც არის ალონ-გვერდს, მხოლოდ მურვან-ყრუს შემდეგ ამას უწოდეს „ალავერდი“, რაიცა ნიშნავს ღმერთმა მომცა. ეს ეკლესია აღაშენა წმინდა იოსებმან, რომელიც იყო ათცამეტ მამათაგანი და ჰყო პირველად წმინდა გიორგის მონასტრად... მამა იოსები, შემდეგ წოდებული ალავერდელად, ამავე ტაძარშია დასაფლავებული მარცხენა მხარეს. ამ ეკლესიის დღეობა მოდის წელიწადში ორჯერ: ერთი სექტემბრის 14-ს, ჯვართამაღლების დღეს, და მეორეც ნოემბრის ათს, წმინდა გიორგის დღეობას. მთელი კახეთი და თითქმის მთელი ქართლიც, თუ არა ვსცდებით, თორმეტს სექტემბერს ჯვართამაღლების მაგიერ უწოდებენ ალავერდობას.

„დროება“, 1884 წ., №118

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა

XVI-ს ახალი იდეები ევროპაში

XVI-ს-დან ევროპა ახალი იდეებისა და გამოგონებების აკვანი გახდა. წიგნები უკვე იაფი ღირდა და მათი დაბეჭდვა იოლი იყო, ადამიანები ახალი აღმოჩენების შესახებ უფრო სწრაფად და ადვილად იგებდნენ წიგნებიდან. მმართველობის, რელიგიისა და ცხოვრების წესის შესახებ ახალი იდეები მთელ კონტინენტზე გავრცელდა. ზოგი მათ ემხრობოდა, ნაწილს ტრადიციული ცხოვრება ერჩივნა. ხშირი იყო კამათი და არგუმენტების გაცვლა, რაც ხშირად საომარ შეტაკებაში გადაიზრდებოდა. 1750 წლის შემდეგ სწრაფად გავრცელდა იდეები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

ჩარლზ II-ის მეფობის დროს მოხდა ლონდონის დიდი წყალდიდობა და დიდი ხანძარი.

❍ ინგლისის სამოქალაქო ომი (1642-1649) მიმდინარეობდა მეფე ჩარლზ I-ის მომხრე კავალერიასა და პარლამენტის მხარდამჭერ „მრგვალთავიანებს“ შორის ოლივერ კრომველის მეთაურობით.

❍ ღარიბებში მრავალი რევოლუციური ჯგუფი ჩამოყალიბდა, როგორიც იყო „დიგერები“ („მთხრელები“, ანუ „ჭუშმარიტი ლეველერები“) და „ლეველერები“.

❍ მეფისა და პარლამენტის მომხრეებს შორის ომი გარდაუვალი გახდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ახალი ტიპის არმია, რომლის კავალერიას სათავეში ოლივერ კრომველი ჩაუდგა.

❍ მეფის არმიის დამარცხების შემდეგ პარლამენტმა მეფესთან მოლაპარაკება დაიწყო უფრო დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. მაგრამ ჩარლზ I-მა მიცემული პირობა დაარღვია, ახალი არმიის შეკრება დაიწყო. 1649 წელს მას თავი მოჰკვეთეს.

❍ პარლამენტის არმიის წარმატებული გენერალი ოლივერ კრომველი (1599-1658) „მრგვალთავიანების“ ლიდერი იყო და ხელი მოაწერა ჩარლზ I-ის თავის მოკვეთის ბრძანებას. 1653 წელს იგი ლორდ-პროტექტორი — ინგლისის დიქტატორი გახდა. კრომველი მხარს უჭერდა პურიტანებს, მკაცრი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებს.

❍ 1660 წელს ინგლისის ტახტზე აღადგინეს ჩარლზ II. იგი ფრთხილი მმართველი იყო, მოხერხებულად ამცირებდა სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის არსებულ დაძაბულობას. მან დემოკრატიული რეფორმები გაატარა და მთავრობის ფინანსები ისე გაანაწილა, რომ მათი უფრო ეფექტურად გამოყენება ყოფილიყო შესაძლებელი.

პეტრე I (1672-1725) რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მეფეა (იმპერატორი). მან დააარსა ქალაქი სანქტ-პეტერბურგი და ჩამორჩენილი რუსეთი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. პეტრემდე რუსეთის მეფეები ტრადიციულად წვერს ატარებდნენ. პეტრე პირველი იყო, ვინც ევროპულ ყაიდაზე გაპარსვა დაიწყო.

სამოქალაქო ომი

ინგლისის სამოქალაქო ომი განაპირობა მეფე ჩარლზ I-ისა და პარლამენტის უთანხმოებამ მეფის უფლებების, რელიგიისა და გადასახადების საკითხებზე. ომი გრძელდებოდა 1642-1649 წლებში.

დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-41

ნაწყვეტები წიგნიდან „ცოდნის სამყარო“. გამომცემლობა „პალიტრა L“

პარიზთან ახლოს მდებარე ვერსალის სასახლის სარკეებიანი დარბაზი. ეს სასახლე XVII ს-ში მეფე ლუი XIV-მ მამამისის კუთვნილი ციხე-დარბაზის ადგილზე ააგო.

❍ განმანათლებლობის ხანა XVII ს-ის ევროპაში ის ეპოქაა, როდესაც მრავალ ადამიანს სწამდა, რომ გონებისა და ცოდნის საშუალებით შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა.

❍ განმანათლებლობის ეპოქის გმირია ისაკ ნიუტონი. მან აღმოაჩინა მოძრაობის კანონები და ივარაუდა, რომ სამყაროში ყველა მოვლენის ახსნა შესაძლებელია მათემატიკის დახმარებით.

❍ საფრანგეთში ახალი დიდი იდეების ავტორები იყვნენ ფილოსოფოსები რუსო და ვოლტერი. ადამიანები სალონებში საღამოს წვეულებებზე იკრიბებოდნენ და სერიოზულ საკითხებზე მსჯელობდნენ.

ცნობილი წიგნები

1615 დონ კიხოტი
ესპანელი მწერალი მიგელ დე სერვანტესი რაინდის თავგადასავლების შესახებ მოგვითხრობს

1637 მსჯელობა მეთოდის შესახებ
ფრანგი ფილოსოფოსი რენე დეკარტი წერდა: „მე ვფიქრობ, მაშასადამე, ვარსებობ“

1653 დახელოვნებული მეთვალეზე
ინგლისელმა სპორტსმენმა ისაკ უოლტონმა დაწერა კლასიკური წიგნი მეთევზეობის შესახებ

1659 დღიური
ინგლისელმა მოხელემ სემიუელ პეპისმა დღიურის წარმოება დაიწყო

1719 რობინზონ კრუზო
ინგლისელი რომანისტის დანიელ დეფოს ნაწარმოები გემის კატასტროფაში მოყოლილი მეზღვაურის ცხოვრებას აღწერს

1755 ლექსიკონი
მწერალმა სემიუელ ჯონსონმა ლექსიკონში ათასობით ინგლისურ სიტყვას მოუყარა თავი

1776 გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ
ადამ სმითმა ეკონომიკა მეცნიერებად აქცია

1781 წმინდა გონების კრიტიკა
გერმანელი იმანუელ კანტი დაასკვნის, რომ ადამიანებს ყველაფრის გაგება არ ძალუძთ

კალოდენის ბრძოლა

1746 წლის კალოდენის ბრძოლა ჩარლზ ედუარდ სტიუარტის (ლამაზი პრინცი ჩარლზი) უკანასკნელი მცდელობა იყო, ბრიტანეთში სტიუარტების მმართველობა აღედგინა. მისმა შოტლანდიელთა არმიამ მეფე გეორგ II-ის დამხობა სცადა, მაგრამ იგი რიცხობრივად აღმატებულმა (9000 5000-ის წინააღმდეგ) ინგლისის არმიამ დაამარცხა. ლამაზი პრინცი ჩარლზი იძულებული გახდა მთაში შეეფარებინა თავი, ვიდრე გემით საფრანგეთამდე ჩააღწევდა. სტიუარტების იმედი, ტახტი დაებრუნებინათ, ასე დასრულდა.

❍ ჩარლზ II „მხიარული მონარქის“ სახელითაა ცნობილი, რადგან უყვარდა თავვრილობები, თეატრი, დოღი და ქალები. ეს ქვეშევრდომებისთვის შვება იყო პირქუში პურიტანული წლების შემდეგ.

❍ ჩარლზ II-ს მრავალი საყვარელი ჰყავდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ნელ გვინი. თავდაპირველად ფორთოხლების გამყიდველი, იგი ევროპის ყველაზე სახელგანთქმული და მაღალანაზღაურებადი მსახიობი გახდა.

გასაოცარია

ინგლისის მეფე ჩარლზ II-მ იმ ადამიანებს, ვინც სამოქალაქო ომის დროს მას გადარჩენაში დაეხმარა, პენსია დაუნიშნა. პენსიას ზოგიერთი მათგანის შთამომავლებიც იღებდნენ.

სამრეწველო რევოლუცია

XVII ს-ში ინგლისში დრამატული ცვლილებები დაიწყო, რამაც ძირფესვიანად გარდაქმნა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრება. მანამდე ადამიანების უმეტესობა სოფლად ცხოვრობდა, მიწას ამუშავებდა და იმდენი მოსავალი მოჰყავდა, რამდენიც ესაჭიროებოდა. მომხდარი ცვლილებების შემდეგ ადამიანები ქალაქებში გადასახლდნენ, მუშაობა დაიწყეს ფაბრიკა-ქარხნებში, ხოლო ხელფასის სახით აღებული ფულით პროდუქტებს ყიდულობდნენ. ამ პროცესს სამრეწველო რევოლუცია ეწოდება. ის დაიწყო სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვით, რაც მალე მთელ მსოფლიოში გავრცელდა.



ბრიტანელი გამომგონებლის, ტომას ნიუკომენის (1663-1729) ორთქლის ძრავა ატმოსფერულ წნევას იყენებდა და ჯეიმზ ვატის ორთქლის ძრავის წინამორბედი იყო. წყალი ლითონის უზარმაზარ ცილინდრში გროვდებოდა და გახურების შედეგად ორთქლად იქცეოდა. კონდენსირებული ორთქლი წარმოქმნიდა ვაკუუმს. ატმოსფერული წნევის დაწოლით დგუში ცილინდრის თავამდე ადიოდა, ამოძრავებდა დგუშთან მიერთებულ სატუმბავებს და მათი მეშვეობით წყალი ამოიქაჩებოდა.

გასაოცარია

სამრეწველო რევოლუციამდე საათებს მხოლოდ ერთი, საათის მაჩვენებელი ისარი ჰქონდა. შემდეგ დაამატეს წუთებისაც, რომ ადამიანებს ზუსტად სცოდნოდათ სამუშაოს დაწყების დრო.

❍ XVII ს-მდე ნათესები სოფლად ღია მინდვრები იყო, რომლებსაც გლეხები ზოლებად ამუშავებდნენ ტრადიციულად, კუნთის ძალის გამოყენებით.

❍ მარცვლეულის მოსავალი გაზარდა ოთხმინდვრიან სისტემაზე გადასვლამ. ეს სისტემა ჩარლზ ტაუშენდის (მეტსახელად „თალგამი“) და ტომას კოუკის ძალისხმევით დამკვიდრდა, რაც გულისხმობდა თალგამის, სამყურასა და ქერის მოყვანას მონაცვლეობით ისე, რომ მიწის ნაკვეთი მთელი წლის განმავლობაში დაკავებული ყოფილიყო.

❍ მესაქონლეობით დაკავებულმა გლეხებმა ისწავლეს, როგორ გაემრავლებინათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენები და ცხვრები, რომ მიეღოთ მაგალითად, ბეკვეილის ლეჩესტერის ჯიშის ცხვარი.

❍ სოფლის მეურნეობაში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებამ იაფი მუშახელის წარმოქმნას შეუწყო ხელი, ხოლო ევროპის ქვეყნების კოლონიების ზრდამ წარმოებული პროდუქციის, მაგალითად, საფეიქროს, გასაღების უზარმაზარი ბაზრები შექმნა.

❍ სამრეწველო რევოლუცია დაიწყო „ჯენის“ მსგავსი სამოსის დამამზადებელი დანადგარების გამოგონებით.

1764 წელს ლანკაშირელმა ფეიქარმა ჯეიმზ ჰარგრივზმა შექმნა სართავი მანქანა „ჯენი“, რომელიც სოფლის მრთველებს სახელურის ერთი დატრიალებით ათობით თითისტარზე შალისა და ბამბის ბოჭკოების ნართად უფრო სწრაფად დართვაში ეხმარებოდა.



წყლის ბორბალი

სერ რიჩარდ არკრაიტის სართავი მანქანა წყლის ძალის გამოყენებით მუშაობდა და იგი ინგლისში, დერბიშირში მდებარე კრომფორდის ბამბის სართავი საწარმოსთვის შეიქმნა.

❍ იეთრო ტალის სათესი მანქანა მიწაში ორმოებს აკეთებდა და თესლს ყრიდა, რამაც არნახულად დააჩქარა თესვის პროცესი.



რევოლუციური იდეები

1701	იეთრო ტალი	მექანიკური სათესი მანქანა
1705	ტომას ნიუკომენი	ორთქლის პირველი ძრავა
1709	აბრაამ დარბი	კოქსვის მეთოდის გამოყენებით რკინის მადნის გადნობა შეძლო
1733	ჯონ კეი	სწრაფი მაქოთი უკეთესი ხარისხის შალისა და ბამბის ქსოვილი მიიღება
1764	ჯეიმზ ჰარგრივზი	სართავი მანქანა „ჯენი“ აუმჯობესებს ბამბის ნართის ხარისხს
1769	ჯეიმზ ვატი	შესწორებები შეაქვს ნიუკომენის ორთქლის ძრავაში
1769	რიჩარდ არკრაიტი	ქმნის წყლის ენერგიაზე მომუშავე ბამბის სართავ დანადგარს
1770	ნიკოლა კიუნო	პირველი თვითმავალი საგზაო სატრანსპორტო საშუალება
1776	ვატი და ბულტონი	პირველი კომერციული ორთქლის დანადგარი, რომელიც ორთქლის წნევას იყენებს
1777	ჯონ უილკინსონი	იორკშირში, ინგლისში წყალში ჩაუშვეს პირველი რკინისკორპუსიანი ხომალდი
1779	სემიუელ კრომპტონი	პერიოდული ქმედების სართავი მანქანა ერთდროულად ბამბის რამდენიმე ნართს ართავს
1783	ძმები მონგოლფიეები	პირველი წარმატებული გაფრენა ცხელი აირით სავსე ბუროთით
1785	ედმუნდ კარტრაიტი	მძლავრი საქსოვი დაზგა დიდი სიჩქარით ქსოვს ბამბის ქსოვილს
1804	რიჩარდ ტრევითიკი	პირველი წარმატებული ორთქმავალი

❍ 1713 წელს აბრაამ დერბიმ აღმოაჩინა, როგორ გამოეყენებინა კოქსვის მეთოდი უფრო იაფი და დიდი რაოდენობის რკინის მისაღებად.

❍ გადამწყვეტი იყო 1766 წელს „ჯენის“ მსგავსი ხელით სატრიალებელი მანქანებიდან წყლის ძალით მომუშავე უზარმაზარი ბორბლებით აღჭურვილი არკრაიტის გამოგონებულის მსგავს დანადგარებზე გადასვლა.

❍ 1771 წელს არკრაიტმა წყლის ბორბლები კრომპტონ მილში, დერბიშირში განათავსა და მსოფლიოში პირველი დიდი ფაბრიკა გახსნა.

❍ 1780-იან წლებში ჯეიმზ ვატმა შექმნა ორთლის ძრავა, რომელსაც მანქანების გადაადგილება შეეძლო — მან შეცვალა ფაბრიკებში ენერგიის წყაროდ საჭირო წყლის ხელით მომარაგება.

❍ 1784 წელს ჰენრი კორტმა აღმოაჩინა, როგორ გაწმინდა რკინის მადანი ჭედადი რკინის მისაღებად. ამის შემდეგ სამრეწველო რევოლუციის ძირითადი მასალა რკინა გახდა.

ჯეიმზ ვატი

1764-1790 წლებში ვატმა ორთქლის ძრავის მანამდე არსებულ მოდელში მთელი რიგი სერიოზული ცვლილებები შეიტანა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო როტაციული სისტემის და ორმაგად მოქმედი დანადგარის შექმნა. ამის შედეგად ძრავა უფრო მძლავრი და არნახულად საიმედო გახდა. დაიწყო მისი ფართოდ გამოყენება ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში, ხომალდებსა და სარკინიგზო ლოკომოტივებზე.



ხევოლუსიური ევროპა

საფრანგეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, მაგრამ მრავალწლიანი არაკომპეტენტური მმართველობისა და ძვირად ღირებული ომების გამო ქვეყანა თითქმის გაკოტრდა. 1789 წლის რევოლუციამ ბოლო მოუღო ძველ მონარქიას და ახალი რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. ამან მის წინააღმდეგ ევროპის სხვა მონარქიები აამხედრა. საფრანგეთის რევოლუციური ომები საბოლოოდ 1815 წელს დასრულდა. მოგვიანებით რევოლუციები სხვა ქვეყნებშიც მოხდა დემოკრატიული მმართველობის დამყარებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად, მაგრამ მათ წარმატება ყველგან არ მოჰყოლია.

ამ რუკაზე ნაჩვენებია ნაპოლეონის მიერ გადახდილი უმთავრესი ბრძოლები.

❍ 1789 წელს საფრანგეთი გაკოტრების პირას იყო, ამიტომ მეფე ლუი XVI-მ 175-წლიანი პაუზის შემდეგ გენერალური შტატები (პარლამენტი) მოიწვია.

❍ 1789 წლის 14 იულისს პარლამენტში დებატებით გაბეზრებული პარიზის მოსახლეობა თავს დაესხა ბასტილიის ციხესიმაგრეს, რომელიც მაშინ საპატიმროს წარმოადგენდა.

❍ საფრანგეთის ახალ პარლამენტს ეროვნული ასამბლეა ეწოდა. მან რადიკალური რეფორმები გაატარა და პირველ ყოვლისა, გააუქმა წოდებები, რის გამოც მრავალმა წარჩინებულმა ქვეყანა დატოვა.

❍ ფრანგმა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა (1769-1821) ქვეყანაში წესრიგის აღსადგენად გადატრიალება მოაწყო და დისციპლინას დაქვემდებარებული მმართველობა დაამყარა.

❍ 1804 წელს ევროპაში დაპყრობების წყალობით თავის ქვეყანაში გმირად მიჩნეულმა ნაპოლეონმა თავი იმპერატორად, ნაპოლეონ I-ად გამოაცხადა.

❍ 1805 წელს ბრიტანეთი, რუსეთი და ავსტრია ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანდა. ნაპოლეონმა რუსები და ავსტრიელები აუსტერლიცთან ბრძოლაში გაანადგურა, მაგრამ ფრანგებისა და ესპანელების ფლოტი ადმირალმა ნელსონმა ტრაფალგართან დაამარცხა.

❍ 1812 წელს ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა და მოსკოვში შევიდა, მაგრამ სასტიკმა ზამთარმა აიძულა, ევროპაში გაბრუნებულიყო.

1783 წელს დაწყებული ტერორის დროს მრავალი წარჩინებული გილოტინაზე გაგზავნეს. იგივე ბედი ეწია მეფე ლუი XVI-ს და დედოფალ მარი-ანტუანეტას.

საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონის დამპყრობლურმა ამბიციამ მთელი ევროპა ომებში ჩაითრია.

ნაპოლეონის უკან დახევა

1812 წელს მოსკოვიდან ნაპოლეონის არმიის უკან დახევა ყველაზე საზარელი სამხედრო კატასტროფა იყო. ზამთარი ისეთი ცივი იყო, ხოლო საკვები ისეთი მცირე, რომ 650 000-იანი არმიიდან მხოლოდ 30 000-მა ჩააღწია საფრანგეთში.

გასაოცარია

1848 წელს ლუი ნაპოლეონი, იმპერატორ ნაპოლეონის ძმისშვილი, საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს. 1852 წელს მან ბიძამისივით, თავი იმპერატორად გამოაცხადა.

❍ 1812 წლის მარცხის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ნაპოლეონი აიძულეს, ტახტიდან გადამდგარიყო და კუნძულ ელბაზე გადაასახლეს.

❍ 1815 წელს ნაპოლეონმა ელბა დატოვა და ახალ არმიას ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ვატერლოოსთან ბრძოლაში ჰერცოგმა უელინგტონმა დაამარცხა.

❍ 1848 წელს მთელ ევროპას რევოლუციები მოედო — ისინი დაიწყო საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიასა და უნგრეთში.

❍ მრავალი რევოლუციონერი — ხშირად ნაციონალისტი — განრისხებული იყო მათ ქვეყნებში უცხო ქვეყნების რეპრესიული მმართველობის გამო, რის წინააღმდეგაც ხმის ამოღებას ცოტა თუ ბედავდა. ასევე არ მოსწონდათ ახალი ქალაქების მცხოვრებთა სიღატაკე.

1860 წელს გმირი მეომარი, გარიბალდი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ავსტრიელთა წინააღმდეგ და სამხრეთი იტალია დაიკავა. 1861 წელს იტალიის უმეტესი ნაწილი გაერთიანებული იყო მეფე ვიქტორ ემანუელის ძალაუფლების ქვეშ. 1866 წელს იტალიის შემადგენლობაში შევიდა ვენეცია, 1870 წელს — რომი. გარიბალდი თავისი სახელგანთქმული „წითელხალათიანების“ ათასეულით სიცილიაზე გადავიდა და აგრძელებდა სამხრეთ იტალიის დაპყრობას.



➲ უჩვეულო სამხედრო სიცოცხლისუნარიანობის მიუხედავად, ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ ნაპოლეონი ბრიტანელებმა კუნძულ წმ. ელენეზე გადაასახლეს, სადაც ის 1821 წელს გარდაიცვალა.

რევოლუცია

სიმონ ბოლივარი ახალ გრანადაში ესპანელების წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. 1819 წელს სამხრეთ ამერიკის რევოლუციურმა ძალებმა ესპანეთის არმია ბოიაკასთან ბრძოლაში დაამარცხეს. 1828 წლისათვის ესპანელების კუთვნილი კოლონიების უმრავლესობამ სამხრეთ ამერიკაში დამოუკიდებლობა მოიპოვა. მათი უმეტესობის მმართველობა დემოკრატიულ კონსტიტუციებსა და ადამიანის უფლებების დაცვას ემყარებოდა.

❍ ახალი ფრანგული რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, მთელი ასწლეულის განმავლობაში სულ უფრო იზრდებოდა ცვლილებების სურვილი.

❍ 1857 წელს გრაფმა კავურმა ავსტრიის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში დახმარება საფრანგეთს სთხოვა. იტალია ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა ქალაქ რომის გამოკლებით, რომელსაც პაპი მართავდა.

❍ 1815 წელს ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ვენის კონგრესზე ევროპის ახალი სისტემა ჩამოყალიბდა. კონტინენტის უძლიერესმა სახელმწიფოებმა ახალი ომების თავიდან ასაცილებლად ხელი მოაწერეს ვენის სამშვიდობო ხელშეკრულებას.

ევროპის უზენაესობა

XIX ს-ში მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფმა ზრდამ, დიდმა სიმდიდრემ და მრავალ სფეროში ტექნოლოგიურმა დაწინაურებამ ევროპა ყველაზე ძლიერ კონტინენტად აქცია. ევროპის რამდენიმე სახელმწიფო თავის სიძლიერეს მსოფლიოს სხვა ნაწილებში ახალი ხალხებისა და ტერიტორიების დასაპყრობად და კოლონიური იმპერიების შესაქმნელად იყენებდა. ევროპული ფაბრიკა-ქარხნები მსოფლიოში მოწინავე იყო, ხოლო ევროპულ ხომალდებს საკვანძო საქონელი გადაჰქონდათ სხვა ერებთან ვაჭრობის მიზნით. XIX ს-ის ბოლოს ამერიკაც ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო გახდა, თუმცა ჯერ კიდევ არ შეეძლო ევროპასთან კონკურენცია.

გასაოცარია

მსოფლიოში ყველაზე ხანმოკლე ომი მოხდა ბრიტანეთსა და ზანზიბარს შორის 1896 წელს. ბრძოლა 38 წუთს გაგრძელდა და ბრიტანელთა სრული გამარჯვებით დასრულდა.

❍ ბრიტანეთის იმპერიის ჩამოყალიბება XVI ს-დან დაიწყო, როდესაც ინგლისელმა ვაჭრებმა გააფართოეს საკვანძო ურთიერთობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და გონივრულად ეფექტური კოლონიური მმართველობის წყალობით, ინგლისელებმა ადვილად ჩამოიტოვეს უკან ჰოლანდიელი, პორტუგალიელი, ესპანელი, ფრანგი და ბელგიელი მეტოქეები.

❍ 1757-1858 წლებში ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წყალობით ბრიტანელებმა ინდოეთზე კონტროლი დაამყარეს. 1877 წელს დედოფალი ვიქტორია ინდოეთის იმპერატორად გამოცხადდა — პირველად მოხდა, როდესაც ტერმინი იმპერია ბრიტანეთის სამფლობელოსთან დაკავშირებით გამოიყენეს.

❍ 1788 წელს ბრიტანეთმა 11-ხომალდიანი ფლოტით პატიმრები გაგზავნა, რომ ავსტრალიაში სასჯელაღსრულების კოლონია დაარსებულიყო. მომდევნო 80 წლის განმავლობაში ავსტრალიაში 160 000 პატიმარი გადაიყვანეს, მაგრამ 1810 წლიდან ბრიტანელების ნაწილი ნებაყოფლობით მიდიოდა ავსტრალიაში დასასახლებლად.

❍ 1901 წელს ავსტრალია ავსტრალიის დამოუკიდებელი თანამეგობრობა გახდა დედაქალაქით მელბურნში.

❍ თავისი ძლიერების პერიოდში ბრიტანეთის იმპერია მოიცავდა მსოფლიოს ტერიტორიის მეოთხედს და მართავდა მსოფლიოს მთელი მოსახლეობის მეოთხედ ნაწილს.

❍ 1800 წლის შემდეგ მრავალ ევროპელს სურდა აფრიკის უცნობი ტერიტორიების გამოკვლევა, იქ ქრისტიანობის გავრცელება ან არაბების ხელში არსებული მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ზოგ ევროპელს სურდა სასარგებლო წიაღისეულითა და პალმის ზეთის მსგავსი პროდუქციით ვაჭრობა.

❍ 1880-იან წლებში ევროპელებს შორის აფრიკის კოლონიებისთვის სასტიკი კონკურენცია გაჩაღდა. ამ პროცესს ეწოდება „აფრიკისთვის მცოცავი ბრძოლა“.

❍ აფრიკის ზოგიერ ნაწილში კოლონიური მმართველობა მშვიდობიანად დამყარდა თავად აფრიკელთა სურვილით.

❍ ნიგერიასა და განაში აფრიკელები ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ხოლო ტანზანიასა და ნამიბიაში — გერმანულის.



ევროპული კოლონიები აფრიკაში 1900 წელს და მათი მიერთების თარიღები.

ამ რუკაზე ნაჩვენებია ბრიტანეთის იმპერია 1930-იან წლებში, როცა უკვე იწყებოდა მისი დაშლა. ეგვიპტემ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1922 წელს, როდესაც სულთანი აჰმედი მეფე ფუად I გახდა. 1921 წელს ასევე დამოუკიდებელი გახდა ერაყი, როდესაც ამირა აჰდ-ალაჰ-ფაისალი მეფე ფაისალ I გახდა.

1770 წელს კაპიტანი ჯეიმზ კუკი ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადავიდა და ტერიტორია ბრიტანეთის საკუთრებად გამოაცხადა. 18 წლის შემდეგ აქ ხომალდებმა პატიმრების გადმოსხმა დაიწყეს.

1900 წლამდე აშშ ნაკლებად ერეოდა მსოფლიოს საქმეებში. ბისმარკმა განაცხადა: „განგება უფრთხილდება სულელებს, ლოთებს და აშშ-ს“. მაგრამ 1898 წელს აშშ-ის საბრძოლო ხომალდი „მენი“ კუბასთან აფეთქდა. ამერიკელებმა ბრალი ესპანელებს დასდეს, ხოლო ამის შემდეგ დაწყებულ ომში ადვილად გაანადგურეს ესპანელები. აშშ ამიერიდან უფრო ჩაერთო მსოფლიო პოლიტიკაში.

აფრიკის კოლონიები 1900 წელს

ბელგია	კონგო
ბრიტანეთი	ბეჩუანალენდი, ბრიტანეთის სომალილენდი, ეგვიპტე, ოქროს ნაპირი, კენია, ნიგერია, ნიასალენდი, როდეზია, სიერა-ლეონე, სამხრეთი აფრიკა, სუდანი, უგანდა, ზანზიბარი
საფრანგეთი	ჩადი, ჯიბუტი, საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა, გაბონი, მადაგასკარი, შუა კონგო, შარი უბანგი
გერმანია	კამერუნი, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ტანგანიკა, ტოგოლენდი
იტალია	ერიტრეა, სომალილენდი
პორტუგალია	ანგოლა, გვინეა, მოზამბიკი
ესპანეთი	რიო-დე-ორო, ესპანეთის მაროკო, ესპანეთის საჰარა

ინდუსტრიული სახელმწიფო



XVIII ს-ის ბოლოს პიონერი ფერმერებისა და პლანტაციებში მომუშავეთა აშშ მსოფლიოს ინდუსტრიულ სუპერსახელმწიფოდ იქცა. ამერიკელმა გამომგონებლებმა და მრეწველებმა ისეთი ნივთები გამოიგონეს, რომლებმაც შეცვალა ადამიანების ცხოვრება — საბეჭდი მანქანა (1867), ტელეფონი (1876), ფონოგრაფი (1877) და ელექტრონათურა (1879). XX ს-ის დასაწყისში ჰენრი ფორდი პირველი მრეწველი იყო, ვინც ავტომობილების სერიული გამოშვება დაიწყო და ისინი ხელმისაწვდომი გახდა რიგითი ადამიანებისთვისაც.



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
*1. დონგი; 2. განიმედი; 3. იავა; 4. ბაო; 5. ნიუ; 6. „ანაბაზისი“; 7. მარასკინი; 8. ნორმატიული; 9. ნასა; 10. პანდორა; 11. სერობა; 12. დალი; 13. მალაზონია; 14. ნიცშე; 15. სუნიტი; 16. სერგო; 17. ნერეიდა; 18. შულცი; 19. დეოშა; 20. ბიზე; 21. ადა; 22. დეილ; 23. ფლეში; 24. ელჩი; 25. ცაბაძე. **სწორ პასუხებ:** დიანა.*